ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ოთხშაბათი 16 დეკემბერი 1998 №230 (765) ფასი 50 თეთრი

ახალი სკანდალი

## აშვეთიამ ტორპედოს უჩივლა

*ჯერ მხოლოდ ფაქტის კონსტატაცია: დინამოელმა მიხეილ აშვეთიამ სასარჩელო განცხადება შეიტანა ქუთაისის სასამართლოში. მიხო თავისი ყოფილი კლუბის „ტორპედოს" დირექტორატს უჩივის. შარშანწინ ვლადიკავკაზის „ალანიაში" განათხოვრების, ხოლო შარშან „ტორპედოდან" „დინამოში" გადასვლის გასაიდუმლოებული გარიგებებიდან არაფერი მრგებია და კუთვნილი მომეცითო.*

იუზა ქაციტაძე

# რონალდო, შუკერი, ზიდანი

## არჩევანი ფიფაზეა!



ფიფას ვერსიით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის წოდების მაძიებელთა რიცხვი სამამდე შემცირდა. გამოკითხვას, რომელშიც 129 ნაკრების თავკაცი მიიღებს მონაწილეობას და რომლის შედეგებიც ბარსელონაში 1 თებერვალს გამოქვეყნდება, ბრაზილიელი რონალდო, ფრანგი ზინედინ ზიდანი და ხორვატი დავორ შუკერი შემორჩნენ.







„ვითას" ახალი პრეზიდენტი გია გაგნიძე

## ვითას დაბრუნება დებულების დარღვევაა, მაგრამ ყველა მეუბნება, ამ გუნდის დაშლა კატასტროფა იქნებაო

### ამბობს გია გაგნიძე

კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გოგი ქათამაძე დათქვამს დღეს, მოიწვევს აღმასკომის სხდომას და გადაწყდება, მისცემენ თუ არა „ვითას" ჩემპიონატში დაბრუნების უფლებას.

შეგახსენებთ, რომ მას შემდეგ, რაც კლუბი აწ უკვე ყოფილმა პრეზიდენტმა თემურ დათიკაშვილმა დატოვა, „ვითა" ჩემპიონატსაც ჩამოშორდა, ახლა კი, როცა ამ გუნდს გია გაგნიძის სახით ახალი პრეზიდენტი გამოუჩნდა, ბუნებრივია, ექვსგზის ჩემპიონებს პირველობაზე ხელმეორედ დაბრუნების სურვილიც გაუჩნდათ. ამის შესახებ მათ ფედერაციას თხოვნის წერილიც აახლეს, რასაც ადრე თუ გვიან აუცილებლად განიხილავენ. მანამდე კი ვერის ბაღში ახალ პრეზიდენტს გავესაუბრეთ:

**— ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი როლანდ ხომერიკი აცხადებს, რომ „ვითას" ხელმეორედ დაბრუნება დებულების უგულებელყოფაა.**

— ხომერიკის მოსაზრებას „სარბიელით" გავეცანი. მართალია, ჩემპიონატის დებულება ხელმეორედ დაბრუნების უფლებას არ გვაძლევს, მაგრამ თუ საქმეს ასე მივუდგებით, მეც შემიძლია იგივე დებულება გადავშალო და არაერთი დარღვევა აღმოვაჩინო. ყველა კარგად ვხედავთ, რაც ხდება ქართულ კალათბურთში. ამიტომაც, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე უნდა ვიმოქმედოთ, ჩემპიონატს და გულშემატკივარს „ვითა" შევუნარჩუნოთ.

**— ერთიცაა, ხომერიკი ამას რომ ამბობს, იქვე დასძენს, სხვა გუნდები ფედერაციისგან კანონიერ ქმედებას ითხოვენ, რომ მერე ჯოხი მთლიანად ფედერაციაზე გადატყდება, რადგან „ვითას" გაქრობით ამბიციამომატებულ დანარჩენ კლუბებს ამბიცია ამბიციადვე დარჩებათ, თუ თქვენ ისევ დაგიშვეს.**

— ამ თემაზე საუბარი სასაცილოდ მეჩვენება. არა მგონია, მოსეშვილი, ქორქია, ოქრუაშვილი, ხმელიძე და სხვანი „ვითას" წინააღმდეგნი იყვნენ. მეტიც, მათ უკვე ვესაუბრე და ყველამ ერთხმად აღნიშნა, ამ კლუბის დაშლა კატასტროფა იქნებაო. ხომერიკის ეს ნათქვამი უფრო თავისდასაძვრენ ფანდად აღვიქვი, რაც მხოლოდ კლუბების ხელმძღვანელებს შორის უთანხმოების ჩამოგდებას შეუწყობს ხელს.

**— სანამ ფედერაცია კონკრეტულად რაიმეს გადაწყვეტს, ურიგო არ იქნება, კლუბის სადღეისო მდგომარეობაზეც გვითხრათ.**

— ერთს გეტყვით, რომ არა „ვითას" და კალათბურთის სიყვარული, მე აქ არ ვიქნებოდი. რადგან ამ ადგილზე ყოფნა გადავწყვიტე, მერწმუნეთ, ყველა ღონეს ვიხმართ, რომ გუნდმა, ტრადიციისამებრ, კვლავაც ჩემპიონობა მოიპოვოს. ბიჭებიც ისეთი მონდომებულები არიან, რომ უხელფასობას არც ჩივიან, თამაში უნდათ. თავიდან ასეთ მოუწევთ, მაგრამ ნელ-ნელა ყველაფერი მოწესრიგდება და შრომა არავის დარჩება დაუფასებელი.

გიორგი ბიძაშვილი

საქართველოს ჩემპიონატი

7 ტური

გამოტოვებული მატჩი

15 დეკემბერი. სამშაბათი

**სტუ 93:81 დინამო**

იხილეთ მეცხრე გვერდი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ | 6 | 6 | 0 | 573:479 | 12 |
| აზოტი | 6 | 6 | 0 | 561:485 | 12 |
| თსუ | 7 | 5 | 2 | 630:586 | 12 |
| დინამო | 6 | 3 | 3 | 515:517 | 9 |
| შევარდენი | 6 | 2 | 4 | 497:513 | 8 |
| სდასუ | 6 | 2 | 4 | 472:507 | 8 |
| კოლხა | 7 | 1 | 6 | 541:652 | 8 |
| მაკაბი | 6 | 0 | 6 | 481:531 | 6 |



სტუ — დინამო. სტუდენტი ტუღუში (5) დინამოელებმა ვერ შეაჩერეს

# პირველი ჯგუფი. პირველი წრე:

# თუ კასსა ცოდნა აქვს...

*მიუხედავად იმისა, რომელ ადგილს დაიკავებს თბილისის „ლოკომოტივი" ჩემპიონატის საბოლოო ცხრილში, მოიპოვებს თუ არა საქართველოს თასს, ითამაშებს თუ არა ევროპულ ტურნირში, მათ მწვრთნელსა და ფეხბურთელებს ახლავე შეუძლიათ თქვან, რომ იმ ქართულ გუნდთა მარაქაში გაერივნენ, რომლებიც ამინდს ქმნიან ჩვენს ჩემპიონატში.*

*საქმისადმი დამოკიდებულებით, შედეგით, ტაქტიკური ნახაზით, იგივე ფინანსური პრობლემებით „ლოკომოტივი" გათამაშების ერთ-ერთი ლიდერია.*

*მათ იციან, რა უნდათ, რისთვის იბრძვიან, რომელი გზა უფრო მარტივია ჩანაფიქრის ასასრულებლად.*

*მათ ერთმანეთის ესმით, მწვრთნელის დარიგებას ასრულებენ, მონდომებულნი არიან. მათთვის სულ ერთია, მეტოქედ „დინამო" ჰყავთ თუ „გურია". მუდამ შემართულნი არიან, მათთვის მთავარი შედეგია და არა მონაწილეობა.*

„ლოკომოტივს" რამდენიმე ტაქტიკური ვარიანტი აქვს დამუშავებული. საჭიროების შემთხვევაში შემტევ ფეხბურთს დაცვას ამჯობინებენ, ცენტრიდან იერიშს ფლანგებიდან მეტოქის განერვიულებას, ბურთის გაგორებასაც ხშირად უნაცვლებდნენ სწრაფ მოძრაობას.

თემურ მახარაძემ, „ლოკომოტივის" მწვრთნელმა, იცის, ვისთან როგორი შემადგენლობა შეარჩიოს. ხანდახან, ფეხბურთელს, რომელსაც თავი შეუცვლელი ჰგონია, სკამზე დასვამს, მის ადგილს სხვა ამპლუის მოთამაშეს ანდობს, სათადარიგოს ძირითადში ათამაშებს. ვერ დავიჩემებ, ეს ხერხი ჭრის, მეტოქეთ აბნევსმეთქი, რადგანაც ამას ქართულ ფეხბურთში მომუშავე მწვრთნელები მაინცდამაინც დიდი ყურადღებას არ აქცევენ, მაგრამ ერთი რამ ნაღდია — „ლოკომოტივის" მწვრთნელის ჩანაფიქრი კარგი შედეგის მომასწავებელია, უმეტეს შემთხვევებში საბოლოოდ გამართლებულიც.

თავად განსაჯეთ, თემურ მახარაძემ 15 თამაშში 23 ფეხბურთელს მოარგო გუნდის გახუნებული მაისური. ყველას თავის იდეები გაუზიარა, თუმცა იმასაც ვერ ვიტყვით, რომ თითოეულმა გაუმართლა, იყვნენ ფეხბურთელები, რომლებიც მწვრთნელმა თითოჯერ ათამაშა, მათ შორის მეკარე დოლაბერიძეც, რომელმაც „დინამოსთან" სათასო მატჩისას ორი პენალტი მოიგერია და „ლოკომოტივს" გაამარჯვებინა.

თემურ მახარაძემ ჩემპიონატის დაწყებამდე გუნდში ათზე მეტი ფეხბურთელი მიიწვია. გორიდან ოთხი — თარხნიშვილი, ბალაშვილი, ხორგუაშვილი და მარლიშვილი ჩამოიყვანა. როგორც თვითონ ადრე აღნიშნა, ამათ შესაძლებლობებს ნაწილობრივ მოარგო კიდეც ტაქტიკური ნახაზი. მწვრთნელმა დაცვა გააძლიერა, ორ გორელს „დინამოდან" ნათხოვარი არსოშვილი შეუწყვილა. მათვე ხან ბარნოვს აშველებდა, ხან ბაქრაძეს, ხანაც რომელიმე სხვა ჩამშლელ ფეხბურთელს. საბოლოოდ დაცვა სტაბილური გახდა. მათ სულ ექვსი გოლი გაუშვეს.

მერე ნახევარდაცვა, სადაც, თამაშიდან გამომდინარე, ოთხ ან ხუთ ფეხბურთს ჰქონდა დავალებული შუა მოედნის კონტროლი. კოტორაშვილი, მელქაძე, იგივე ბარნოვი, ნუკრი მინდიაშვილი, ბოლო ხანს ლუდუშაური დიდ ძალას წარმოადგენდნენ. ამათგან მელქაძეს მწვრთნელი შიგადაშიგ ფლანგზე გადაისროდა, მარჯვენიდან კონტროლს ავალებდა, აქეთ მინდიაშვილი, ანაც ლუდუშაური, მატჩში შუაში კი დანარჩენები ეწეოდნენ გამთამაშებლისა და საყრდენი ნახევარმცველის სამუშაოს. ჰო, ერთიც, კაციაშვილი გამომრჩა, რომელიც ამათვე გაუამხანაგდა და შრომას, წინ და უკან სირბილს არ ერიდებოდა, ისიც მარჯვნივ თამაშობდა. ნახევარდაცვაში მახარაძეს დიდი არჩევანი ჰქონდა. ამ რგოლისთვის ისეთი ფეხბურთელები შეარჩია, რომელთაც ბურთის გატანაც კარგად შეუძლიათ, თამაშის სასურველი რიტმით წარმართვა და მეტოქის იერიშების ჩაშლაც.

თავდასხმაში ყველაზე ხშირად გოდერძიშვილი-ხორგუაშვილის დუეტი აფრთხობდა მეკარეებს. თუმცა გოგოლაძის გუნდში მისვლის შემდეგ ხორგუაშვილი ან მარცხნივ გადაინაცვლებდა, ანაც სკამზე ჩამოჯდებოდა. საჭიროებისამებრ კი მახარაძე დაუშვილს მარჯვენიდან დაახმარებდა ფორვარდებს.

ასე შეიკრა გუნდი, რომელსაც 15-დან ერთხელაც არ წაუგია. ეგ იყო, ძალიან ხშირად მეტოქეთ უგოლოდ ეყრებოდა, „ლოკომოტივმა" შვიდჯერ დაამთავრა მატჩი გაუტანლად. ამას „დინამოსთან" ორი სათასო თამაშიც დაამატეთ, როცა არც გაუტანიათ, არც გაუშვიათ და გამოდის, რომ მახარაძე ყველაზე მეტად წინახაზელების უკმაყოფილო უნდა იყოს. თუმცა, როგორც მწვრთნელმა ადრე აგვიხსნა, ეს საკუთარი მოედნის უქონლობის მიზეზით მომხდარა.

„ლოკომოტივს" უნივერსალი ფეხბურთელებიც არ აკლია. მხოლოდ ერთხელ, თსუსთან ითამაშეს ეროვნულ ნაკრებში ტრავმირებული ლიბერო თარხნიშვილი გარეშე. პირველ ტაიმში სტუდენტები, დანებივრობდნენ მასპინძელთა ნახევარზე, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, კარსაც ბევრჯერ და სახიფათოდ ემუქრებოდნენ, მაგრამ მხოლოდ შესვენებამდე. იქამდე უთამაშებელ მელქაძეს მწვრთნელმა ლიბეროობა დაავალა, აქვე ბაქრაძე ფლანგზე გადაიყვანა და საქმეც აეწყო. თსუ ერთხელაც ვერ მიუახლოვდა ჯანელიძის კარს. „ლოკომოტივმა" პირველი წრის ბოლო მატჩი 3:1 მოიგო. თუმცა სეზონი არ დამთავრებულა, წინ „დინამოსთან" საპასუხო მატჩი იყო. მელქაძე კი, ნუ დაივიწყებთ, ეგ ბიჭი თავის დღე და მოსწრება ნახევარმცველია, თანაც შემტევი, რომლის საქმეც შექმნა უფრო, ვიდრე ჩაშლა. ასეთი მაგალითების მოყვანა კიდევ ბევრი შეიძლება. ისეთების, როგორებიც დაგარწმუნებთ, რომ „ლოკომოტივს" თავის სახე გააჩნია, მაგრამ თასის მერვედფინალზე უთქმელობა იქნება?

„დინამოს" ახალი მტერი, მოქიშპე გამოუჩნდა. უგოლო საპასუხო მატჩის შემდეგ დამატებითი დროის დანიშვნა გახდა საჭირო. თუმცა მაშინვე იოლი წარმოსადგენი იყო, თამაში პენალტებამდე მივიდოდა. „ლოკომოტივმა" სტუმრებს ვაკეში ოღრო-ჩოღრო მინდორზე უმასპინძლა, ესეც თავისებური ხერხია. მახარაძის შეგირდებმა ტიტულოვან მეტოქეს არაფერი დაუთმეს, ეგ კი არა, ზოგ საფეხბურთო კომპონენტში დაჯაბნეს კიდეც, მაგრამ ბურთი არ გასულა. პენალტების დრო ახლოვდებოდა. 118-ე წუთზე მახარაძემ თერთმეტმეტრიანების მოგერიებაში საგანგებოდ მომზადებულ დოლაბერიძეს უხმო. ამას ხომ ცოდნა უნდა? მეკარე საგანგებოდ საპენალტოდ ათამაშო. და „ლოკომოტივმა" მოიგო. „დინამო" პირველად ჩამოაშორა თასისთვის ბრძოლას მერვედფინალიდან. ახლა კი საქმის გარჩევა კიდევ ერთ სათასო გუნდთან, „ბათუმთან" მოუწევს.

ერთიცაა აღსანიშნავი, რაც ყველას აწუხებს — ფული. ზემოთ გახუნებული მაისურები ვახსენეთ. „ლოკომოტივს" პირველ წრეში ორი რამ აჩნდა დაღად. ერთი — ზედიზედ ოთხი უგოლო ფრე და მეორე, სწორედ ეგ ფერგადასული სათამაშო სამოსი, იმდენად გაფერმკრთალებული, რომ ფეხბურთელს თუ გარეგნულად არ იცნობდი, უეჭველი, ტრიბუნიდან ვერ გამოარჩევდი, ვინ ვინ იყო.

„ლოკომოტივი" კი, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თავის სახეს არც მეორე წრეში დაკარგავს. ემანდ სამეულსაც არ გამოჰკრას ხელი.

მათ იციან, რა უნდათ, რისთვის იბრძვიან, რომელი გზა უფრო მარტივია ჩანაფიქრის ასასრულებლად.

**ქობა ინასარიძე**



„დინამო" — „ლოკომოტივი". მეორე სერია. აქაც 0:0. კახა გოგოლაძემ დავით გვარამაძეს ვერ გაუტანა

## ლოკომოტივის შედეგები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | კოლხეთი | 0:0 | სტუმრად |
| 2 | ოდიში | 3:0 | შინ |
| 3 | ბათუმი | 1:1 | სტუმრად |
| 4 | ვიტ ჯორჯია | 1:0 | შინ |
| 5 | იბერია | 2:3 | სტუმრად |
| 6 | არსენალი | 0:0 | სტუმრად |
| 7 | ტორპედო | 1:0 | შინ |
| 8 | გურია | 0:4 | სტუმრად |
| 9 | დილა | 0:0 | შინ |
| 10 | სამგურალი | 1:2 | სტუმრად |
| 11 | დინამო | 0:0 | შინ |
| 12 | მერანი | 0:0 | სტუმრად |
| 13 | გორდა | 0:0 | შინ |
| 14 | სიონი | 0:0 | სტუმრად |
| 15 | თსუ | 3:1 | შინ |

| | თ | გ | ყ | წ |
|---|---|---|---|---|
| გიორგი ბალაშვილი | 14 | 1 | 4 | 0 |
| ვაჟა თარხნიშვილი | 14 | 0 | 2 | 0 |
| გენადი კაციაშვილი | 14 | 0 | 3 | 0 |
| კოტე მელქაძე | 14 | 1 | 0 | 0 |
| დავით ჯანელიძე | 14 | -6 | 0 | 0 |
| დავით გოდერძიშვილი | 13 | 5 | 1 | 0 |
| რომან მარლიშვილი | 13 | 2 | 2 | 0 |
| ნუკრი მინდიაშვილი | 13 | 1 | 0 | 0 |
| დავით ბაქრაძე | 12 | 1 | 2 | 0 |
| კახა დაუშვილი | 12 | 0 | 1 | 0 |
| პაატა ბარნოვი | 11 | 0 | 2 | 0 |
| ზურაბ ხორგუაშვილი | 11 | 1 | 0 | 0 |
| დიმიტრი არსოშვილი | 10 | 0 | 1 | 0 |
| ელგუჯა კოტორაშვილი | 8 | 1 | 1 | 0 |
| გიორგი ლუდუშაური | 8 | 3 | 0 | 0 |
| გიორგი ქორიძე | 7 | 0 | 1 | 0 |
| კახა გოგოლაძე | 6 | 1 | 1 | 0 |
| გელა კვიტატიანი | 5 | 0 | 1 | 0 |
| მამუკა ქარცხავა | 4 | 0 | 0 | 0 |
| მახარე მინდიაშვილი | 3 | 0 | 0 | 0 |
| ძიდორე გელაშური | 1 | 0 | 0 | 0 |
| ლევან დოლაბერიძე | 1 | 0 | 0 | 0 |
| მერაბ ძიძუაშვილი | 1 | 1 | 0 | 0 |

შ-შინ; ს-სტუმრად; თ-თამაში; გ-გოლი; ყ-ყვითელი, წ-წითელი ბარათი




## 15 ტური

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 15 | 12 | 3 | 0 | 50:8 | 39 |
| ტორპედო | 15 | 11 | 2 | 2 | 42:14 | 35 |
| კოლხეთი | 15 | 8 | 3 | 4 | 34:25 | 27 |
| **ლოკომოტივი** | **15** | **6** | **9** | **0** | **18:6** | **27** |
| ბათუმი | 15 | 6 | 6 | 3 | 23:14 | 24 |
| დილა | 15 | 6 | 4 | 5 | 21:21 | 22 |
| იბერია | 15 | 5 | 3 | 7 | 26:31 | 18 |
| არსენალი | 15 | 4 | 6 | 5 | 19:25 | 18 |
| მერანი | 15 | 3 | 8 | 4 | 13:16 | 17 |
| ოდიში | 15 | 5 | 1 | 9 | 12:25 | 16 |
| გორდა | 15 | 3 | 7 | 5 | 12:18 | 16 |
| სიონი | 15 | 4 | 3 | 8 | 15:32 | 15 |
| ვიტ ჯორჯია | 15 | 5 | 2 | 8 | 15:17 | 14 |
| სამგურალი | 15 | 4 | 2 | 9 | 13:31 | 14 |
| თსუ | 15 | 3 | 4 | 8 | 14:22 | 13 |
| გურია | 15 | 3 | 1 | 11 | 17:39 | 10 |

„ვიტ ჯორჯიას" დაკლებული აქვს 3 ქულა

## ქაილია ამაღ ნაოგი

*ლოკომოტივი:* ვინც მატარებლით მოდიხართ, ჩასხედით.

*ვიტ ჯორჯია:* რომელ ბაქანზე დგას?

*ლოკომოტივი:* ჯერჯერობით მეოთხეზე.

*ტორპედო:* ეჰ, რა ხონჩა დამაკარგვინა იმ სალაგამ...

*გორდა:* აბა, რა პურ-მარილიდან გამომაქცია ნაადრევად.

*სიონი:* გაჩერდი, თუ კაცი ხარ, ყველაფერი პილპილიანი იყო, ერთი სული მაქვს, ბორჯომში როდის წავალ.

*სამგურალი:* ზუგდიდელი რომ დააყენა თავიკაცად, იმის ბრალია.

*ვიტ ჯორჯია:* კი მაგრამ სპარტაკმა ბორჯომს ზღვა ამჯობინაო.

*სიონი:* ჯერ კიდევ ფიქრობს.

*ტორპედო:* რას ფიქრობს კაცო. „სპარტაკი" და „ალანია" ჩემთან ერთად მოდიან ისრაელში.

*ვიტ ჯორჯია:* შენ რაღა მოგივიდა, არჩვაძეზე ვლაპარაკობთ

*გორდა:* ეს ვინაა, ზემოთ რომ ხვრინავს?

*ტორპედო:* თქვენი ნაქები თამადაა.

*გორდა:* მერე რა აცინებს?

*ტორპედო:* ჰუსეინი ესიზმრება?

*გორდა:* სადამი?

*ტორპედო:* არა, კაცო! ჰუსეინ დედია, „ვლაჟნიას" მწვრთნელი.

*ლოკომოტივი:* აბა, სამგზავრო გადამიხადეთ!

*გურია:* ძამა, ერთი აქეთ მომხედე.

*ლოკომოტივი:* ამდენი ყუთი რომ შემოგიზიდავს, არ მითხრა ახლა, ფული არ მაქვსო.

*გურია:* საახალწლოდ მანდარინი მომაქვს თბილისში, გავყიდი და...

*ლოკომოტივი:* მერე მანდარინით აპირებ 200 ათასი დოლარის შეგროვებას?

*გურია:* 200 ათასის?

*ლოკომოტივი:* ჰო, ვისაც ეგ თანხა არ ექნება, გაისად ვერ ითამაშებსო, ჩვენს პრეზიდენტს უთქვამს.

*იბერია:* ის თუ გაიგეთ? შვეიცარიიდან რომ ჩამოუტანია...

*სიონი:* რამდენი?

*იბერია:* ოცტონიანი.

*ლოკომოტივი:* ვაგონი?

*იბერია:* ვაგონი არა, კონტეინერი... დომკრატი ჩამოუტანია.

*სიონი:* დომკრატი რად უნდა?

*იბერია:* ჩემპიონატის დონის ასაწევად.

*ლოკომოტივი:* შენ იხუმრე და, ამდენ ფულს მოგროვება არ უნდა?

*ტორპედო:* ზაფხულში ერთ-ორ ფეხბურთელს მივყიდი.

*ლოკომოტივი:* მაშინ მე მახარაძის გაყიდვა მომიწევს...

*ტორპედო:* მერე ხურცილავა?

*ლოკომოტივი:* ხურცილავა მეხელეში მიდის.

*ტორპედო:* ყიფიანი?

*ლოკომოტივი:* ყიფიანი პირამიდის თავზე აპირებს ასვლას.

*ტორპედო:* სად, ეგვიპტეში?

*ლოკომოტივი:* ეგვიპტეში კი არა, საქართველოში...

*თსუ:* რა უნდა მერე პირამიდას საქართველოში?

*ლოკომოტივი:* საფეხბურთო პირამიდაზე ვლაპარაკობ, შე ოროსანო სტუდენტო.

*ტორპედო:* რომ იცოდე, მე შენს ნახვას ისე ვუცდი...

*ლოკომოტივი:* „ვერდერს" უმღერი?

*ტორპედო:* არა, ბურკაძეს...

*ლოკომოტივი:* აბა, მოსეშვილი მიჰყავსო?

*ტორპედო:* მოსეშვილი ნბა-ში მიდის.

*ლოკომოტივი:* იქ ხომ ლოკაუტია.

*ტორპედო:* თურქულ ნოკაუტს არ სჯობია მერე...

*სიონი:* რა უბედურებაა, რა სიბნელეა?

*ლოკომოტივი:* არ შეგეშინდეთ, გვირაბში ვართ.

*ვიტ ჯორჯია:* შენ მარტო საქართველოში მოგზაურობ?

*ლოკომოტივი:* ზაფხულში ევროპულ რეისს ვაპირებ.

*ვიტ ჯორჯია:* სამტრედიელიც მასე ფიქრობდა, მაგრამ შორი ყოფილა ევროპამდე...

*ლოკომოტივი:* ეჰ, ამ გვირაბიდან გაგვიყვანა და ჩავაღწევ როგორმე...

# «ლოკომოტივი». IV ადგილი

## პენალტები ლატარია არ არის

ჩემდა ბედად, შესაძლებლობა მქონდა, პირველ ჯგუფში თემურ მახარაძის დებიუტს შევსწრებოდი. 1992 წლის 7 დეკემბერს მახარაძემ თელავის „კახეთი“ გაიყვანა „ტორპედოსთან“ სამასპინძლოდ და გიგა ნორაკიძის განვრთნილებს 2:0 მოუგო. მასპინძლებმა დარასელიას, იონანიძეს, ხუნდაძეს და დავით ჯანაშიას არ გაატანინეს. იმთავითვე გამოჩნდა მწვრთნელ მახარაძის ნიჭი, რომელსაც მერე ცოდნაც შეემატა, გამოცდილებაც და დღეს საქართველოში თუ ვინმე სახელდაგდებული სპეციალისტია, ერთი „ლოკომოტივის“ თავკაცია. კარგი გუნდი იყო მისი „კახეთი“, რომ არაფერი ვთქვათ „დინამო 2“-სა და „მერანზე“. ერთ წელიწადს თემურ მახარაძე ამ ორ გუნდს ერთდროულად წვრთნიდა. ორივენი მეორე ჯგუფში გამოდიოდნენ და უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, დინამოელებს თავკაცობდა, ავჭალელებს კი კონსულტანტობდა. ყოველ შემთხვევაში, ასე გახლდათ ოფიციალურად. „მერანმა“ იჩემპიონა, „დინამო 2“ კი მეორე იყო. „მერანი“ დებიუტშივე მეოთხეზე და ინტერტოტოზე გავიდა. იქ კი ქვეჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა. ტრანსპორტელებმა მახარაძესთან მუშაობა გაურკვეველ სიტუაციაში აღარ ისურვეს. ისიც ერთხანს უსაქმოდ დარჩა, მაგრამ მალე რკინიგზელებს დასჭირდათ შველა მწვრთნელიც საძნელო საქმეს შეეჭიდა. თემურ მახარაძემ ცხრილის ფსკერზე დაძირული „ლოკომოტივი“ ნელ-ნელა ამოატივტივა: შარშან მეექვსე ადგილს დააჯერა, წლეულს კი აგერ, ჩემპიონატის პირველი წრე მეოთხე ადგილზე დაასრულებინა, თასის გათამაშებაში „დინამო“ აძლევინა და მეოთხედფინალში გაიყვანა. ერთი სიტყვით, თემურ მახარაძე შედეგიანი მწვრთნელია. ჩემპიონატის ერთ-ერთი მოწინავე „ლოკომოტივიც“ მისი ნაჯაფ-ნაოფლარია და მასზე უკეთ ვინ შეაფასებდა:



თემურ მახარაძე

— დავიწყოთ იმით, რომ ძალიან ცუდი კალენდარი გვერგო. საკმარისია ითქვას, რომ სტარტზე ვითამაშეთ ფოთში, ბათუმში, სამტრედიაში. თავიდანვე ძლიერ გუნდებს ვეთამაშეთ — „ტორპედოს“, „დინამოს“. აქედან გამომდინარე, მთავარი იყო ჩვენს მოთამაშეებს საკუთარი ძალისა ერწმუნათ. ვამბობდით: შედეგი აუცილებლად გვექნება, თუმცა თავიდან შესაძლებელია გაგვიჭირდესო. დასაწყისი მაინც კარგად დავძლიეთ, მიუხედავად იმისა, რომ მოსამზადებლად მცირე დრო გვქონდა. ბორჯომში სულ ათი დღე ვიყავით, არც მინდორი ვარგოდა, არც სტადიონი და საკონტროლო თამაშები ვერ ჩავატარეთ. ფაქტობრივად, მხოლოდ ფიზიკურად მოვემზადეთ, ყველა ახალწვეული ვერც გამოვცადეთ და ამან ცოტა გაგვირთულა საქმე. თუმცა, პირველი წრის შედეგებით უკმაყოფილო არ ვარ.

**— 18 ქულა დაკარგეთ. ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ შემადგენლობის ჩამოყალიბება ჩემპიონატის მიმდინარეობისას მოგიხდათ?**

— ცხადია. ბევრი ახალწვეული გვყავდა, მათ კი გუნდთან შესათამაშებლად დრო დასჭირდათ. გარდა ამისა, ამდენი ფრეს მიზეზი საკუთარ სტადიონზე უთამაშებლობა იყო. ჩვენ ყველა მატჩის გამართვა თსუ-სთან შეხვედრის გარდა სტუმრად, ანაც ნეიტრალურ მოედანზე მოგვიწია. ფეხბურთი კი სპორტის სხვა სახეობათაგან იმითაც განსხვავდება, რომ მასში „შინაური კედლების“ ფაქტორი ფიგურირებს. ჩვენ ეს ვერ ვიგრძენით და ასე ბევრი, 9 ფრე ამანაც განაპირობა. შარშან გაცილებით სუსტი გუნდი გვყავდა, მაგრამ შინ თამაშით ბევრჯერ გავიმარჯვეთ.

**— ქომაგთა სიმრავლით ვერც ვაკეში თამაშისას დაიკვეხნით.**

— ასეა, მაგრამ შინაურ კედლებში იმ სტადიონს ვგულისხმობ, სადაც ვვარჯიშობთ. აი, ბოლო ორ მატჩში „დინამოსა“ და თსუ-ს ვაკეში ვუმასპინძლეთ და ორჯერვე დადებით შედეგს მივაღწიეთ.

**— ბევრი თვლის, რომ „26 მაისის“ სტადიონის მინდორზე თამაში შეუძლებელია. მაგრამ „ლოკომოტივმა“ იმ ორღო-ჩორღოშიც სასურველ შედეგს მიაღწია. ვაკის მინდორი თქვენთვის არ არის ცუდი?**

— მე წავიკითხე პუბლიკაციები „დინამოსთან“ სათასო მატჩის თაობაზე. მაგრამ ამასაც ვიტყვი, „დინამოს“ სამჯერ ვეთამაშეთ და ყოველთვის სხვადასხვა მინდორზე: ჯერ მცხეთაში, მერე ეროვნულზე და ბოლოს ვაკეში, სამჯერვე 0:0. ასე რომ, აქ მინდორი არაფერ შუაშია. უბრალოდ, სადაც თამაშობ, მიჩვეული ხარ და სასურველი შედეგის მიღწევის მეტი შანსიც გაქვს.

**— „დინამო“ მერვედფინალიდან, ფაქტობრივად, მისთვის პირველივე სათასო ეტაპიდან გამოთიშეთ. მართალია უგოლოდ, მაგრამ მაინც არამხოლოდ გამართლებით, არამედ წინასწარ განსაზღვრული სტრატეგიით. თუნდაც მეკარე ლევან დოლაბერიძის საპენალტოდ მომზადება გავიხსენოთ. ამას შემთხვევითობას ვერ ვუწოდებთ.**

— ცოტა ვრცლად ვიტყვი. „დინამოში“ ორ სეზონს ვმუშაობდი. ასე რომ, ამ გუნდს და თითოეული ფეხბურთელის შესაძლებლობებს კარგად ვიცნობ. მე ღრმად გავაანალიზე ევროპულ ტურნირებზე „დინამოს“ წარუმატებლობის მიზეზები — ყველა თამაშის ფირი რამდენჯერმე ვნახე. ეს ერთი, მეორეც, ჩვენ „დინამოსთან“ სამიდან არც ერთ მატჩში ფრეზე არ გვითამაშია. მართალია, „დინამოს“ ვერ ვაჯობეთ, მაგრამ არც მას ჰქონია საგოლე მომენტებში უპირატესობა. მესამეც, არ ვთვლი, რომ პენალტები ლატარიაა. ცხოვრებაში რამდენჯერაც ლატარია მითამაშია, ყოველთვის წამიგია. საამისოდ ჩვენ ძალიან სერიოზულად ვემზადებოდით. მე ვიცოდი, რომ დოლაბერიძე ნიჭიერი მეკარეა და განსაკუთრებით ძლიერია პენალტებისას. ასე რომ, პენალტისა და შორიდან დარტყმულის დაჭერაში დიდი განსხვავებაა.

**— მატჩისშემდგომი პენალტებისას მოგერიებაც საკმარისია, როცა თამაშისას თერთმეტი მეტრიდან თუ უფრო შორიდან დარტყმულის დაუმორჩილებლობა, შესაძლებელია, ძვირად დაგიჯდეს...**

— დოლაბერიძის სისუსტე გამოსვლებია, თორემ ხაზზე ძალიან ძლიერად თამაშობს. ჩვენი მოგებაც ამან განაპირობა და არა ლატარიამ, როგორც თვლიან.

**— გუნდი პენალტებისთვის მზად იყო. 118-ე წუთზე გამოცვლას ძირითადი მეკარე დავით ჯანელიძეც გაგებით შეხვდა და დამრტყმელებიც ნამზადები ჩანდნენ.**

— თუ შენიშნეთ, ჯანელიძემ შეცვლისას გაამხნევა დოლაბერიძე. ეს ყველაფერი წინდაწინ იყო ნაფიქრი. რაც შეეხებათ გამტანებს, თერთმეტმეტრიანი ყველამ უნაკლოდ დაარტყა. რომ დასჭირვებოდა, ალბათ დაუშვილიც გაიტანდა.

**— თვლით, რომ „დინამოსთან“ მაინცდამაინც 0:0-ზე არ გითამაშიათ, თუმცა პენალტებისთვის მზად იყავით. მაგრამ „ლოკომოტივმა“ რომ ყველაზე მეტი, 9 ფრე ითამაშა, ეს რაღას მივაწეროთ?**

— თუ დააკვირდებით ცხრილს, დაინახავთ, რომ ყველაზე მეტი ფრე თბილისის გუნდებმა ითამაშეს. ეს შემთხვევით არ ხდება. თბილისელებს არ ჰყავთ მაყურებელი, ისეთი აქტიური მხარდამჭერები, როგორიც პერიფერიის გუნდებს. დიდი შანსია, რომ თბილისის გუნდმა ორი ქულა დაკარგოს, რადგან ეს ყოველგვარი დახმარების გარეშე, რეალურად ხდება. ჩვენს შემთხვევაში კი, ამ ფაქტორს, საშინაო მატჩების მცხეთაში ჩატარება დაემატა.

**— გარდა ამისა, 9 ფრეს მიზეზი თქვენი ძლიერი დაცვა და შედარებით სუსტი თავდასხმაა, თორემ „ლოკომოტივს“ დაცვითი ფეხბურთის მიმდევრობას ვერ დავაბრალებთ.**

— ცხადია. როცა თავდამსხმელებს ბურთი ვერ გააქვთ, დაცვა და მეკარე არ უნდა უშვებდნენ, ფრე ლოგიკურია. მაგრამ მე მაინც ვთვლი, რომ პირველ წრეში გაშვებული მხოლოდ 6 გოლი მთელი გუნდის შრომის შედეგია, ისევე, როგორც 18-ის მეტი რომ ვერ გავიტანეთ, მთელი გუნდის ბრალია. გოლი პირველ რიგში თავდამსხმელს მოეთხოვება, მაგრამ იგი მწიფდება საყოველთაო მონდომებით. ჩვენ მეტწილად შეტევაზე ვფიქრობთ, მაგრამ რომ ვერ გაგვაქვს, ეს მაინც უფრო იმის ბრალია, რომ თავდამსხმელებმა ვერ შეასრულეს თავიანთი მისია.

**— გოდერძიშვილი, ხორგუაშვილი, გოგოლაძე, დაუშვილი — თავდასხმაში თამაში ოთხივეს მოუწია, მაგრამ „ლოკომოტივის“ ძირითადი ფორვარდი ამათში ვერ ამოირჩა.**

— ყველას მივეცი თამაშის შანსი, გიორგი ქორიძის გარდა, რომელსაც ოჯახური პრობლემები ჰქონდა. თუმცა მეორე წრისთვის ალბათ სერიოზულად მოემზადება და ითამაშებს, დანარჩენებმა თანაბრად ითამაშეს, მაგრამ ისე ვერა, როგორც შეუძლიათ. თქვენ წარმოიდგინეთ, ცხრა ფრედან შვიდი 0:0 დამთავრდა, ორჯერ ასე ვითამაშეთ თასზე „დინამოსთანაც“. რამხელა ბედნიერებაა, როცა შეგიძლია ერთხელ გაიტანო და მოსაგებად ესეც იკმარო...

**— მითუმეტეს, როცა ისეთი საიმედო დაცვა გყავს, როგორიც „ლოკომოტივისაა“. როგორ მოახერხეთ ეს?**

— ყველაფერი დაცვიდან იწყება და უკანა ხაზს დიდი ყურადღება მივაქციეთ. ჩვენდა საბედნიეროდ, ისეთი ბიჭები შევიმატეთ, როგორებიც არიან გორელები გიორგი ბალაშვილი და ვაჟა თარხნიშვილი. „მარგვეთიდან“ ძალიან ენერგიული გენადი კაციაშვილი გადმოვიბირეთ. ამათ კი დახვდათ პაატა ბარნოვი, რომელიც ყოველთვის დიდი შემართებით თამაშობს და ნიჭიერი მცველი დავით ბაქრაძე. ამათ ძალიან კარგი ბიჭი დიმიტრი არსოშვილიც დაემატათ და ის მივიღეთ, რითაც ახლა ბევრს ვჯობივართ.

**— მესამე-მეოთხე ადგილით უკმაყოფილო არ ბრძანდებით, მაგრამ, არა მგონია, მეორე ადგილზე მყოფ „ტორპედოსთან“ 8 ქულით ჩამორჩენა არ გაშფოთებდეთ.**

— ეს სხვაობა, ცხადია, არ მაკმაყოფილებს, რადგან მეტის მიღწევა შეგვეძლო. მაგრამ „გორდასთან“, „მერანთან“, „დილასთან“, „არსენალთან“ დაკარგული დასანანი 2-2 ქულა რომ არა, ეს სხვაობა ნოლი იქნებოდა. თუმცა „ტორპედო“, ჩემი აზრით, არასდროს რომ არ ყოფილა, ისე ძლიერი გუნდია.

**— „ლოკომოტივში“ ნაკრების სამი კანდიდატია, მაგრამ თქვენი გუნდი მაინც „უვარსკვლავოა“. თუნდაც წინა ხაზში არ გჭირდებათ ვინმე უფრო სახელდაგდებული, გამოცდილი?**

— როგორ არა. აბა, ეს დიდი კლუბები ვარსკვლავებში ზღაპრულ თანხებს ტყუილად კი არ იხდიან. ყველაფერს ფეხბურთელები აკეთებენ. ჩემი ფეხბურთელების განურჩევლად მადლობელი ვარ, მაგრამ „დინამოს“, „ტორპედოს“, „ბათუმს“, „კოლხეთს“ ჩვენზე უკეთესი მოთამაშეები ჰყავთ. ჩემი აზრით, ფეხბურთში ყველაფერს კარგი ფეხბურთელები წყვეტენ, მწვრთნელთა მითითებით, ცხადია. და მათთან მუშაობა ერთი ბედნიერებაა. ასეთებზე უარს ნამდვილად არ ვიტყვი.

**— ნაკლის აღმოფხვრას იგივე ძალებით აპირებთ, თუ სხვებსაც შეიმატებთ?**

— ზოგს დავემშვიდობებით, ზოგსაც ახალს მოვიწვევთ. ჯერჯერობით გარკვეულ-გადაწყვეტილი ვინმეს არც წასვლაა და არც მოსვლა. ვფიქრობ, სერიოზული მუშაობით მეორე წრეში უკეთესი შედეგი გვექნება.

**— მეოთხედფინალში „ბათუმის“ მეტოქეობა ხომ არ გაფრთხობთ — თასის მფლობელია.**

— ერთი ბრაზილია არ შეგვხვედრია, თორემ... სერიოზულად ვთქვათ. „დინამო“, „ბათუმი“, თუ ესეც დავძლიეთ, მერე, ალბათ, „ტორპედოსთან“ მოგვიწევს თამაში, მაგრამ მოვემზადებით და ვნახოთ, ვისი აჯობებს.

**ვახტანგ ბზიკაძე**

# დაუმარცხებელთა კაპიტანი

*„ლოკომოტივს“ თამამად შეიძლება ვუწოდოთ თანაბარი სიძლიერის ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი, თუმც მათ შორის, ჩვენი აზრით, პირველ წრეში გამორჩეულად პაატა ბარნოვი ირჯებოდა. ყველა მატჩში სტაბილურად თამაშით რკინიგზელთა კაპიტანი თანდათან გუნდის ლიდერად ჩამოყალიბდა.*

**— როგორ მოხვდი „ლოკომოტივში“?**

— სამი წლის წინ, როცა გუნდი ყალიბდებოდა (მაშინ რობინზონ ქონქლაძე იყო პრეზიდენტი), მე კი მინი-ფეხბურთს ვთამაშობდი, კობა ჟორჟიკაშვილმა შემომთავაზა, ბედი დიდ ფეხბურთში მეცადა და მეც დავთანხმდი.

**— არ გაგიჭირდა?**

— თავიდან ძალიან გამიჭირდა. სულ სხვა სივრცეები და მოთხოვნებია. თუმცა ყოველდღიური ინტენსიური ვარჯიშების შედეგად დიდ მოედნებს შევეჩვიე და კარგადაც გავუშინაურდი.

**— როგორ შეაფასებ „ლოკომოტივის“ გამოსვლას პირველ წრეში?**

— დადებითად. კარგად გამოვიყურებოდით, ვფიქრობ, მეტი შეგვეძლო, მაგრამ დასანანი ფრეები ვითამაშეთ ისეთ გუნდებთან, რომლებთანაც აუცილებლად უნდა მოგვეგო. შეიძლებოდა, დღეისთვის მყარად ვყოფილიყავით მესამე ადგილზე, თუმცა საწუწუნოც არაფერი გვაქვს.

**— შენი ამპლუა, ცოტა არ იყოს, გაურკვეველია. ხან მცველად თამაშობ, ხანაც საყრდენი ნახევარმცველის მოვალეობას ასრულებ.**

— მცველი ნამდვილად არ ვარ. ჩემი ამპლუა ნახევარმცველობაა. საყრდენად თამაში უფრო მიადვილდება. კვიტატიანის და არსოშვილის გუნდიდან წასვლის მერე მწვრთნელებმა ჩათვალეს საჭიროდ და დაცვაში გამამწესეს.

**— „ლოკომოტივის“ უმთავრესი კოზირი ძლიერი დაცვაა. მეთანხმები?**

— სეზონის დასაწყისში ფეხბურთელების დამატებაც ამ პრინციპით მოხდა. კარგი დამცველები მოიყვანეს. იგივე ვაჟა თარხნიშვილი, რომელიც, ჩემი აზრით, ეროვნულ ნაკრებშიც მშვენივრად გაართმევს თავს ლიბეროს ფუნქციას, ასევე ბალაშვილი, კვიტატიანი, არსოშვილი... მათი დიდი დამსახურებაა, რომ პირველი წრეში მხოლოდ ექვსი გოლი გავუშვით.

**— წარმოიდგენდი, რომ თასის გათამაშებიდან „დინამოს“ გამოთიშავდით?**

— პირველ მატჩში დინამოელებს საგოლე მომენტებით ვაჯობეთ. სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ გამიჩნდა იმედი. თუმცა, სიმართლე გითხრა, ძნელად წარმომედგინა, რომ ლანჩხუთის „გურიას“ მერე „ლოკომოტივი“ გახდებოდა ის გუნდი, რომელიც „დინამოს“ გზას მოუჭრიდა თასის ფინალისკენ და თანაც მერვედფინალში.



პაატა ბარნოვი

**— წილისყრამ „ბათუმი“ შეგახვედრათ.**

— კარგად მოგეხსენება, „ბათუმი“ სათასო გუნდადაა მონათლული. ცოტა არ იყოს, პირველი წრე ჩაუვარდათ და თავს მოიკლავენ თასის შენარჩუნებისთვის. არც ჩვენ დავიშურებთ ენერგიას. ძალიან რთული მატჩები გველის...

**— კაპიტანს ლიდერის თვისებები უნდა გააჩნდეს...**

— ამის შესახებ მწვრთნელი და თანაგუნდელები უკეთ გიპასუხებენ. ჩემი კაპიტნობა უფრო სიმბოლურია. სამი წელია, „ლოკომოტივის“ ღირსებას ვიცავ და, ალბათ, ამანაც განაპირობა.

**— თანაგუნდელებიდან ვის გამოარჩევ?**

— ყველას, მეკარიდან დაწყებული სათადარიგოებით დამთავრებული...

**— საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაში რომელ გუნდებს თვლი კონკურენტებად?**

— „დინამოს“ თავისთავად. „ტორპედოც“ კარგი გუნდია. შემდეგ „კოლხეთს“ და „ბათუმს“ დავაყენებ ჩვენი უპირველესი კონკურენტების სიაში.

**— სამი წლის წინანდელი და ახლანდელი ჩემპიონატის დონეს თუ შევადარებ?**

— ოდნავ წინსვლას ვგრძნობ. ყველაფერი ფინანსებთანაა დაკავშირებული. აი, ქუთაისის მაგალითი ავიღოთ. როცა სახსრები გამოჩნდა, შედეგიც სახეზეა. თუ დავით ჯანაშიას მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ, ისიც საქართველოში გაჩერდება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი წავა და მის შემცვლელს ჩვენს ჩემპიონატში ვერც მოძებნიან. მშვენიერი თავდამსხმელია.

**— ნაკრებიდან ხომ არ გეხმიანებიან?**

— სიმართლე გითხრა, ველოდი, რომ ესტონელების წინააღმდეგ დამიძახებდნენ. ხმებიც მომდიოდა, მაგრამ... თუმცა იმ შეხვედრის შემდეგ გუცაევს უთქვამს ჩემზე გამოვცდიო. ვნახოთ. მე ყველანაირად მზად ვარ ეროვნულ ნაკრებში სათამაშოდ...

**— ჯერჯერობით დაუმარცხებელი „ლოკომოტივის“ მიზნები?**

— ევროპაში გასვლა. არ ვიცი, იქ როგორ გამოვალთ, მაგრამ მთავარია, ევროთასებზე ვითამაშოთ. თუ ეს შემადგენლობა შევინარჩუნეთ და ერთი-ორი კაცი დავიმატეთ, გპირდებით, ექვს გოლზე მეტს არც მეორე წრეში გავუშვებთ...

**ხვიჩა სანიკიძე**

# ტორპედომ დაიწყო...

დიახ, ქუთაისელებმა, რამდენადაც ვიცით, ყველას დაასწრეს, გუშინ სამეორწრეო სამზადისს შეუდგნენ. გუნდმა მძლეოსნურ მანეჟში ფიზიკური მომზადებით დაიწყო.

ტორპედოელებს სამი კვირის წინანდელი შემადგენლობიდან ორი კაცი აკლდათ. ლევან ქებაძეს, მოგეხსენებათ, თავად არ სურს „ტორპედოში" დარჩენა, სხვაგან თამაშს აპირებს. „მარგვეთზე" იყო საუბარი, მაგრამ ეს ვერსია რეალობას მოკლებულად გვეჩვენება. ქებაძეს „დინამო" ეპატიჟებაო, რომ ამბობენ, უფრო დასაჯერებელია. „ტორპედოდან" გიალო ჩხაიძე განთავისუფლდა. მას კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა და, როგორც ჩანს, უკეთესი ვარიანტიც გამოუჩნდა. ჩხაიძეს რუსეთის უმაღლესლიგელ ერთ-ერთ გუნდში მოხვედრის შანსი აქვს.

ეს ორი რომ „ტორპედოს" დაეთხოვება, ფაქტია, დანარჩენების საკითხი დღეს უნდა გაირკვეს. ფეხბურთელებთან კონკრეტულ საუბარს და ახალი კონტრაქტების გაფორმებას კლუბის ხელმძღვანელობა სწორედ დღეს აპირებს. ახალს იმას გეტყვით, რომ გუშინ ტორპედოელებთან ერთად მეორევარგუფელი შსს აკადემიის ნახევარმცველმა დათო ბახტაძემაც ივარჯიშა. იგი 20 წლისაა, პირველ წრეში საკმაოდ შედეგიანად ითამაშა, 7 ბურთი გაიტანა. „ქემჩუჟინაში" ნათამაშევ გიორგი გოგიაშვილს კლუბის ხელმძღვანელობამ თავისი პირობები წაუყენა და ფეხბურთელს ოთხი დღე მისცა მოსაფიქრებლად. გოგიაშვილმა, გული სოჭში დაბრუნებას მკარნახობსო... ვახტანგ ხვადაგიანს კი ეს შემოუთვლია, 20 დეკემბრიდან შემოგიერთდებითო. კიდევ, დღესვე საბოლოოდ გადაწყდება, იმუშავებს თუ არა „ტორპედოში" მწვრთნელად მიხეილ კვერნაძე.

**იუზა ძაციტაძე**



წივწივაძე (№10) შესაძლებელია „ლოკომოტივისთვის" გაისარჯოს

# ლოკომოტივი ჰამლეტით და უჰამლეტოდ

მეორე წრემდე ქართულ გუნდებს სამიოდე თვე, მოსამზადებელი პროცესები, ცივი ზამთარი და საფეხბურთო ტრანსფერების ციებ-ცხელება ელოდებათ. ჯიბეთხელები ჯიბის გასქელებაზე და სპონსორების გამოძებნაზე ათენ-ალამებენ, იმათ კი, ვისაც ზურგს გავლენიანი მფარველები უმაგრებს, ერთ რამეზელა უწევთ ზრუნვა — როგორმე შემადგენლობა გააძლიერონ და სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესონ.

პირველ წრეში დაუმარცხებელი „ლოკომოტივი" თუ ვინმეს შეიძლება დაემდუროს, ისევ თავის თავდამსხმელებს. ამადაც თუ გადაწყვიტეს რკინიგზელებმა ფოთელი ბომბარდირის ჰამლეტ წივწივაძის გადაბირება, რომელიც უეჭველად წაადგება ლოკომოტიველთა თავდასხმას.

როგორც რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ბატონმა გუგული მაისურაძემ გვაცნობა, თემურ მახარაძე უკვე შეეხმიანა წივწივაძეს და „ლოკომოტივში" გადასვლა შესთავაზა. თავის მხრივ, ფეხბურთელს უპასუხია, რომ აქვს რამდენიმე უცხოური გუნდის ვარიანტი, რომელთა რეალურობასაც 22 დეკემბრამდე გაარკვევს. თუკი უცხოური ვარიანტი არ შედგა, მეორე წრეში თქვენთან გადმოვალო — უთქვამს წივწივაძეს.

ალდგომა და ხვალეო, 22 დეკემბერიც მალე მოვა, მაგრამ საკითხავად ის გვაქვს, ასეთივე დაპირება ფოთის „კოლხეთსაც" მისცა წივწივაძემ და რომელ მათგანს ამჯობინებს ფეხბურთელი?

„ლოკომოტივი" კი, იმის მიუხედავად, გადავა თუ არა მათთან წივწივაძე, უკვე სამზადისში და შეკრების გასავლელი ადგილის ძებნაშია. ასეთად თავდაპირველად დაბა გრიგოლეთი შეუგულებიათ რკინიგზელებს, მაგრამ იქაური ბაზის კეთილმოუწყობლობის გამო უარუყვიათ და ახლა უკეთეს ვარიანტზე ფიქრობენ.

ის კი, სად გაივლის „ლოკომოტივი" შეკრებას, ჩვენ (და შესაბამისად მკითხველს) უახლოეს დღეებში გვეცოდინება.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# ჩომახიძე დინამოში, ხუჭუა სად?

ქართული სატრანსფერო ციებ-ცხელება ნელ-ნელა იკრებს ძალას. მიდიან და მოდიან ქართველი ფეხბურთელები. ერთი სიტყვით, მეორე წრისთვის გამალებული მზადებაა.

ორიოდე კვირის წინ „სარბიელმა" სამტრედიულ „ალიაზე" გამცნოთ. მაშინ ისიც გითხარით, რომ დავით ხუჭუამ უკვე გააფორმა კონტრაქტი თელ ავივის „მაკაბისთან", ამაშუკელის ტრანსფერი არ შედგა, ჩომახიძე კი გიორგი დარასელიას „ზაფრირიმში" იმყოფებოდა გასასინჯად.

ორიოდე დღის წინ შოთა ჩომახიძე ისრაელიდან სამტრედიას დაბრუნდა და „სარბიელს" ეს განუცხადა:

— ჩემი ტრანსფერი „ზაფრირიმთან" არ გაფორმდა. როდესაც გუნდში ჩავედი, იქ უკვე დამხვდა ოთხი ლეგიონერი. ჩემს ჩასვლამდე რამდენიმე დღით ადრე „ზაფრირიმს" უცხოელი მეკარე შეუძენია და ამით ლეგიონერთა კვოტაც ამოუწურავს. ასე რომ, ძუკუს გუნდში დარჩენას ჩემთვის ალარავითარი აზრი ალარ ჰქონდა. რაც შეეხება თვითონ გიორგი დარასელიას, იგი მშვენივრადაა თავის კლუბში და ძველებურად წამყვანი მოთამაშეა.

ისრაელში ჩასული სხვა სამტრედიელების შესახებაც გვესაუბრა შოთა: — როგორც იცით, დავით ხუჭუას თელ ავივის „მაკაბისთან" ფაქტიურად გაფორმებული ჰქონდა კონტრაქტი. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ტრანსფერის მოთხოვნაზე ფაქსიც კი გამოუშვეს, მაგრამ კონტრაქტის გაფორმებას ხუჭუას ახალი კლუბის ფინანსურმა სიდუხჭირემ შეუშალა ხელი. საქმე იმაში იყო, რომ თუკი „მაკაბის" ხუჭუას თავისთან დატოვება სურდა, ისარელის ფეხბურთის ფედერაციაში უნდა შეეტანა გადასახადი, საიდანაც დაერიცხებოდა ქართველ ფეხბურთელს ხელფასი. ეს თელ ავივის „მაკაბიმ" ვერ შეძლო და ამდენად ხუჭუას ებრაული ვარიანტი ჩაეშალა.

ხუჭუასი არ ვიცით და თვითონ ჩომახიძემ საქართველოში მოძებნა ახალი და სამტრედიულ „იბერიაზე" გაცილებით სოლიდური გუნდი — საქართველოს მარადი ჩემპიონის თბილისის „დინამოს" სახით. ესეც წინ გადადგმული ნაბიჯია და თქმა არ უნდა, კარგადაც წაადგება საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატს, მით უმეტეს, იმასაც თუ დავძენთ, რომ „იბერიაში" პირველი წრის დასასრულს სავარჯიშო პროცესები იყო ჩაშლილი.

ჩომახიძის განცხადებით, მისი „დინამოში" გადასვლა ფაქტობრივად გადაწყვეტილია, მოლაპარაკება უკვე შედგა და მეორე წრეში ჩემპიონის შესუსტებულ ნახევარდაცვას სამტრედიელი ფეხბურთელი გააძლიერებს.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# არმია მანევრებს იწყებს

მეათე ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე თბილისის „არსენალმა" დებიუტანტის კვალობაზე საკმაოდ კარგად ჩაატარა. წარუმატებელი სტარტის შემდეგ არმიელებმა აშკარად მოუმატეს თამაშს. ეს ცხრილშიც კარგად აისახა — ჩემპიონატის დასაწყისში აუტსაიდერთა შორის მყოფმა გუნდმა პირველი წრე მერვე ადგილზე დაასრულა.

არმიელებმა გადაწყვიტეს, გუნდის მეორე წრისთვისაც სერიოზულად მომზადება. თავკაცმა მამუკა გეგეჭკორმა ფეხბურთელები გუშინ, 15 დეკემბერს შეკრიბა და არმიის სპორტული კლუბის დარბაზში ვარჯიში დაიწყეს. დაახლოებით 10 იანვრიდან კი ზღვისპირეთში განუზრახავთ შეკრების მოწყობა.

შესაძლოა, „არსენალი" მეორე წრეს ოდნავ შესუსტებული შეხვდეს. ზაზა ზირაქიშვილი ერთ-ერთ თურქულ კლუბში აპირებს გასასინჯად წასვლას. ასევე გასასინჯად იმყოფება რიგის „სკონტოში" ლევან კორღალიძე, ხოლო გია ფირცხალავამ აქტიური საფეხბურთო კარიერა დაასრულა და ფეხბურთის ფედერაციაში, კერძოდ, საშეჯიბრო განყოფილებაში მუშაობა გადაუწყვეტია. მათ სანაცვლოდ მამუკა გეგეჭკორს რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი შეუგულებია, რომლებიც გუნდთან ერთად ივარჯიშებენ. ვინ დარჩება გუნდში, ამას მწვრთნელი მეორე წრის დაწყებამდე გადაწყვეტს.

**ვანო ოქროპირიძე**

# ხუჯაძეები მიდი-მოდიან

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი შალვა ხუჯაძე, როგორც ფეხბურთის გულშემატკივართათვის იყო ცნობილი, სეზონის დაწყების წინ ქუთაისის „ტორპედოს" მხოლოდ ინტერტოტოზე დაეხმარა და შემდეგ უკრაინას, ტერნოპოლის „ნივას" მიაშურა. მანამდე კი ფრანგული „მონპელიეს" ვარიანტი იყო, მაგრამ შალვამ „პეეოს" „ნივა" არჩია. იქ მან რამდენიმე თვე დაჰყო და უკან გამობრუნდა. ამის მერე იყო საუბრები, ხუჯაძე ისევ „ტორპედოს" დაუბრუნდებაო. ყურს იმასაც მოჰკრავდით, იგი „დინამოსაც" სურსო. საქმეში უკეთ გასარკვევად კი თავად ფეხბურთელს დავუკავშირდით. შალვა ხუჯაძემ კი სულ სხვა რამ გვაცნობა: „გერმანიის მეორე ბუნდესლიგის ვარიანტი მაქვს. გუნდის დასახელებისგან ჯერჯერობით თავს შევიკავებ, მათ ზარს ამ დღეებში ველოდები. ვიდეოფირები გაგზავნილი მაქვს და პასუხი ამ კვირაშივე მეცოდინება. ვნახოთ, თუ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა, ისევ „ტორპედოში", ანაც „დინამოში" ვითამაშებ."

რაც შეეხება მის ძმა ირაკლის, თუ გახსოვთ, მან სეზონი რუსთავის „გორდაში" დაიწყო, მაგრამ იქ დიდხანს არც დარჩენილა. ფეხბურთელები რუსთავიდან გარბიან და რა გასაკვირია, რომ ირაკლიც წამოვიდა. მან ტრავმა მოიშუშა და ნელ-ნელა ვარჯიშსაც შეუდგა. ირაკლი ხუჯაძის მსურველი გუნდებიდან უფრო თბილისური კლუბები აქტიურობენ, განსაკუთრებით „მერანი" და ფეხბურთელიც, ალბათ, ტრანსპორტელებს შეუერთდება.

**გიორგი ვაშაძიძე**

# მომავალი მოდის

თბილისში, ნაძალადევის რაიონში, 6-დან 15 დეკემბრის ჩათვლით გაიმართა წარსულში ცნობილი ფეხბურთელის, 70-იანი წლების თბილისის „დინამოს" კაპიტან ვახტანგ ჭელიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული ტურნირი ფეხბურთში 1984-85 წლებში დაბადებულ მოზარდებს შორის. შეჯიბრის ორგანიზატორები იყვნენ ნაძალადევის რაიონის გამგეობა და ბამბის ნართის სააქციო საზოგადოება „ფეიქარი". მათ ეხმარებოდა ჩუღურეთის რაიონის გამგეობა და მე-4 პურის ქარხანა. ტურნირის სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი კი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ბატონი ჟანი ლეჟავა გახლდათ.

შეჯიბრში მონაწილე 18 გუნდი, ყველა თბილისური, სამ ჯგუფად დაიყო. ჯგუფში თითოეულ გუნდს ხუთმა თამაშმა მოუწია. პირველ-მეორე ადგილზე გასულთ ორი საუკეთესო მესამე შეუერთდათ და მეოთხედფინალებიც გაიმართა. ნახევარფინალამდე მისული ოთხი გუნდი შემდეგნაირად დაწყვილდა: 35-ე საფეხბურთო სკოლის I გუნდი (მწვრთნელი ზურაბ ხუბაევი) — დინამო 3 (მწ. რევაზ ბარამიძე), 35-ეს II გუნდი (მწ. გიორგი ბაქანიძე) — „ავაზა" (მწ. მერაბ მდივნიშვილი). ფინალის საგზური დაძაბულ ბრძოლებში 35-ეს I გუნდმა და „ავაზამ" მოიპოვეს. მათ შესაბამისად 3:2 და 4:2 დაამარცხეს მეტოქენი.

მე-3 ადგილისთვის მატჩი და ფინალი გუშინ გაიმართა და 200-მდე მაყურებელი მეტად საინტერესო თამაშების მოწმეც გახდა. თავიდან მოედანზე დინამო-3 და 35-ე II გუნდი გამოვიდნენ. პირველი ტაიმი მთლიანად დინამოელთა უპირატესობით წარიმართა. მათმა ტანმორჩილმა თავდამსხმელებმა შედარებით მაღალ მცველებს სისხლი გაუშრეს და ექვსი უპასუხო გოლიც გაუტანეს. მეორე ტაიმი კი პირველის საპირისპირო იყო. 35-ელებმა სამი გოლის გატანა მოახერხეს და ბოლო წუთზე დიდი ანგარიშით წაგებისგან თავის დაღწევაც შეეძლოთ, მაგრამ მათ ფორვარდს მეტოქის მეკარემ პენალტი აუღო.

ფინალური ორთაბრძოლაც ნამდვილად კარგი, თვალსასეირო გამოდგა. მატჩის ბედი აქაც პირველ ტაიმში გადაწყდა, როცა ზურაბ ხუბაევის მშვენივრად გაწვრთნილმა ბიჭებმა მოწინააღმდეგეს ოთხჯერ დააწყებინეს ცენტრიდან თამაში, თავად კი ერთი გოლიც არ გაუშვიათ. მეორე ტაიმში „ავაზას" მწვრთნელებმა სათანადო კორექტივები შეიტანეს თავიანთი გუნდის თამაშში, რამაც სასურველი შედეგი გამოიღო, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ავაზელებმა სამი გოლის გაქვითვა შეძლეს და შეიძლებოდა თამაშის გადარჩენაც მოეხერხებინათ, მაგრამ მსაჯის საფინალო სასტვენმა მოუსწროთ.

შეხვედრების დასრულების შემდეგ მოთამაშეებს პრიზები გადაეცათ. საუკეთესო ოთხეულის დაჯილდოებაში ვახტანგ ჭელიძის აღმზრდელი ბატონი გიორგი მამალაძეც მონაწილეობდა. ტურნირის საუკეთესო მეკარედ 35-ე სკოლელი გიორგი ყურაშვილი დაასახელეს, საუკეთესო მცველად — რომან ღვინჯილია (35-I), საუკეთესო ნახევარმცველად — თენგიზ ხარჩილაძე (35-I), საუკეთესო თავდამსხმელად — ედემ დგებუაძე (დინამო 3), საუკეთესო მოთამაშედ — დავით ორდენიანცი (ავაზა). გათამაშდა სხვა პრიზებიც. ტურნირის ბომბარდირი 7 გოლით გიორგი ბუჩელაშვილი გახდა (ავაზა), მასვე გადაეცა ყველაზე ლამაზი გოლის გამტანისთვის დაწესებული ჯილდო. ყველაზე ტექნიკურ მოთამაშედ მიხეილ ოქიტაშვილი (35-II) აღიარეს, პერსპექტიულ ფეხბურთელად გიორგი აბრამიშვილი, ფინალის საუკეთესო მოთამაშედ კი 35-ელების მეკარე გიორგი ლაზარია.

„სარბიელის" განსაკუთრებული სიმპათია კი დინამოელმა მიშიკო ჭრიკაშვილმა დაიმსახურა, რომელმაც ერთი-ორი ისეთი ფინტი გააკეთა, ბევრს შეშურდებოდა.

**გაიოზ თალაკვაძე**

# იჯარას რა ვუყოთ?

რუსთავის „გორდას" კაპიტან ვარლამ კილასონიას „სამგურალში" შესაძლო გადასვლაზე ადრეც ვიუწყებოდით. წყალტუბოელთა თავკაცმა გაიოზ დარსაძემ ამ ფეხბურთელის გადაბირება ერთობ მოიწადინა. მას მეორე წრისთვის „სამგურალის" გაძლიერება დაუსახავს მიზნად და, კილასონიას დარად, რუსთავიდან ალექსანდრე ბურნაძის წაყვანაც განუზრახავს.

ვარლამ კილასონიას ჩვენი ქვეყნის სხვა გუნდებიც იწვევენ. რამდენიმე დღის წინ მას „ლოკომოტივის" წარმომადგენლებიც დაუკავშირდნენ და ხელსაყრელი პირობებიც შესთავაზეს. თუმცა ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ დარსაძესა და კილასონიას შორის სიტყვიერი შეთანხმება მიღწეულია და თუ წყალტუბოს გამგეობამ გუნდისთვის დაპირებული თანხა გამოჰყო, ფეხბურთელი ჩემპიონატის განახლებას „სამგურალის" რიგებში შეხვდება. თუმც ადვილი შესაძლებელია, კილასონიამ საერთოდ ვერ ითამაშოს საქართველოში. იგი კონტრაქტით კრასნოდარის „ყუბანის" კუთვნილებაა და სეზონის წინ ამ კლუბიდან მოხვდა რუსთავის „გორდაში". მაშინ რუსთაველებმა გაჭირვებით მოახერხეს ექვსთვიანი საიჯარო თანხის გადახდა. მოკლედ, მეორე წრის დაწყებამდე კილასონიას განათხოვრების ვადა ამოიწურება და მისი გადაბირების მსურველ კლუბს „ყუბანთან" მოუწევს საქმის დაჭერა.

**პაატა ძვანტალიანი**

Ayety TV

მრავალარხიანი საკაბელო ტელევიზია

პირველი სთავაზობს თბილისის მოსახლეობას საახალწლო საჩუქარს

პირველ 250 მსურველს ვთავაზობთ მონტაჟისა და 2 თვის სააბონენტო გადასახადის წინასაახალწლო ტარიფებს

უნივერსალური პაკეტი - 40 ლარი - ~~76-ის ნაცვლად~~ (12 არხი)
სტანდარტული პაკეტი - 60 ლარი - ~~90-ის ნაცვლად~~ (14 არხი)
პრემიალური პაკეტი - 80 ლარი - ~~106-ის ნაცვლად~~ (20 არხი)
ელიტარული პაკეტი - 100 ლარი - ~~120-ის ნაცვლად~~ (22 არხი)

გაუკეთეთ თქვენს ოჯახს საახალწლო საჩუქარი ამ ფასად

93 47 33 ☎ 92 12 66

# დატოვეს


სარჩიელის არქივიდან

ლუის ვან გაალს საფიქრალი მოემატა — „ბარსელონას" ხელმძღვანელობა მას ენდო და ჰოლანდიელსაც კატალონიური კლუბის გადარჩენა მოუწევს

ლუის ვან გაალი „ბარსელონას" მწვრთნელად დარჩა.

ორშაბათს კატალონიური კლუბის პრეზიდენტი ხოსე ლუის ნუნიესი და დირექტორთა საბჭო ყოველთვიურ თათბირზე შეიკრიბა. იკამათეს რამდენიმე საათი და ბოლოს მაინც ერთ გადაწყვეტილებამდე მივიდნენ — ლუის ვან გაალს კლუბი სეზონის ბოლომდე ანდეს.

ბოლო ტურში „ბარსელონა" შინ დამარცხდა „ვილიარეალთან". კლუბმა პრიმერა დივიზიონში ზედიზედ მეოთხედ წააგო და მეათე ადგილზე დაეშვა! არც მეტი, არც ნაკლები, ცხრამეტი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც „ბარსელონა" ასე არ დაქვეითებულა.

წაგებაცაა და წაგებაც, მაგრამ შინ, გადაჭედილ „კამპ ნოუზე" 1:3 მარცხი ვინმე (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) „ვილიარეალთან" უბრალოდ, მიუღებელია. „ბარსელონა" იმ გუნდების კატეგორიას მიეკუთვნება, რომელიც ასეთ შეხვედრებს არ უნდა აგებდეს. რეალობა კი სულ სხვაა — „ბარსა" მარცხდება და ჯერჯერობით არანაირი იმედი არ არის, რომ სიტუაცია გამოსწორდება.

„არც ერთი დღე „ბარსელონას" მწვრთნელად" — წერდა „ელ მუნდო". „გულშემატკივრები ვან გაალის თავს ითხოვენ" — ამბობს „მარკა". „დამქცევრის დროც მოვიდა" — ეს სიტყვები AS-ს ეკუთვნის.

პრესა „ბარსელონას" კრიზისს მტკივნეულად განიცდის. და განა მარტო პრესა? ქომაგები, ფეხბურთელები, გუნდის ხელმძღვანელები. თითქმის ყველა, მაგრამ ვან გაალს მაინც ვერ იშორებენ.

— ადვილია იმის თქმა, წადიო, მაგრამ თანამდებობიდან გადადგომა ასე ადვილი რომ იყოს, აქამდე წავიდოდი. მე კლუბის ხელმძღვანელობა მენდო. შევეცდები, იმედი გავუმართლო — ვან გაალმა ეს სიტყვები „ვილიარეალთან" წაგების შემდეგ განაცხადა.

ორშაბათს, როცა „ბარსელონას" პრეზიდენტის ხოსე ლუის ნუნიესის სიტყვა მოისმინა შერისხული ვან გაალი კვლავ ალაპარაკდა: „გულშემატკივრებს ვთხოვ, ნერვები მოთოკონ. გასულ სეზონში ჩვენ ამაზე უარესი კრიზისისთვის დაგვიღწევია თავი. გადაულახავი პრობლემა არც ჩვენი დღევანდელობაა. მალე ყველაფერი კარგად იქნება".

ამბობენ, ტყუილის მთქმელს სიმართლესაც აღარ უჯერებენო. ლუის ვან გაალმა ამგვარი რამ ადრეც რამდენჯერმე განაცხადა, მაგრამ სიტუაციას ცვლილებისა არაფერი დატყობია. ვითომ ახლა შეიცვლება რამე? საეჭვოა, ძალიან საეჭვო.

და მაინც, ვან გაალი „ბარსელონას" მწვრთნელად დატოვეს.

ლაშა გოდუაძე

# ბოიკოტი

აზიის ფეხბურთის კონფედერაცია ფიფას წინ აღუდგა. 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს, რომელსაც ერთად უნდა უმასპინძლონ იაპონიამ და კორეამ, შესაძლოა ფიფას წევრი რამდენიმე აზიური სახელმწიფო განუდგეს. მიზეზი დამაფიქრებელია.

1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის ფიფამ აზიის ფეხბურთის კონფედერაციას სამი საგზური გამოუყო, ამასთანავე მეოთხე აზიურ ქვეყანასაც მისცა ოკეანის ზონის გამარჯვებულთან პაექრობის შანსი. შედეგად ზაფხულში, მსოფლიოს ჩემპიონატზე, მონაწილეობდა ოთხი აზიური ქვეყანა — იაპონია, კორეა, საუდეთი და ავსტრალიასთან გადათამაშებაში გამარჯვებული ირანი. ახლა, როცა მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატს ორი აზიური ქვეყანა მასპინძლობს ერთდროულად, როცა იაპონიაც და კორეაც პირდაპირ არიან დაშვებულნი ფინალურ ეტაპზე, ფიფამ აზიის ფეხბურთის კონფედერაციას მხოლოდ ორი საგზური გამოუყო. აზიის ფეხბურთის ხელმძღვანელთა წყრომის მიზეზი სწორედ ეს ყოფილა.

— ფიფამ მცდარი გადაწყვეტილება მიიღო. განა შეიძლება, ისეთ დიდ კონფედერაციას, როგორიც აზიისაა, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მხოლოდ ორი საგზური გამოუყო? არა, ფიფამ მართლაც დიდი შეცდომა დაუშვა და მოვითხოვთ, მათ ეს გამოასწორონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ფიფა შეიძლება დიდ სირთულეებს წააწყდეს — აზიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტმა პიტერ ვილაპანმა გულისწყრომა ბანგკოკში გამოთქვა. იქ ახლა აზიის ხალხთა თამაშები მიმდინარეობს.

აზიის ფეხბურთის კონფედერაციას ფიფასთვის ბოიკოტი უცბად არ გამოუცხადებია. კონფედერაციის წევრი ქვეყნების პრეზიდენტები და ხელმძღვანელები ბანგკოკში შეიკრიბნენ და ამ საკითხზე კარგა ხანს იმსჯელეს, ზემოთქმული გადაწყვეტილებაც მაშინ მიიღეს.

სხდომაზე განსაკუთრებით გამოირჩეოდა ახმად ალი-ფაჰად ალ-საბერი, აზიის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე, ამავე დროს ქუვეითის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი. პროტესტის ერთ-ერთი ინიციატორიც სწორედ იგი გახლავთ.

— გადავწყვიტეთ, აზიის ხალხთა უფლებები დავიცვათ. ფიფა ჩვენს კონტინენტს არც ისე დიდ ყურადღებას აქცევდა, მაგრამ დროა, თვალი გავახილოთ, ფეხბურთის თამაში აზიაშიც ისწავლეს. საცაა მსოფლიოს ჩემპიონატსაც უნდა ვუმასპინძლოთ. ასე რომ, აზიის ფეხბურთს გაცილებით მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, ვიდრე აქამდე. ჩვენ ახლა ამისთვის ვიბრძვით — ახმად ალ-ფაჰად ალ-საბერი არაფერს და არავის მორიდებია.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, აზიის ფეხბურთის კონფედერაციისგან ფიფა გვარიან წინააღმდეგობას წააწყდა. აზიელები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ფორმულის შეცვლას ითხოვენ, ფიფა კი დადგენილ წესებს ადვილად არ გადაუხვევს.

ყველაზე სოცარი ისაა, რომ თითქოს მსოფლიო ფეხბურთის მმართველ ორგანიზაციას აზიელები არ ეყოფოდაო და ხმა ავსტრალიის ფეხბურთის ფედერაციამაც აიმაღლეს. მწვანე კონტინენტელებიც იმავეს ითხოვენ, რასაც აზიელები — შესარჩევი ტურნირის ფორმულის შეცვლას.

1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისგან განსხვავებით, სადაც საფრანგეთის საგზურის მოსაპოვებლად ოკეანიის ზონის გამარჯვებული, ანუ როგორც უმეტეს შემთხვევაში ხდება ავსტრალია, აზიის მეოთხე გუნდს უნდა დაპირისპირებოდა. 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ავსტრალია სამხრეთამერიკულ მეტოქეს შეებრძოლება. ავსტრალიელებს სამხრეთამერიკელი მეტოქისთვის ჯერ არასდროს უჯობნიათ. მათ სწორედ ეს აღარდებთ.

ირაკლი ილაშვილი

# უჭირს ალბანეთს, მაგრამ...

EURO 2000

ჩვენი ჯგუფი

ალბანეთი ევროპის უღარიბესი ქვეყანაა და ამიტომაც ლოგიკურია, რომ ამ ქვეყანაში ფეხბურთი ვერ დგას მოწოდების სიმაღლეზე. ალბანეთის ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელთა საშუალო ხელფასი 150 დოლარია და ხშირ შემთხვევაში მათთვის ამ მიზერული გასამრჯელოს მიღებაც დიდ პრობლემას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ნიჭიერ ალბანელ ფეხბურთელთა საზღვარგარეთ მიგრაციაც სავსებით ბუნებრივია.

მაგალითად ალტინ ლალაც იკმარებს. 22 წლის ნახევარმცველი ამჟამად გერმანულ „ჰანოვერ 96"-ში თამაშობს და პირველი სანაკრებო მატჩი წლეულს თურქეთის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ გამართა. მას შემდეგ, რაც ლალა 15 წლის შესრულდა, ოჯახთან ერთად გერმანიას მიაშურა, თავი აარიდა გაჭირვებულ ყოფას და წავიდა იქ, სადაც უკეთესი პირობებია შექმნილი პროფესიონალად ჩამოყალიბებისთვის. იგი მარტო არ არის. 1990 წლის მერე, რაც ქვეყანაში კომუნისტური რეჟიმი დაემხო და ქაოსი გამეფდა, ალბანეთი უამრავმა ფეხბურთელმა მიატოვა. დღესდღეობით ნაკრებში მოთამაშეთაგან 10 ფეხბურთელი უცხოურ კლუბებში გამოდის.

ესეც ლოგიკურია.

— ამ მომენტისთვის ალბანეთის ჩემპიონატში მონაწილე გუნდებიდან არც ერთში არ არის თერთმეტი ასე თუ ისე ნორმალური დონის ფეხბურთელი, არაფერს ვამბობ მაღალი კლასის სპორტსმენებზე. უკეთეს შემთხვევაში ასეთი გუნდში სამი-ოთხი თუ იქნება — ეს სიტყვები ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის გენერალურ მდივან სულეიმან სტაროვას ეკუთვნის.

ასოციაცია ალბანეთის მთავრობისგან ყოველწლიურად ერთ მილიონ დოლარს იღებს ფეხბურთის განვითარებისთვის. ძალიან ცოტას, რადგან ეს თანხა უნდა გადანაწილდეს სამ დივიზიონში და ასევე ბავშვთა ფეხბურთში. როგორც უკვე ვთქვით, უმაღლეს ლიგაში საშუალო ხელფასი თვეში 150 დოლარს შეადგენს და ეს მაშინ, როდესაც ინგლისის პრემიერლიგაში ფეხბურთელი (არ არის აუცილებელი ვარსკვლავი იყოს) კვირაში 30 ათას დოლარს იღებს.

ამიტომაც ცდილობენ ალბანელები, როგორმე გააღწიონ სამშობლოდან და საზღვარგარეთ, თუნდაც დაბალი დონის კლუბებში ითამაშონ. ამით კი პირველ რიგში ალბანური ფეხბურთი ზარალდება. ნაცნობი სურათია, არა?

სტაროვას მთავარ ამოცანასაც ამ პროცესის როგორმე შეჩერება წარმოადგენს. მოვუსმინოთ მას.

— ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელების მეორეხარისხოვან კლუბებში მიგრაცია დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს. სხვაგვარად არაფერი გამოვა. ამისთვის კი დიდი ფულია საჭირო. ალბანეთის მთავრობას თხოვნით მივმართეთ, უმაღლესი დივიზიონის თექვსმეტივე გუნდის პრივატიზება მოახდინოს და რაც შეიძლება დიდი ინვესტიციები დააბანდოს ქვეყანაში სპორტის ამ სახეობის განვითარებისთვის. პასუხი მეტად დამაიმედებელი მივიღეთ — კლუბების პრივატიზება მომავალი წლისთვის არის მოსალოდნელი. თუ ასე მოხდება, ალბანური ფეხბურთი გვარიანად ამოისუნთქებს.

ამავდროულად ასოციაციამ ხელშეკრულება გააფორმა გერმანულ სატელევიზიო კომპანია UFO-თან, რომლის თანახმადაც ეს კომპანია ალბანეთის ნაკრების მიერ ჩატარებულ ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩების ტრანსლაციის უფლებას, ხოლო ასოციაცია 1,5 მილიონ მარკას (909, 600 დოლარი) მიიღებს. არცთუ ურიგო შემოსავალია გაჭირვებული ალბანეთისთვის. სტაროვას ამ თანხის გამოყენების სათანადო გეგმა უკვე შედგენილი ჰქონია.

— ფული მთლიანად ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას მოხმარდება, ბოლო მარკის ჩათვლით. სწორედ აქედან უნდა დავიწყოთ დიდი ინდუსტრიის მშენებლობა. ალბანეთს არასდროს აკლდა ახალგაზრდა ტალანტები, უბრალოდ, მათ ნიჭს ვერ ვიყენებდით. ახლა სხვაგვარად იქნება — ბავშვებს დიდი ფეხბურთის სათამაშოდ ყოველგვარ პირობებს შევუქმნით.

დღესდღეობით ალბანეთის საფეხბურთო სკოლებში ბავშვების მიღება ძირითადად 8 წლიდან ხდება. შექმნილია საგანგებო სამოყვარულო ლიგა. მშობლებს ყოველთვიურად 10 დოლარის გადახდა უწევთ (მათი ხელფასი საშუალოდ 50-70 დოლარია) და, მიუხედავად ამისა, ბავშვთა ფეხბურთს მაინც ძალიან უჭირს — არ არის ნორმალური სავარჯიშო და სათამაშო მოედნები, სავარჯიშო ატრიბუტიკა ძალიან ძნელი საშოვნელია, ხოლო ბუცები საერთოდ ფუფუნებად ითვლება.

ერთი სიტყვით, ალბანურ ფეხბურთს ძალიან უჭირს, პირველ რიგში ფინანსურად, მაგრამ...

მაგრამ ალბანეთის ნაკრებმა სტუმრად მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ გერმანიის ნაკრებს დიდი ბრძოლა გაუმართა და მხოლოდ უიღბლობის და გამოუცდელობის გამო დამარცხდა 3:4, მაგრამ მათ თურქებს (ჰოლანდიას და გერმანიას რომ მოუგეს, იმ თურქებს) სულ კუდით ქვა ასროლინეს — 4:1, მაგრამ ბერძნებთან (საქართველო რომ მიწასთან გაასწორეს) ფრედ 0:0 დაასრულეს შეხვედრა, მაგრამ მშვენივრად ითამაშეს ბრაზილიელების ორჯერ მომგებ ნორვეგიელებთან ოსლოში — 2:2...

რაშია საქმე?

ალბათ, საქმისადმი არაგულგრილ დამოკიდებულებასა და პატრიოტიზმში.

თითქმის საბოლოოდ გადაწყდა — გაისად ალბანეთის ეროვნული გუნდი ამხანაგურად ჰოლანდიის ნაკრებს დაუპირისპირდება, სავარაუდოდ ტირანაში UFO მზად არის, ამ მატჩის ტელეტრანსლაციის უფლების მისაღებად 300 ათასი დოლარი გადაიხადოს ანუ ალბანეთის ფეხბურთის ასოციაციამ ერთბაშად ორი კურდღელი დაიჭირა — ნაკრები კვალიფიკაციასაც აიმაღლებს და სოლიდურ თანხასაც მიიღებს.

ასეა, ალბანური ფეხბურთი ნელ-ნელა გამოდის ჩიხიდან. ყოველ შემთხვევაში, ძალიან ცდილობს. ცდა კი, როგორც მოგეხსენებათ ბედის მონახევრეა. ეს ამბავი სტაროვამაც კარგად იცის, მას მომავლის დიდი იმედი აქვს. ამ წერილსაც მისი ოპტიმისტური სიტყვებით დავასრულებთ.

— ამჟამად მსოფლიოში ჩვენზე ძლიერი ბევრი გუნდია, მაგრამ ყველაფერი წინ არის. ღრმად ვარ დარწმუნებული, უახლოესი ათი წლის განმავლობაში ალბანეთის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვდება და თავის სათქმელს იქაც იტყვის.

მოამზადა
დავით კოპზირიძემ


[illegible] ფოტო

ალბანეთის ნაკრები ქართველებთან წლევანდელი 5 სექტემბრის შეხვედრისთვის ემზადება




ვანდერლეი ლუქსემბურგო

# მთავარია შუშა

ვანდერლეი ლუქსემბურგოს ვინაობა ვეებერთელა ბრაზილიაში ყველას კარგად მოეხსენება. იგი ქვეყნის ეროვნული გუნდის თავკაცი გახლავთ, მაგრამ იმავდროულად კლუბს, „კორინთიანსსაც" უდგას სათავეში. ლუქსემბურგო კარგი მწვრთნელია, მისი ხელმძღვანელობით „კორინთიანსმა" ეროვნული პირველობის ფინალში გააღწია და იქ, პირველ შეხვედრაში „კრუზეიროსთან" 2:2 ითამაშა, ოღონდ ეს უკვე ლუქსემბურგოს გარეშე მოხდა.

რატომ? ყველაფერს თანმიმდევრულად მოვყვეთ:

ნოემბერში, ჩემპიონატის ერთ-ერთ შეხვედრაში ლუქსემბურგო მოედნიდან გააძევეს. ოფიციალურად მისი საქციელი შეფასდა, როგორც მსაჯთან კამათი. მსაჯი, კლაუდიო კედრეირა მას მერე სასამართლოში უჩივის მწვრთნელს. ლუქსემბურგოს და კედრეირას შორის შეხლა-შემოხლა ერთი წლით ადრეც მოხდა. მოკლედ, ლუქსემბურგო დარწმუნებულია, რომ კედრეირა მის გუნდებს საგანგებოდ ჩაგრავს, მათ წინააღმდეგ სჯის შეხვედრებს, მსაჯი კი ბუნებრივია, აცხადებს, რომ იგი პირუთვნელია, ხოლო ლუქსემბურგო ეჭვიანი.

საბოლოოდ ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციამ მწვრთნელი გაამტყუნა და 60 დღიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა.

„კონფედერაციამ კედრეირას საქმე ხელახლა უნდა შეისწავლოს. ბოლოს და ბოლოს ეს მსაჯი იმ კაცზეა განრისხებული, რომელსაც ვანდერლეი ლუქსემბურგო ჰქვია" — აღშფოთდა ლუქსემბურგო.

შარშან როდესაც ლუქსემბურგო „სანტოსს" წვრთნიდა, ერთ-ერთი შეხვედრის დროს ისტერიკა მოუვიდა და იმავე არბიტრმა (მაშინ პირველად) გააძევა მოედნიდან. გაცეცხლებულმა ლუქსემბურგომ სულ ქურდი უძახა კედრეირას. ასეთი ლანძღვით შეურაცხყოფილი არბიტრი მორალური კომპენსაციისთვის 75 ათას დოლარს ითხოვს.

როგორც გითხარით კვირას, დასჯილი მწვრთნელის გარეშე დარჩენილმა „კორინთიანსმა" „კრუზეიროს" ორი გოლი გაუქვითა და ტიტულის მოსაპოვებლად დიდი ნაბიჯი გადადგა, რადგან მეორე და მესამე მატჩი შინ ელის. შესაბამისად, ლუქსემბურგოს გუნდს სამი ფრით შეუძლია ოქროს მედლის მოპოვება.

ბელუ ორიზონტეში გამართულ პირველ შეხვედრას 87 ათასი გულშემატკივარი დაესწრო. ანგარიში მასპინძელმა, მიულერმა გახსნა. მისმა დარტყმულმა ბურთმა „კორინთიანსის" კარის ხაზი პირველი ტაიმის მიწურულს გადაკვეთა, შემდეგ კი „პარი სენ ჟერმენის" ყოფილმა მოთამაშემ, ვალდომ, ჯარიმიდან მეორეც გაიტანა. მიულერიცა და ვალდოც ცნობილი ფეხბურთელები გახლავან. პირველი 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობდა, ხოლო მეორე 1990 წლისაში. სხვათაშორის მიულერი სწორედ ის მოთამაშეა, 1985 წელს, იუნიორთა მსოფლიო პირველობაზე, თბილისში რომ ჰყავდათ წამოყვანილი.

მაგრამ „კორინთიანსს" მჟღერე სახელების არ მორიდებია. შეცვლაზე შესულმა დინეიმ და მარსელინიომ ანგარიში გაათანაბრეს. სხვათაშორის მარსელინიოს „კორინთიანსის" შემადგენლობაში კარგა ხანს არ ჰქონდა ნათამაშევი, რადგან ლუქსემბურგოსთან იყო ნაჩხუბარი.

ახლა მეორე და მესამე შეხვედრების, უფრო სწორედ მესამე მატჩის თარიღის შესახებ: ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის ფაქტობრივმა პრეზიდენტმა ალფრედო ნუნიესმა გასულ ხუთშაბათს განაცხადა, რომ მას სურს მესამე ფინალური მატჩი 23 დეკემბრის ნაცვლად 27-ში გაიმართოს. რატომ სურს ნუნიესს ასე, არ უთქვამს.

საინტერესო ის გახლავთ, რომ ორივე გუნდის წარმომადგენლის აზრით თარიღის გამოცვლის მიზეზი პოპულარული ტელეწამყვანი შუშაა. თურმე 23-ში შუშას დიდი შოუ აქვს დაგეგმილი. საეთერო დროც ცნობილია და აპარატურაც დამონტაჟებული ყოფილა, ამიტომაც ტელეკომპანია „გლობომ", რომელსაც საფეხბურთო ფინალების ტრანსლაციის უფლება აქვს ნაყიდი, მატჩი გადასდო.

„როგორც ირკვევა ბრაზილიურ ფეხბურთს შუშა ხელმძღვანელობს". — განუცხადა „კრუზეიროს" პრეზიდენტმა ზეზე პერეირამ გაზეთ „ფოლია დე სან პაულუს".

„ჩვენ გვჯერა, რომ თამაში შუშას შოუს გამო გადაიდო. „კორინთიანსი" თარიღის შეცვლის წინააღმდეგია" — უთხრა „როიტერს" „კორინთიანსის" პრესატაშემ.

„ესეც ასე, ახლა კი აღმოვაჩინეთ ბრაზილიური ფეხბურთის ნამდვილი ხელმძღვანელი" — დაწერა ცნობილმა მესვეტემ ჟოზე ტრაჟანომ.

**მიხეილ სურგულაძე**

# ჯდომას დგომა ჯობს

— მსოფლიოს ჩემპიონატის ბომბარდირი ვარ და მწვრთნელ[ს] ჩემი მაინც არ სჯერა. იგი ვერა და ვერ მენდობა — განაცხადა მადრი[დის] „რეალის" ხორვატმა თავდამსხმელმა დავორ შუკერმა.

— კლუბში აუტანელი სიტუაციაა. რაც დრო გადის, სულ უფრ[ო] მცირდება ჩემი თამაშის შანსი — ეს სიტყვები „რეალის" მეორე ფ[ო]რვარდ ფერნანდო მორიენტესს ეკუთვნის.

ორივეს სამეფო კლუბის დატოვება გადაუწყვეტია, მაგრამ ჯერ უ[ც]დიან, როგორ განვითარდება მოვლენები. თუ სიტუაცია მართლა სა[უ]კეთოდ შეიცვლება, ისინი „რეალში" დარჩებიან, თუ არა და თავ[ი]გზას მონახავენ.

მსოფლიოს ჩემპიონატის ბომბარდირმა, ექვსი გოლის გამტანმა და[]ვორ შუკერმა ახალი სეზონის დასაწყისი მუხლის ტრავმის გამო გამ[]ტოვა. გამოჯანმრთელებულს კი კლუბში დაკარგული პოზიციის და[ბ]რუნება გაუჭირდა. კაცმა რომ თქვას, ვერც მოახერხა — სათადარიგ[ო] მოთამაშედ იქცა.

იგივე დაემართა მორიენტესს. ახალგაზრდა თავდამსხმელმა მსოფლი[ო]ოს ჩემპიონატზე ითამაშა, ბულგარეთს გოლიც გაუტანა, მაგრამ გუ[ს]ჰიდინკმა რატომღაც აითვალწუნა. სწორედ უთამაშებლობის გამო გა[]დაწყვიტა ფერნანდო მორიენტესმა „რეალის" დატოვება. 22 წლის ბი[ჭს] ნაკლებად სახელოვან კლუბში ურჩევნია თამაში, ვიდრე „რეალში[ა] სათადარიგოობა.

— უამრავმა აზრმა გამიელვა თავში, მაგრამ არ ავჩქარდები. წინად[ა]დებებიც მომივიდა რამდენიმე კლუბიდან. დავფიქრდები, სიტუაცი[ას] ავწონ-დავწონი და სადაც ყველაზე კარგი პირობები იქნება, იქი[თ] წავალ. ფეხბურთელისთვის სათადარი[]გოთა შორის ყოფნა აუტანელია — გან[ა]ცხადა მორიენტესმა.




დავორ შუკერი

თუ ჯერ არაა ცნობილი, საით წავ[ა] მორიენტესი, დავორ შუკერის მსურვე[]ლი კლუბი ბერძნული „პანათინაიკოსი" გამოდგა. ათენის კლუბის ხელმძღვანე[]ლობა ხორვატ ფეხბურთელს შეეხმიან[ა], თუმცა ფეხბურთელისგან კონკრეტულ[ი] პასუხი ჯერ არ მიუღია.

— თუ კლუბში ვერ ვითამაშებ, ქვე[]ყნის ღირსებას ვერ დავიცავ, მე კი არ მსურს ნაადრევად გამოვეთხოვო სამშო[]ბლოს პირველ გუნდში თამაშს — შუ[]კერი იოლად ვერ ეგუება ნაკრებიდ[ან] წასვლას.

ჯერჯერობით ორივე თავდამსხმე[ლი] „რეალშია". შიგადაშიგ თამაშობენ კიდ[ეც], მაგრამ არაა გამორიცხული, სეზონის ბო[]ლომდე სხვა კლუბში გადავიდნენ.

ფეხბურთის რუკასთან



**იტალიურმა** დოპინგ სკანდალმა ფეხბურთის გამგებლები ისე დააფიქრა, რომ მათ ანუ ფიფამ და უეფამ 1999 წლის მარტში ერთობლივი თათბირის ჩატარება განიზრახეს. ერთობლივი თათბირის ინიციატივა უეფასგან მოდის, კერძოდ, ამ ორგანიზაციის სამედიცინო კომიტეტის თავკაც მიშელ დუგისგან. სასიკეთო ფაქტია, რომ გასულ ზაფხულს, საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე ჩატარებულ 256 ლაბორატორიულ ანალიზს ერთი დარღვევაც არ აღმოუჩენია.

**შოტლანდიური გუნდის, „გლაზგო რეინჯერსის" ჰოლანდიელი მცველი არტურ ნუმანი დაახლოებით იანვრის ბოლომდე ჩამოშორდება მოედანს. ნუმანმა მარჯვენა ფეხის კოჭი დაიზიანა და თამაშირი ადევს.**

**ინგლისური** „არსენალის" ფრანგი ნახევარმცველი პატრიკ ვიეირა 20 ათასი გირვანქით დააჯარიმეს (33 780 დოლარი). მიზეზი: ვიეირამ სექტემბერში, „შეფილდ უენსდეის" სტადიონზე გულშემატკივრებს „ვიქტორია" ანუ გამარჯვების მანიშნებელი ჟესტი აჩვენა. ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტის სხდომამ, რომელიც ბირმინგემში ჩატარდა, ფრანგი ფეხბურთელის საქციელი ხალხის უპატივცემულობად მიიჩნია და შესაბამისი განაჩენიც გამოიტანა. გარდა ხსენებული ჟესტისა, ვიეირას დაუმტკიცეს, რომ იმავე შეხვედრის შემდეგ, გასახდელებისკენ მიმავალ გვირაბში მან შეურაცხყოფა მიაყენა პოლიციელს. თავად მსოფლიოს ჩემპიონმა თავი იმით იმართლა, რომ შეფილდის სტადიონზე შეკრებილი გულშემატკივრები მას რასისტული შინაარსის რეპლიკებს ესროდნენ. შემდეგ, გვირაბში მიმავალ ვიეირას ვიღაც ზურგიდან მაისურში ჩაბღაუჭებია, ფრანგს ხელი გაუკრავს, რათა განთავისუფლებულიყო, მაგრამ აღმოჩენილა, რომ ის ვიღაც პოლიციის ოფიცერი ყოფილა. მიუხედავად გასამართლებელი საბუთებისა, ვიეირამ სადისციპლინო კომისიის წინაშე ბოდიში მოიხადა.

**ჰოლანდიელმა დიკ ადვოკატმა, რომელიც შოტლანდიურ „გლაზგო რეინჯერსს" უდგას სათავეში, ექვს თვეში 33 მილიონი გირვანქა ანუ 55,6 მილიონი დოლარი დახარჯა. ამ თანხიდან 1,9 მილიონი გირვანქა „ჰართსიდან" ნილ მაკკენის გადაყვანას მოხმარდა. მაკკენის „რეინჯერსში" გადასვლა შაბათს სწორედ „ჰართსის" წინააღმდეგ თამაშით უნდა აღინიშნოს, რის გამოც დიდი აჟიოტაჟია ატეხილი. კონტრაქტი, რომელიც ორშაბათს გაფორმდება ოთხწელიწადნახევრიანია. აღსანიშნავია, რომ იმ ექვს თვეში, რაც ადვოკატი გლაზგოში მუშაობს, მას ისეთი შოტლანდიელი მოთამაშე, რომლისთვისაც დიდი თანხის გაღება ღირდა, არ შეუძენია. მაკკენი პირველი შემთხვევა გახლდათ. ჰოლანდიელი მწვრთნელი იხსენებს, როდის ნახა პირველად მაკკენის თამაში: „სანამ „რეინჯერსის" მწვრთნელობას დავყაბულდებოდი, „აიბროქს პარკს" ვეწვიე გუნდის თამაშის სანახავად. იმ დღეს „რეინჯერსი" სწორედ „ჰართსს" ხვდებოდა. მატჩი ფრედ, 2:2 დასრულდა და ნილმა გლაზგოელთა კარში საუცხოო გოლი გაიტანა. იგი ტექნიკური და ფრიად დიდი დიაპაზონის ფეხბურთელია". აღსანიშნავია, რომ მაკკენის ყიდვას სამი წლის წინ „რეინჯერსის" მთავარი მეტოქე, „სელტიკიც" ცდილობდა. მაშინ მოთამაშე „დანდიში" იყო და „ჰართსში" გადავიდა.**

**ინგლისური** „ევერტონის" აქციათა 68 პროცენტი შესაძლოა ფინანსურმა და საბანკო ჯგუფმა „სპირიტმა" შეიძინოს. აქ გასაკვირი არაფერი იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება: „სპირიტი" სამხრეთაფრიკული კომპანიაა. „ჯერჯერობით ყველაფერი მოლაპარაკებათა დონეზეა და ალბათ ახალ წლამდე სიახლეს არც უნდა ველოდეთ. მაგრამ კლუბის აქციათა ყიდვას რომ ვაპირებთ, უდავო ფაქტია" — განაცხადა „სპირიტის" დირექტორმა ტიმ ჰაფსმა, რომელიც ლივერპულელი და „ევერტონის" თავგადაკლული ქომაგი ყოფილა. ორიოდ სიტყვით თავად „სპირიტის" შესახებ. ეს არის დაახლოებით 80 მილიონ დოლარად შეფასებული კომპანია, რომელიც მენეჯმენტისა და მას მედიის სფეროებში მოღვაწეობს და მთლიანად კილბრიჯების ოჯახს ეკუთვნის. მისი დღევანდელი თავმჯდომარე იან კილბრიჯი მეხუთე თაობის „ევერტონელია". იგი კეიპტაუნში ცხოვრობს. მოგეხსენებათ, „ევერტონის" ყიდვას ლამობს თეატრალური იმპრესარიო, ოდესღაც დაუსრულებელი სერიალის, „კორონაციის ქუჩის" მთავარი როლის შემსრულებელი ბილ კენრაიტიც, რომელიც ვაჭრობას არ შეუშინდა და ახლა კლუბში 48 მილიონ გირვანქას იხდის. დღეს იგი „ევერტონის" ვიცე-თავმჯდომარეც გახლავთ.

**ჩილეს ჩემპიონი გახდა „კოლო კოლო", რომელიც აგერ უკვე სამი წელიწადია პირველობას არავის უთმობს. ისტორიაში ეს კლუბი 22-ჯერ იყო ქვეყნის ტიტულის მფლობელი.**

**პორტუგალიურმა** „ბენფიკამ" კიევის „დინამოსგან" 1,48 მილიონ დოლარად იყიდა 30 წლის ოლეგ ლუჟნი, უკრაინის ნაკრების ფეხბურთელი. ლუჟნის გარდა ლისაბონელებმა ხელშეკრულება გააფორმეს 34 წლის უელსელ დინ სონდერსთანაც, რომლის სანაცვლოდ ინგლისურ „შეფილდ იუნაიტედს" 841 ათასი დოლარი გადაურიცხეს.

**ინგლისის პირველი დივიზიონის გუნდის, „პორტსმუთის" ასეულობით გულშემატკივარმა „გრიმსბისთან" შეხვედრის შესვენებაზე საპროტესტო აქცია მოაწყო. ისინი კლუბის პრეზიდენტის მარტინ გრეგორის თანამდებობიდან გადადგომას ითხოვდნენ. პროტესტის ფორმა ერთობ ორიგინალური გახლდათ, ქომაგები მოედანზე ჩავიდნენ და შუა წრეში დადგნენ. საქმე ის გახლავთ, რომ „პორტსმუთი" ფინანსურად საშინელ დღეშია. გრეგორიმ სხვა გზა რომ ვერ ნახა, მწვრთნელს, ალან ბოლს სატრანსფერო სიის შედგენა და საუკეთესო ფეხბურთელების გაყიდვა მოსთხოვა. „ვერაფერს გავაწყობდი" — განაცხადა ბოლმა. მოსალოდნელია, რომ „პორტსმუთის" საუკეთესო თავდამსხმელი, ავსტრალიელი ჯონ ალოიზი 1,35 მილიონ დოლარად ლონდონის „ჩარლტონ ატლეტიკს" მიაშურებს. საგულისხმოა, რომ ამ თანხის ნაწილი, დაახლოებით 337 ათასი დოლარი ალოიზის წინა გუნდს, იტალიურ „კრემონეზეს" უნდა გადაერიცხოს.**

**დანიელი** მცველი იაკობ ფრიც-ჰანსენი, რომელიც გერმანულ „ჰამბურგში" თამაშობდა, ვერა და ვერ გამოჯანმრთელდა და ფეხბურთს თავს ანებებს. 31 წლის მოთამაშემ „ჰამბურგის" შემადგენლობაში მხოლოდ 16 მატჩის ჩატარება მოასწრო. გერმანიაში იგი 1996 წელს ფრანგული „ბორდოდან" წავიდა. „ბორდოს" შემადგენლობაში ფრიც-ჰანსენმა უეფას თასის ფინალი ითამაშა. დანიის ნაკრებში იგი 19-ჯერ მიიწვიეს.

**ხორვატიის მე-17 ტური. ზაგრები — ოსიეკი 1:1; ვარტექსი — შიბენიკი 7:0; სლავენი — ზადარკომერცი 1:1; მლადოსტ 127 — დრაგოვილიაცი 3:0; რიეკა — ჰაიდუკი 2:1; ციბალია — კროაცია გადაიდო. 37 ქულით ლიდერობს რიეკა, კროაციას ერთი თამაშით ნაკლები აქვს და მას 2 ქულით ჩამორჩება.**

**კვიპროსის** ჩემპიონატი. მე-12 ტური. აელი — ომონია 3:3, ეთნიკოსი — ანორთოსისი 0:2, ალკი — ევაგორასი 3:1, აპოელი — აპოლონი 1:0, არისი — აეკი 1:2, ნეა სალამინა — ენოსისი 4:5, ოლიმპიაკოსი — დოქსა 4:0. 31 ქულით ლიდერობს ანორთოსისი. მას 3 ქულით ჩამორჩება აპოელი.

**არგენტინის ჩემპიონატი. გაიმართა აპერტურას ბოლო ტური. ბოკა ხუნიორსი — უნიონი 3:1; ველეს სარსფილდი — არგენტინოს ხუნიორსი 2:5; პლატენსე — ესტუდიანტესი 3:2; რასინგი — სან ლორენსო 3:2; ურაკანი — ინდეპენდიენტე 1:1; კოლონი — რივერ პლეიტი 1:1; ნიუელს ოლდ ბოისი — ტალერესი 4:2; ხიმნასია (ხუხუი) — ფერო კარილ ოესტე 3:4; ბელგრანო — როსარიო სენტრალი 0:0. ბოკა ხუნიორსი ჩემპიონია.**

**ბელგიური** კლუბი „ეკერენი" რამდენიმე კვირაში ჰოლანდიურ „აიაქსთან" სტრუქტურულად გაერთიანდება. ეს ცნობა „აიაქსის" პრეზიდენტმა მიხაელ ვან პრააგმა გაავრცელა. „ფინანსური მოხსენება ბელგიელებს ორი კვირის შემდეგ ექნებათ მზად და ხელშეკრულებაც გაფორმდება" — უთხრა მან გაზეთ „ჰეტ ნიუსბლანდს". თავის მხრივ, „ეკერენი" ბელგიისავე მესამე დივიზიონის კლუბ „ბეერშოტთან" ერთიანდება, თუმცა ამ გარიგებას „აიაქსთან" საერთო არაფერი აქვს. „ჩვენ ახალ კლუბში ფულის ჩადებას ვაპირებთ" — დასძინა ვან პრააგმა. ამრიგად, ხელშეკრულების გაფორმების მერე „აიაქსი" და „ეკერენი" ერთმანეთში ფეხბურთელებს გაცვლიან, საერთო ექნებათ ბავშვთა სკოლები და ახალგაზრდული გუნდებიც. ჟურნალისტის კითხვაზე, რა მოხდება „აიაქსი" და „ეკერენი" ერთმანეთს რომელიმე ევროშეჯიბრებაში რომ შეხვდნენ, ამსტერდამელმა პრეზიდენტმა უპასუხა, რომ უეფასა და ფიფას ასეთი შემთხვევებისთვის რაღაც გამონაკლისები აქვთ დაშვებული. „მაგრამ მათ ამ მიმართულებით მეტი მუშაობა მართებთ, რადგან კლუბები ევროპაში სულ უფრო და უფრო ხშირად ერთიანდებიან" — დასძინა ვან პრააგმა.

## საბერძნეთი

მე-13 ტური. ოლიმპიაკოსი — ეთნიკოსი (პირეოსი) 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 13 | 10 | 1 | 2 | 35:10 | 31 |
| აეკი | 13 | 9 | 2 | 2 | 28:10 | 29 |
| ქსანტი | 13 | 7 | 4 | 2 | 15:9 | 25 |
| პანათინაიკოსი | 13 | 8 | 1 | 4 | 24:18 | 25 |
| პაოკი | 13 | 8 | 2 | 3 | 22:15 | 23 |
| არისი | 13 | 6 | 3 | 4 | 17:18 | 21 |
| იონიკოსი | 13 | 6 | 2 | 5 | 23:16 | 20 |
| ოფი | 13 | 6 | 2 | 5 | 17:15 | 20 |
| ეთნიკოსი (ა) | 13 | 6 | 2 | 5 | 21:19 | 20 |
| ირაკლისი | 13 | 5 | 4 | 4 | 21:13 | 19 |
| პანიონისი | 13 | 5 | 2 | 6 | 27:19 | 17 |
| პანილიაკოსი | 13 | 5 | 1 | 7 | 17:21 | 16 |
| კავალა | 13 | 4 | 4 | 5 | 23:30 | 16 |
| პანელეფსინ. | 13 | 2 | 6 | 5 | 9:16 | 12 |
| პრუდეფტიკი | 13 | 2 | 4 | 7 | 12:21 | 10 |
| ვერია | 13 | 1 | 4 | 8 | 5:20 | 7 |
| აპოლონი | 13 | 1 | 4 | 8 | 15:35 | 7 |
| ეთნიკოსი (პ) | 13 | 0 | 4 | 9 | 3:29 | 4 |

პაოკს დაკლებული აქვს 3 ქულა.

## პორტუგალია

XV ტური

**აკადემიკა 0:2 პორტუ**

0:1 ზაპოვიჩი (81), 0:2 რუი ბარუში (90)

**შავეში 0:4 ბენფიკა**

0:1, 0:2 ნუნო გომეში (8, 28), 0:3 ელ ხალეჯი (47), 0:4 ნუნო გომეში (64)

ეს მატჩი კვირას 13 დეკემბერს უნდა ჩატარებულიყო. დათქმულ დროზე გუნდებმა დაიწყეს კიდეც თამაში, მაგრამ მე-14 წუთზე, როდესაც „ბენფიკა" ნუნო გომეშის გოლით 1:0-ს იგებდა (გოლი მე-9 წუთზე გავიდა), გრიგალი ამოვარდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 15 | 11 | 2 | 2 | 34:13 | 35 |
| სპორტინგი | 15 | 9 | 5 | 1 | 29:11 | 32 |
| ბოავიშტა | 15 | 9 | 5 | 1 | 24:11 | 32 |
| ბენფიკა | 15 | 9 | 3 | 3 | 32:11 | 30 |
| ამადორა | 15 | 8 | 4 | 3 | 19:15 | 28 |
| უნიაუ | 15 | 7 | 3 | 5 | 15:11 | 24 |
| სალგეირუში | 15 | 5 | 7 | 3 | 19:19 | 22 |
| რიუ ავე | 15 | 5 | 4 | 6 | 12:18 | 19 |
| სეტუბალი | 15 | 5 | 3 | 7 | 14:22 | 18 |
| გიმარაეში | 15 | 4 | 5 | 6 | 20:16 | 17 |
| ბრაგა | 15 | 4 | 5 | 6 | 21:29 | 17 |
| ფარენსე | 15 | 5 | 2 | 8 | 13:20 | 17 |
| ალვერკა | 15 | 2 | 8 | 5 | 11:18 | 14 |
| ბეირა მარი | 15 | 2 | 8 | 5 | 10:16 | 14 |
| კამპომაიორენსე | 15 | 3 | 3 | 9 | 15:27 | 12 |
| შავეში | 15 | 3 | 3 | 9 | 15:29 | 12 |
| მარიტიმუ | 15 | 2 | 6 | 7 | 13:18 | 12 |
| აკადემიკა | 15 | 2 | 4 | 9 | 16:28 | 10 |



ვალენტინ ივანოვი

# ვალენტინ ივანოვი: მომავალი ისეთ ფეხბურთს ეკუთვნის, ჩემი და წინა თაობები რომ თამაშობდნენ

მოსკოვი. 1960 წლის 31 ოქტომბერი. ლუჟნიკის გადაჭედილი სტადიონი. საბჭოთა კავშირის თასის ფინალი: მოსკოვის „ტორპედო" — თბილისის „დინამო". დაძაბული და ულამაზესი მატჩის ძირითადი დრო — 3:3. დამატებით დროში მოსკოველთა უძლიერესმა მოთამაშემ, საბჭოთა კავშირის ნაკრების თავდამსხმელმა ვალენტინ ივანოვმა შორეული, არც თუ ძლიერი დარტყმით ტორპედოელთა მეოთხე, თავისი კი მეორე ბურთი გაიტანა ამ შეხვედრაში და ამ გოლის წყალობით „დინამო" კიდევ ერთხელ დატოვა უთასოდ.

უეჭველია, ძველი თაობის ქართველი ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის ეს ეპიზოდი ერთობ უსიამოვნო გასახსენებელია, მაგრამ გრძნობათა დასაბალანსებლად მათ ვთხოვდი, ამ ამბიდან ოთხი წლის მერე მომხდარი ანუ ტაშკენტის, თბილისელთათვის ოქროს მატჩი გაიხსენონ. დიახ, ასე იყო: ქართველთა „დინამო" და მოსკოველთა „ტორპედო" მუდამ ღირსეული მეტოქეები იყვნენ. რაც შეეხება ივანოვს ალბათ, დავას არავინ დაიწყებს, რომ ის თავისი დროის ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელი იყო: სხარტი, ძალიან ტექნიკური, უაღრესად შრომისუნარიანი, მობილური და ცბიერი. როგორც „ძველები" ამბობენ, ივანოვისთვის ფეხბურთში არ არსებობდა საიდუმლო. არანაკლებ მნიშვნელოვანია და ვეტერანებისგან ხშირად გვსმენია, ივანოვს არ ახასიათებდა მრავალთათვის ლამის ტრადიციად ქცეული „უფროსი ძმის" სინდრომი. ის ქართველთა მიმართ ერთობ კეთილგანწყობილი იყო და ამას არც მალავდა. ამაში კიდევ ერთხელ დარწმუნების საშუალება ჩვენ ორიოდე წლის წინაც მოგვეცა, როდესაც ვალენტინ ივანოვი თბილისს მოსკოვის „ტორპედოსთან" ერთად ესტუმრა მთავარი მწვრთნელის რანგში „დინამოსთან" უეფას თასის მეთექვსმეტედფინალური შეხვედრის ჩასატარებლად.

ზემოთ ნახსენები 1960 წლის ფინალური შეხვედრის შესახებ შეგვეძლო, კიდევ უამრავი რამ გვეთქვა, რადგან, თვითმხილველთა გადმოცემით, ეს იყო საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული, ლამაზი, დრამატიზმით ალსავსე მატჩი, რომელშიც, როგორც ერთი, ასევე მეორე მხრიდან, ნამდვილი დიდოსტატები თამაშობდნენ, მაგრამ, ალბათ, ამას უკეთ მოახერხებს იმ შეხვედრის უშუალო მონაწილე, ვალენტინ ივანოვი, რომელსაც ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტი ესაუბრა.

— 1960 წელი ჩვენთვის ფრიად წარმატებული გამოდგა. კარგად ვთამაშობდით, გუნდის ხელმძღვანელები კმაყოფილები იყვნენ და საკავშირო თასის ფინალურ შეხვედრასაც დიდი ოპტიმიზმით ვუყურებდით, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მეტოქე თვით თბილისელთა განთქმული გუნდი უნდა ყოფილიყო. სიმართლე გითხრათ, გვერჩივნა, რომ დინამოელები ნახევარფინალში დამარცხებულიყვნენ დონეცკის „შახტიორთან". მაგრამ ასე არ მოხდა. „დინამომ" მართალია გაჭირვებით, მაგრამ მაინც შეძლო გამარჯვება და ეს ჩვენთვის გამაფრთხილებელი ნიშანი გამოდგა, რადგან თბილისური გუნდი ცოტა არ იყოს არასტაბილური გახლდათ და სავარაუდო იყო, რომ დონეცკელებთან ნაჩვენებ არაფრისმთქმელ თამაშს ჩვენთან კარგი გამოსვლა მოჰყვებოდა...

**— თქვენ ბრძანეთ, დონეცკელებთან თამაში გვერჩივნაო. ნუთუ ასეთი ძლიერი იყო დინამოელებისადმი შიში?**

— არა, შიში აქ არაფერ შუაშია. უბრალოდ, ძლიერ მოწინააღმდეგეს იმ დროისათვის არც თუ კარგ ფორმაში მყოფ „შახტიორთან" თამაშს ვამჯობინებდით, თორემ ჩვენი ძალებისა მტკიცედ გვწამდა და შიშითაც, რა თქმა უნდა, არაფრის გვეშინოდა.

**— ფეხბურთის სპეციალისტთა და გულშემატკივართა აღიარებით, ის შეხვედრა ჯადოსნური იყო...**

— მართალს ბრძანებთ. არის მატჩები, რომელბიც ადამიანს სულ ერთი კვირის მანძილზე თუ გაჰყვება. არის ისეთებიც, რომლებიც გაცილებით დიდხანს რჩება მეხსიერებაში, მაგრამ არის დაუვიწყარი თამაშებიც, რომელთა გონებიდან ამოშლა უბრალოდ შეუძლებელია. მე ამ თასის თამაშს ხშირად მახსენებენ. ეს არც არის გასაკვირი. გაიხსენეთ, რა ოსტატები თამაშობდნენ გუნდებში. ეს ხომ ფაქტობრივად საბჭოთა კავშირის ელიტა, ნაღები იყო. გარდა ამისა, თამაშიც შეუდარებელი გამოვიდა. პირადად მე ასეთი იშვიათად მინახავს, სულ ორი ან სამი.

მატჩი ისე წარიმართა, რომ ჩვენ სულ წინ ვიყავით, მაგრამ დინამოელები თავიანთი ჟინისა და დიდი ოსტატობის წყალობით მაინც ახერხებდნენ ანგარიშის გათანაბრებას. ძირითადი დრო, რომელმაც დიდი ძალები წაგვართვა, ფრედ დასრულდა 3:3. პრინციპში, თვითონ ანგარიშიც ბევრ რამეზე მეტყველებს. დამატებით დროში კი ჩვენ ვიძალეთ და ჩემთვის ორმაგად სასიამოვნო იყო ის, რომ გამარჯვების ბურთი სწორედ მე გავიტანე. მაშინ ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

**— ამბობენ, ეს მატჩი აშკარა მიკერძოებით ჩატარდა, რამაც დიდი გავლენა იქონია საბოლოო შედეგზე.**

— ვიცი, ვიცი, ამის შესახებ ბევრი მსმენია, განსაკუთრებით საქართველოში ყოფნისას, მაგრამ ამ მოსაზრებას კატეგორიულად ვერ გავიზიარებ. არბიტრები ობიექტურად მოქმედებდნენ, თუ არ ჩავთვლით უმნიშვნელო შეცდომებს, რომელთაგან დაზღვეული არავინ არის. მეორეს მხრივ, ვერც იმას ვიტყვი, რომ მოწინააღმდეგე აშკარად დავჯაბნეთ. ჩემი აზრით, სრულიად თანაბარი თამაში იყო. ჩვენ რომ არ მოგვეგო და გამარჯვება თბილისელებს დარჩენოდათ, გასაკვირი ამაშიც არაფერი იქნებოდა. შეიძლება ითქვას, ჩვენ ოდნავ უფრო გაგვიმართლა. თუმცა იმასაც ამბობენ, ღმერთი ძლიერებს სწყალობსო...

**— რატომღაც ისე ხდებოდა, რომ მაშინდელი თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „ტორპედოს" მატჩები განსაკუთრებით საამო საცქერი იყო. რატომ?**

— ალბათ იმიტომ, რომ ჩვენი გუნდები ტექნიკური, რბილი ფეხბურთის მიმდევრები იყვნენ. მიმაჩნია, რომ ისინი ბევრ რამეში კიდეც ჰგავდნენ ერთმანეთს. რატომღაც მიჩნეულია, რომ რუსული ფეხბურთი ძალისმიერი და ხისტია. არც მთლად ასეა საქმე. ის ახლა გახდა ძალისმიერი და ხისტი, თორემ ჩვენი „ტორპედო" სულ სხვანაირად თამაშობდა. სტრელცოვი, მანოშინი, ვორონინი და სხვებიც ამის საუკეთესო დასტურია. ანაც გაიხსენეთ ომისწინანდელი „დინამო", ცდკა... ისინი ხომ უაღრესად ტექნიკურ ფეხბურთს აჩვენებდნენ.

სხვათა შორის, დინამომ" და ქართველებმა მართალია ჩვენზე მეტად შეინარჩუნეს თვითმყოფადობა, მაგრამ ბოლომდე ვერც მათ შეძლეს ეს. „ტორპედო" უეფას თასზე ორჯერ ეთამაშა „დინამოს" და ეს მე თავად ვიხილე. გუნდი საკმაოდ ლაღად თამაშობდა, მაგრამ ეს ის აღარ იყო, რაც ადრე.

**— იქნებ ამის მიზეზი ფეხბურთის ტოტალური გაუხეშებაა?**

— არც უმაგისობაა, მაგრამ მაგალითად სამხრეთამერიკელები იმის მშვენიერ მაგალითს გვაჩვენებენ, როგორ უნდა შეუხამო ერთმანეთს ტექნიკა და ათლეტიზმი. ეს მეტადრე ბრაზილიელებს ეხებათ.

**— ბრაზილიელები ახსენეთ და მინდა, გკითხოთ. როცა საბჭოთა ნაკრებში იყავით, არაერთხელ გითამაშიათ ბრაზილიელთა წინააღმდეგ. როგორ ფიქრობთ, სამხრეთამერიკელები ბევრად გჯობდნენ?**

— ჩვენ მაშინ ბრწყინვალე ფეხბურთელები გვყავდა და ამას ვერავინ უარყოფს. შეგვეძლო, ნებისმიერ მეტოქეს გავმკლავებოდით ერთის გარდა და ეს ერთი სწორედ ბრაზილიის დიდი ნაკრები იყო. ისინი უბრალოდ დროს უსწრებდნენ. პელე, გარინჩა, დიდი... რომელი ერთი ჩამოვთვალო. სამხრეთამერიკელები განსაკუთრებით თავდასხმის ხაზით გამოირჩეოდნენ. ჩვენ ძლიერი დაცვა გვყავდა, მაგრამ მათ წინააღმდეგ ვერაფერს ვახერხებდით. განსაკუთრებით საშიში იყო გარინჩა და, ალბათ, ამას მისი ფიზიკური ნაკლიც უწყობდა ხელს. შეუძლებელი იყო იმის განსაზღვრა, თუ რას მოიმოქმედებდა ბრაზილიელთა ერთი შეხედვით სასაცილო „ფლანგი". ასეთ თამაშებს და ასეთ ფეხბურთელებს ახლა იშვიათად ნახავთ და იქნებ საერთოდაც ვერ ნახოთ.



23.06.57. მოსკოვი. სსრკ — პოლონეთი 3:0 სსრკ-ს ნაკრების ისტორიაში მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ შესარჩევ მატჩში მეტოთქის კარს უტევს ვალენტინ ივანოვი

**— რამ განაპირობა ფეხბურთის გარეგნული იერსახის ასეთი დაკნინება რუსეთშიც და ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებშიც?**

— მარტო გარეგნული იერსახე კი არა, მთლიანად ფეხბურთს დონე. თქვენ წარმოიდგინთ, ეს ისეთი ტევადი თემაა, რომ მთელი წიგნის დაწერა შეიძლება და ამ ხანმოკლე საუბარში ვერ ჩავეტევით. არა ერთადერთ, მაგრამ მაინც მთავარ მიზეზად მე პირადად ეზოს ფეხბურთის ჩაკვდომას ვთვლი. ჩემი ბავშვობა ეზოს ფეხბურთის ხანა იყო, ახლა კი ტელევიზიის და კომპიუტერის ხანაა. ასეა, ფასეულობები იცვლება.

**— როგორც უკვე მოგახსენეთ, ეს საუბარი საგანგებოდ ჩვენი ქართველი მეგობრებისათვის იწერება და მოდით, დროებით ისევ ამ თემატიკას დავუბრუნდეთ. მოსკოვის „ტორპედოსა" და საბჭოთა კავშირის ნაკრებში თქვენ ხანგრძლივად თამაშობდით ქართველ ფეხბურთელებთან. ორიოდე სიტყვა მათზეც გვითხარით.**

— „ტორპედოში" ჯერ სლავა მეტრეველი გავიცანი. სიმართლე გითხრათ, თავდაპირველად დიდად არ მეპიტნავებოდა ეს თავდამსხმელი. მეჩვენებოდა, რომ იგი ერთფეროვანი, არატექნიკური იყო... თანაც თავიდან სლავას ერთი ნაკლიც ჰქონდა, მარცხენა ფეხი მას პრაქტიკულად არ უმუშავებდა. მაგრამ მწვრთნელსაც იმიტომ ჰქვია მწვრთნელი, რომ იგი დანარჩენებზე გაცილებით წინ იცქირება. ასე იყო მეტრეველის შემთხვევაშიც. სლავა მაინც დაიტოვეს გუნდში და სულ მოკლე ხანში იგი თავისი განუმეორებელი ნიჭის და ფენომენალური შრომისმოყვარეობის წყალობით ექსტრა კლასის მოთამაშედ გადაიქცა. სლავას წასვლა „ტორპედოდან" ჩვენთვის უდიდესი დანაკლისი იყო. ალბათ, ყველაზე დიდიც, რომელიც კი ჩვენმა გუნდმა იმ პერიოდში განიცადა. მაგრამ რას იზამ, მეტრეველს ადრეც არაერთხელ უთქვამს ბოლოს და ბოლოს აუცილებლად სამშობლოში დავბრუნდებიო და მან შეასრულა კიდეც თავისი დანაპირები, როცა თბილისის „დინამოში" გადავიდა. სლავასთან განუწყვეტლივ ჩამოდიოდნენ სამშობლოდან და ურეკავდნენ ტელეფონით. თავიდან ის თავს იკავებდა, რადგან დიდი ხათრი ჰქონდა „ტორპედოს" მწვრთნელის, მასლოვის, რომელსაც განუზომელი ამაგი მიუძღვის მის ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში, მაგრამ ბოლოს სლავამ მაინც მიგვატოვა და ნათელი კვალი დატოვა „ტორპედოს" ისტორიაში. სლავა მეტრეველი ბრწყინვალე ადამიანი და მეგობარი იყო.

**— მოგვიანებით თქვენ ანზორ კავაზაშვილიც შემოგიერთდათ.**

— ამ თემაზე საუბარი ნაკლებ სიამოვნებას მგვრის. ადრეც არაერთხელ მითქვამს, რომ კავაზაშვილთან ყოველთვის გართულებული ურთიერთობები მქონდა სხვადასხვა მიზეზთა გამო. მათ შორის ძირითადი კი ის იყო, რომ იგი გუნდის ინტერესებზე უფრო მეტად საკუთარზე ზრუნავდა. თუმცა იმას კი ვერ ვუარყოფ, რომ ანზორ კავაზაშვილი ძალიან მალე თითქოს რიგითი ფეხბურთელიდან ჩინებულ მეკარედ იქცა და „ტორპედოსა" თუ „სპარტაკის" მიერ მოხვეჭილ ტიტულებში უდიდესი წვლილი დაიდო.



1996 წელი. ვალენტინ ივანოვი თბილისის აეროპორტში

**— ნაკრები? ნაკრებზე რას გვეტყვით?**

— ბედნიერად ვთვლი თავს, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრებში შევხვდი ისეთი ფილიგრანული ოსტატობის მქონე ფეხბურთელს, როგორიც გახლდათ მიხეილ მესხი. მიშა იყო უაღრესად თვითმყოფადი ფორვარდი, რომლის მსგავსიც არაფერი მინახავს. ის ენით აუწერელი ფინტების კასკადი, რომელსაც სრულყოფილად ფლობდა მიხეილ მესხი, სამამულო ფეხბურთში მე არც მანამდე მინახავს და არც შემდეგ. მიშას ალტაცებაში მოჰყავდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მრავალრიცხოვანი გულშემატკივარი, სამშობლოში კი საყოველთაო სიყვარულს იმსახურებდა. უბრალოდ, ძალიან გულდასაწყვეტია, რომ ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც იყვნენ მეტრეველი და მესხი, ასე ადრე გარდაიცვალნენ. თანაც მეტრეველმა ძალიან დიდხანს ითამაშა და თავისი შესაძლებლობები ბოლომდე გამოავლინა, მესხი კი ისევე ადრე წავიდა ფეხბურთიდან, როგორც ცხოვრებიდან.

**— ცოტა თქვენზეც ვისაუბროთ. დაგწყდათ გული იმაზე, რომ თქვენმა ვაჟმა, ვალენტინ ივანოვმა-უმცროსმა ვერ გაიმეორა თავისი მამის სახელოვანი გზა?**

— ცხადია, მინდოდა, რომ მასაც ეთამაშა დიდი ფეხბურთი, მაგრამ, სამწუხაროდ, საქმე იქამდე არ მივიდა. რუსეთის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა ხომ ჯერ კიდევ სრულებითაც არ ნიშნავს დიდ ფეხბურთს.

**— როგორ უყურებთ რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის არჩევნებს? რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თქვენ ვიაჩესლავ კოლოსკოვის მომხრეთა ბანაკში ხართ.**

— მომხრეთა ბანაკი ძალიან ხმამაღალი ნათქვამია. უბრალოდ, რა შეიძლება ადამიანს დაუკარგო ლვაწლი. მე კი მიმაჩნია, რომ მიუხედავად ნაკლოვანებებისა, კოლოსკოვმა მაინც ძალიან ბევრი გააკეთა რუსული ფეხბურთის განვითარებისა და რუსეთის ჩემპიონატის ფეხზე დადგომისათვის. აშკარად მცდარი და არაობიექტურია ის აზრი, რომ ბოლო წლების განმავლობაში გუნდების შესამჩნევი მოძლიერება ყველას დამსახურებაა, გარდა უმაღლესი ეშელონებისა. ეს ხომ უტოპიაა.

**— მაშასადამე კოლოსკოვის თანამდებობაზე დარჩენით რუსული ფეხბურთი მხოლოდ მოიგებს?**

— ყოველ შემთხვევაში, ალტერნატივას ვერ ვხედავ.

**— თქვენ თამაშობდით „ტორპედოში", შემდეგ იყავით გუნდის უფროსი, საპატიო პრეზიდენტი და მთავარი მწვრთნელი. სულ მცირე ხნის წინ კი მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან წასვლამ მოგიწიათ. რა იყო ამის მიზეზი?**

— როდესაც საქმე ცუდად მიდის, აუცილებელია განტევების ვაცის პოვნა და ამჯერად ამ როლში მე აღმოვჩნდი. სულ ცოტა ხნის წინ „ტორპედო" დაშლის პირას იყო. ჩვენ ყველაფერი ვიღონეთ მის გადასარჩენად და ფეხზე დასაყენებლად. ასეთი რთული პერიოდის შემდეგ მაღალ დონეზე თამაში შეუძლებელია. საჭირო იყო გარკვეული სააკლიმატიზაციო პერიოდი, მაგრამ ჩვენთან უცბად ითხოვდნენ შედეგს და ჩემი წასვლაც ამან განაპირობა.

**— მიგაჩნიათ, რომ მხოლოდ თქვენი წასვლით საქმეს არ ეშველება?**

— გულით მინდა, რომ ეშველოს, მაგრამ ეჭვი მეპარება. ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს.

**— და მაინც, თქვენი პროგნოზი: როგორი იქნება მომავლის ფეხბურთი?**

— ყველაფრის მიუხედავად, დარწმუნებული ვარ, რომ მომავალი ტექნიკურ, იმპროვიზაციით ალსავსე ფეხბურთს ეკუთვნის. ისეთს, როგორსაც ნაწილობრივ ჩემი და წინა თაობის წარმომადგენლები თამაშობდნენ.

**იური ციბანიოვი მოსკოვიდან**

**საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო „გეა"**

**საგანგებოდ „სარბიელისთვის"**

## ოქროს ბურთის ლაურეატები

France Football

1995

## ჟორჟ ვეა

# პირველი, არა, მეორე აფრიკელი

*გაიოზ თალაკვაძე*



„ოქროს ბურთის“ ისტორიაში ისეც მომხდარა, „ფრანს ფუტბოლის“ მიერ დაწესებული ეს პრიზი მიუღია ფეხბურთელს, რომელიც ამ აღიარებას ალბათ, არ იმსახურებდა, ყოველ შემთხვევაში იმ წელს მაინც. ასე იყო იგორ ბელანოვის (1986წ), მარკო ვან ბასტენისა (1992) და ჟორჟ ვეას (1995) შემთხვევებში. როცა ვამბობ, არ იმსახურებდა-მეთქი, სავსებით არ ვცდილობ ამ ფეხბურთელების ოსტატობისა და მიღწევების დაკნინებას. უბრალოდ, სხვები უკეთესები იყვნენ. მაგალითად, 1995 წლის სეზონი გერმანელმა იურგენ კლინსმანმა ჟორჟ ვეაზე გაცილებიც ძლიერად ჩაატარა, მაგრამ...

მაგრამ 1995 წელს ფრანგულმა ყოველკვირეულმა ჟურნალმა პირველად „ოქროს ბურთის“ ისტორიაში გამოკითხვაში ევროპელების გარდა ევროპაში მოთამაშე სხვა კონტინენტების წარმომადგენლებიც დაუშვა. ამასთანავე მისტერ ჟორჟი უსახლკარო ბავშვების დიდ ქომაგად და საკუთარ ქვეყანაში, ლიბერიაში, მშვიდობის დამცველად ითვლება. ჰოდა, ევროპული სპორტული გამოცემების უმეტესობამ კლინსმანს „მშვიდობის შავი მტრედი“ ამჯობინა. ასე გახდა ჟორჟ ვეა პირველი აფრიკელი ფეხბურთელი, ვისაც „ოქროს ბურთი“ გადაეცა. თუმცა აქ შეიძლება ერთი რამ დავაზუსტოთ. ამ ჯილდოს მფლობელ პირველ აფრიკელად შეიძლება მოზამბიკელი ეუსებიო ჩაითვალოს, თუმცა მას ეს პატივი, როგორც პორტუგალიელს, ისე არგუნეს.

„გაოცებული ვარ. მაშინაც კი, როცა კარგად თამაშობ, ასეთი აღიარება მაინც წარმოუდგენელია. მინდა, ეს „ოქროს ბურთი“ მთლიანად აფრიკას და განსაკუთრებით ლიბერიას მივუძღვნა. ლიბერიას, რომელიც ფეხბურთში არაფრის მაქნისია“ — ამ სიტყვებით მიიღო ძველი კონტინენტის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ჯილდო შავი კონტინენტის წარმომადგენელმა.

ჟორჟ ვეამ თავისი, როგორც ფეხბურთელის, საუკეთესო წლები ევროპაში გაატარა, მაგრამ, ამის მიუხედავად მაინც ნამდვილ აფრიკელად დარჩა, რაც ადამიანის ერთ-ერთი საუკეთესო თვისებაა. „ჩემი კულტურა, სისხლი, კანის ფერი, ყველაფერი აფრიკასთან მაკავშირებს და არც არასოდეს მოვინდომებ ამ კავშირების გაწყვეტას. ჩვენთან ფეხბურთს ღირსებისთვის თამაშობენ, იქ ბევრს ვერაფერს მოიგებ. ამიტომაც გადავწყვიტე ევროპაში ჩამოსვლა“ — იხსენებს საუკუნის მიწურულის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი მისტერ ჟორჟი.

„მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთშიც დიდხანს ითამაშა და იტალიაშიც, ამ ქვეყნების ენები მაინც არ შეისწავლა სრულად, რადგან ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში თავისი კულტურის ნაწილის დაკარგავს. ის თავისი ქვეყნის ნამდვილი პატრიოტია“ — ასე ახასიათებს ვეას მისი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი, სამხრეთ აფრიკის ნაკრებისა და მარსელის „ოლიმპიკის“ მცველი პიერ ისა.

თავიდან პატარა ჟორჟი, ჩვენებურად რომ ვთქვათ, „ქუჩის ბიჭი“ ყოფილა. მისთვის არც ჩხუბი იყო უცხო, არც გაკვეთილების გაცდენა, არც კარტისა და კამათლის ფულზე თამაში და არც მარიხუანას მოწევა. მაგრამ, თავისდა საბედნიეროდ, ის მალე მიხვდა, რომ ასეთი ცხოვრება ხეირს არ დაყრიდა და... ადგა ბატონი ჟორჟი და მთელი სულით და გულით ფეხბურთის თამაში დაიწყო. ამ საქმეში კი ის ერთ-ეთი საუკეთესო გახდა. „ყველაფერს, რასაც ცხოვრებაში მივაღწიე, ფეხბურთს ვუმადლი. ის რომ არა, სიცოცხლის უმეტეს ნაწილს, ალბათ, ციხეში გავატარებდი. მოკლედ, დავიღუპებოდი“ — აღიარებს ვეა.

მისტერ ჟორჟის კარიერა ლიბერიაში დაიწყო, სადაც ის საკმაო ხანს გაჩერდა. 1988 წელს, კამერუნში გატარებული ერთი სეზონის შემდეგ, ვეა „მონაკოს“ სელექციონერებმა შეამჩნიეს და ჯუჯა-სახელმწიფოში უკრეს თავი. მაშინ „მონაკოს“ ერთ-ერთი უძლიერესი ფრანგი მწვრთნელი არსენ ვენგერი ედგა სათავეში და მანაც ვეას შესაძლებლობები საუცხოოდ გამოიყენა. სწორედ „არსენალის“ ამჟამინდელი მწვრთნელის დამსახურებაა, რომ ვეა ნამდვილ პროფესიონალად და ძლიერ ფეხბურთელად ჩამოყალიბდა. „მონაკოს“ შემადგენლობაში მისტერ ჟორჟი 1991 წელს საფრანგეთის თასს დაეუფლა და მომავალ სეზონში საფრანგეთის დედაქალაქში გადაბარგდა.

„პირველმა წელმა „პარი სენ ჟერმენში“ საუცხოოდ ჩაიარა. გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გავხდი და თან ევროთასის ნახევარფინალს ვუწიეთ. შემდგომ სეზონში, არ ვიცი, რატომ, მაგრამ მწვრთნელი (არტურ ჟორჟე) ისევე აღარ მენდობოდა და მეც ხშირად მიწევდა სათადარიგოთა სკამზე ჯდომა. ლუის ფერნანდესის მოსვლით სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა და უკეთ ავთამაშდი. პსჟ მაშინ ძალიან ძლიერი იყო, შეიძლება ითქვას, ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო. რვა წელი გავატარე საფრანგეთში, რამაც ჩემზე უდიდესი გავლენა მოახდინა — მე საფრანგეთი შემიყვარდა“— ამბობს ჟორჟ ვეა.

პსჟ-ში გატარებული წლები მართლაც საუკეთესო იყო ვეას კარიერაში. როცა გაილაღებდა ხოლმე, პსჟ-ს მეტოქე გუნდების მცველებს უამრავი თავსატეხი უჩნდებოდათ. პარიზელთა 1500-ე გოლი საფრანგეთის ჩემპიონატების ისტორიაში მის ანგარიშზეა. ამ ისტორიული მიღწევის გარდა ვეა კიდევ ბევრ ლამაზ გოლს ითვლის. 1995 წლის ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში ის საუკეთესო ბომბარდირი გახდა 7 მატჩში გატანილი 7 ბურთით. მისტერ ჟორჟს პსჟ-ს გულშემატკივრები თავიანთი კლუბის ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად თვლიან, რაც წლეულს ჩატარებულმა გამოკითხვამაც დაადასტურა. პსჟ-ს სიმბოლური ნაკრების თავდასხმაში ქომაგებმა მარკო სიმონე და ვეა დააყენეს. უცხოელებმა ხმების საკმაოდ დიდი რაოდენობით აჯობეს დავიდ ჟინოლას და პატრის ლოკოს. ლიბერიელის „მილანში“ გადასვლის მერე პსჟ ძალიან დასუსტდა.

„მილანს“ ძალიან კარგად შევეგუე, ყველაფერი კარგად მიდის“ — თქვა იტალიის ჩრდილოეთში ახალჩასულმა ვეამ. მართლაც, „როსონეროების“ შემადგენლობაში მან იმავე წელს მოიპოვა სკუდეტო, რითაც მეოთხე ქვეყნის ოქროს მედალი მიიღო. მანამდე ვეა ლიბერიის, კამერუნისა და საფრანგეთის ჩემპიონი იყო. მაგრამ მალე „მილანს“ და მასთან ერთად ყველაზე ცნობილ ლიბერიელს საქმეები უკუღმა წაუვიდათ. თუ საშუალო ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ პსჟ-ში ვეა ძლიერ კაშკაშებდა, ვარსკვლავებით დახუნძლულ „მილანში“ იგი კვლავინდებურად ველარ გამოირჩეოდა. თან „მილანიც“ ხანგრძლივ კრიზისში ჩავარდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დალმა წასულ გუნდში ვეა თითქმის ერთადერთი იყო, ვინც ასე თუ ისე კვლავაც უწინდებურად ირჯებოდა. ხოლო „მილანის“ ამჟამინდელ აღმასვლაში მასაც საკმაოდ დიდი წვლილი მიუძღვის.

მშვენიერი საკლუბო კარიერის კვალობაზე მისტერ ჟორჟის თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდში გამოსვლა ნამდვილად ფერმკრთალია. ზემოხსენებული პატრიოტიზმის მიუხედავად, ლიბერიის ნაკრების თამაშების ყურებისას ისეთი გრძნობა დაგეუფლება, თითქოს გუნდის კაპიტანი მინდორზე სირბილს თაკილობს და მთელი შავი სამუშაოს შესრულებას თანაგუნდელებს აკისრებს. ალბათ, სწორედ ამის გამოა, რომ ლიბერია ვერანაირ წარმატებას ვერ აღწევს სხვა აფრიკულ გუნდებთან ჭიდილში.

დაბოლოს, ფეხბურთელის კარიერის დამთავრების შემდეგ ჟორჟ ვეა პოლიტიკაში აპირებს ბედის ცდას. მას ლიბერიის სპორტის მინისტრობა ამოუჭრია გულში. რამდენად დაეხმარება მისტერ ჟორჟი მინისტრის კაბინეტიდან (რა თქმა უნდა, თუ მიზანს მიაღწევს) თავისი ქვეყნის სპორტს, დრო გვიჩვენებს.

**ჟორჟ ვეა**

**დაიბადა 1966 წლის 1 ოქტომბერს ლიბერიის ქალაქ მონროვიაში**
**თავდამსხმელი**
**სიმაღლე: 1,85**
**წონა: 82 კგ**
**კლუბები: „იანგ სურვივორსი“ (ლიბერია, 1981-84); „ბონ გრენდი“ (ლიბერია, 1984-85); „მაითი ბაროლი“ (ლიბერია, 1985-86); „ინვისიბელ ილევენი“ (ლიბერია, 1986-87); „ტონერი“ (კამერუნი, 1987-88); „მონაკო“ (საფრანგეთი, 1988-92); პსჟ (საფრანგეთი, 1992-95); „მილანი“ (იტალია, 1995)**
**ტიტულები: ლიბერიის ჩემპიონი — 1986, 87; კამერუნის ჩემპიონი — 1988; საფრანგეთის ჩემპიონი — 1994; საფრანგეთის თასი — 1991, 93, 95; იტალიის ჩემპიონი — 1996**
**ნაკრებში 54 მატჩში გაიტანა 18 გოლი (1984-97)**


# სარბიელი

## სპორტული ლატარია “CROCO”

**გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა.** გამოტოვებული მატჩები

16 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| დუისბურგი — კაიზერსლაუტერნი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| მიონხენგლადბახი — ბაიერნი | 4,7 | 3,3 | 1,6 |

**გერმანიის ჩემპიონატი.** მეორე ბუნდესლიგა

გამოტოვებული მატჩი

16 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბერლინი — ზანქტ პაული | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

**ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა.** გამოტოვებული მატჩი

16 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| მანჩესტერი — ჩელსი | 1,9 | 2,8 | 3,8 |

**ინგლისის თასი.** გადათამაშება

16 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრენტფორდი — ოლდემი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| ბრისტოლ როვერსი — ექსიტერი | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| პლიმუტი — უიკომბი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| როტერჰემი — როჩდეილი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ვიგანი — ნოთს ქაუნთი | 1,7 | 3,1 | 4,4 |

**საფრანგეთის ჩემპიონატი.** XIX ტური

16 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნანტი — ნანსი | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 0:1 | 2,1 | 3,0 | 2,2 |
| მონაკო — ტულუზი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ლანსი — სოშო | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ლიონი — ლორიანი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ლე ავრი — რენი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| მონპელიე — მარსელი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| პსჟ — სტრასბური | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |

**ესპანეთის თასი.** პირველი მატჩები

16 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| დეპორტივო — სპორტინგი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| ვილიარეალი — სევილია | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| რასინგი — ოსასუნა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| ვალიადოლიდი — ბადახოსი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| ლას პალმასი — ლევანტე | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| ტენერიფე — ბენიდორმი | 1,15 | 5,6 | 10,0 |

**ჰოლანდიის ჩემპიონატი.** გამოტოვებული მატჩები

16 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნაიმეგენი — ვალვაიკი | 1,3 | 4,2 | 7,0 |
| ბრედა — კამბური | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| როდა — ტვენტე | 2,0 | 2,8 | 3,5 |

**თურქეთის ჩემპიონატი.** გამოტოვებული მატჩი

16 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| გალათასარაი — ბეშიქთაში | 2,2 | 2,9 | 3,0 |

**შოტლანდიის ჩემპიონატი.** გამოტევებული მატჩი

16 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| მოზერველი — დანდი | 1,9 | 2,8 | 3,8 |

**ჰოკეი. NHL**

16 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტორონტო — ფინიქსი | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| ნიუ ჯერსი — რეინჯერსი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| ფლორიდა — პიტსბურგი | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| დეტროიტი — ბოსტონი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| ანაჰაიმი — ნეშვილი | 1,6 | 4,4 | 2,7 |

17 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოსტონი — ოტავა | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| ფილადელფია — კალგარი | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| ჩიკაგო — ვაშინგტონი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| სენტ ლუისი — ფინიქსი | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| ვანკუვერი — კოლორადო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ლოს ანჯელესი — აილენდერსი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| სან ხოსე — ნეშვილი | 1,9 | 4,4 | 2,1 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

**თბილისში** — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან; №2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე; №67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი.

**ქუთაისში** — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში;

**ბათუმში** — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

**რუსთავში** — კინოთეატრი „რუსთაველი“; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

კალათბურთი

# ვისთვის იქნება მხიარული არდადეგები?

15 დეკემბერი
თბილისი
ვერის ბაღი
7 ტური

**სტუ 93:81 დინამო**

I ტაიმი 51:46
სტუ: მიქაძე (11), ტულუში (14), ნაცვლიშვილი (15), ნოზაძე (4), ოთიურიძე (8); მოისწრაფიშვილი (8), სუხიშვილი (2), ჩერქეზიშვილი (2), ლოსაბერიძე (14), მინაშვილი (15), ცხვედიანი
დინამო: ნიკოლაძე (36), ნიკლაური (10), შანიძე (16), მანველიშვილი, ნინიაშვილი (13); ჭყონია, ხეცურიანი (6), ახვლედიანი
მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზურაბ აბაშიძე
დელეგატი: ნოდარ დარახველიძე

ამას წინათ მეშვიდე ტურში გასამართი ამ გუნდების დაპირისპირება ჩვენთვის კარგად ცნობილი ენერგოკრიზისის გამო გადაიდო და გუშინლა შედგა. თავიდანვე გაცხადდა, რომ სატურნირო ცხრილში მეზობლად მყოფი გუნდები ერთმანეთს არ დაზოგავდნენ. თუ „დინამო“ სტუდენტებზე გამარჯვებით თსუ-სგან ნაწნევი წყნის დავიწყებას ლამობდა, სტუ წაუგებელ სერიას ექვსამდე გაზრდიდა, ამ მაჩვენებლით ლიდერ „აზოტს“ გაუტოლდებოდა და ბურთების უკეთესი თანაფარდობით სულაც თავად მოკალათდებოდა სათავეში. იქნებ ყოველივე არც ისე მნიშვნელოვანი ყოფილიყო, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ პირველი წრის დასკვნით, მეცხრე ტურში სტუ-„აზოტია“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მერვე ეროვნულში ჯერაც დაუმარცხებელი ეს გუნდები სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებმებიან, რათა შობა-ახალწელს ხალისიანად და ღირსეულად შეხვდნენ. ყოველივეს გახსენება კი იმად დაგვჭირდა, რომ სტუ-ს მატჩისწინა განწყობა უკეთ გაიაზროთ, რადგან გუნდი, რომელიც ლიდერობის მანტიაზე ოცნებობს, არც შესუსტებულ „დინამოს“ დაინდობდა და არც „აზოტთან“ საპასუხისმგებლო შეხვედრის წინ წაიხდენდა ხასიათს.

„დინამოს“ შესუსტებაზე ადრეც არაერთხელ გვითქვამს და ახლა ამაზე აღარ შევჩერდებით. ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ წამყვანი მოთამაშეების წასვლით ამ გუნდმა მეტად იზარალა, მაგრამ გამოცდილი თვალი ადვილად შეამჩნევს, რომ მოსეშვილის ბიჭები დღითი-დღე ღონიერდებიან და საკმაოდ სოლიდურადაც გამოიყურებიან, ხოლო შედეგის გასაუმჯობესებლად უპირველესად გამოცდილ ცენტრზე ზრუნვა მართებთ მწვრთნელებს. ახალგაზრდა ნინიაშვილმა კი მოინდომა, მაგრამ ოთიურიძესთან ვერაფერი გააწყო. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ოთიურიძეს ფარზე ბრძოლაში რიგრიგობით ნოზაძე, მინაშვილი და სუხიშვილი ეხმარებოდნენ, ხოლო ეულად დარჩენილ ნინიაშვილს გუშინ ვერც მეჭურჭლიშვილი უბამდა მხარს, რადგან ეს უკანასკნელი ტრავმის გამო საერთოდ არ გამოსულა მოედანზე.

აქ კი მივადექით მთავარ საკითხს, რამაც ყველაზე მეტად განაპირობა სტუ-ს გამარჯვება. ფარზე აშკარად დაჯაბნეს სტუდენტებმა მეტოქეს. არადა, ეს კომპონენტი კალათბურთში ერთ-ერთი უმთავრესი და საბოლოო წარმატების ძირითადი წინაპირობაა.

მატჩის დებიუტი თანაბრად წარიმართა — ნოზაძემ და წიკლაურმა შეტევები გაცვალეს. აღსანიშნავია, რომ სტუ-მ თავიდანვე აქტიურ დაცვას მიმართა, რომელსაც საკალათბურთო ენაზე უბრალოდ პრესინგი ეწოდება და მეტოქის მთელ მოედანზე დევნას გულისხმობს. თითქოს ამაში უჩვეულო არაფერია, მაგრამ დაცვის ამგვარი ტაქტიკა უდიდეს ენერგიას მოითხოვს, ხოლო ფიზიკური მზადყოფნა ნაღდად არ დაეწუნებათ თამაზ ოქრუაშვილის შეგირდებს. ერთი სიტყვით, პრესინგმა შედეგი გამოიღო — დინამოელებს ძალიან უჭირდათ მოწინააღმდეგის ნახევარზე გადასვლა და თუ ამას მოახერხებდნენ, ძალაგამოცლილნი ახლა დამაგვირგვინებელ ფაზაში სცოდავდნენ.

სტუ-მ ამით ისარგებლა და რამდენჯერმე სწრაფი შეტევა განავითარა, რომელიც ტულუშმა დააგვირგვინა ორჯერ, ხოლო როცა ოთიურიძემაც თავის სტილში ჩააგდო, „დინამო“ მეტოქეს ექვსი ქულით ჩამორჩა 11:5. ეს იყო და სტუდენტები შედარებით მოეშვნენ, რასაც მოწინააღმდეგის გამოცოცხლებაც დაერთო და ორ-ორჯერ ხეცურიანმა და ნიკოლაძემ ითამაშეს ზუსტად, ხოლო როცა შანიძემაც იმარჯვა, წინ „დინამო“ გავიდა 18:17.

ამის შემდეგ თამაში ქულა-ქულაზე გაჩაღდა. მეტოქეები მონაცვლეობით გადიოდნენ წინ, მაგრამ ამას უფრო ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე ახერხებდნენ და არა გუნდური თამაშით, რაც სანახაობრივ მხარეს რამდენადმე აკნინებდა. ამიტომაც იყო, რომ მეტ-ნაკლებად თანაბარი თამაში უფრო ინერტულს დაემსგავსა და მაყურებელიც ამაოდ დაშვრა რაიმე დამატებით ინტრიგის მოლოდინში.

შეხვედრა შედარებით ტაიმის მიწურულს გამოცოცხლდა, როცა გუნდებმა პირველი ნახევრის დადებითი ბალანსით დამთავრებაზე იწყეს ფიქრი. აქ კი სტუ-მ უფრო იყოჩაღა და შესვენებაზე ხუთქულიანი უპირატესობით წავიდა — 51:46.

განახლდა თამაში და ბევრიც არაფერი შეცვლილა. გუნდები იმავე სცენარით მოქმედებდნენ. ეგ იყო, სტუდენტთა გრძელი სკამის ფაქტორი უფრო თვალშისაცემი ხდებოდა, „დინამოს“ კი სრულფასოვანი შემცვლელების არყოლაში ძალიან უჭირდა წინააღმდეგობის გაწევა. გიორგი ნიკოლაძე რომ არა, მატჩის ბედი, ალბათ, ადრევე გადაწყდებოდა. ეს ბიჭი წაგებას არ ეგუებოდა და გააფთრებით იბრძოდა თვითოეული ბურთისთვის. თავისიანთა შეტევებსაც მეტწილად თავად აგვირგვინებდა და მთლიანად მისი დამსახურებაა, რომ მატჩის დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე „დინამო“ მხოლოდ ქულით აგებდა 72:73.

ნიკოლაძისგან განსხვავებით, მისი თანაგუნდელები აშკარად ვერ იყვნენ თამაშის იშტაზე და მას შემდეგ, რაც მოედანი ნინიაშვილმა და წიკლაურმა ხუთი პერსონალურის გამო დატოვეს, ინიციატივას მთლიანად სტუ დაეუფლა.

ლოსაბერიძე და ნაცვლიშვილი რიგრიგობით აწიოკებდნენ მეტოქეს და სწრაფი გარღვევებით საბოლოოდ დაშალეს „დინამოს“ დაცვა. გუნდის ზედიზედ მეექვსე გამარჯვებასაც წინ ვერაფერი დაუდგა.

**გიორგი ბიქაშვილი**



სტუ — დინამო. უტევს დინამოელი ნინიაშვილი



მოძალადე ნიკოლა ბულატოვიჩი

## ამხელა მუტრუკმა ბავშვი გააუპატიურა

იუგოსლავიის ნაკრებისა და პოდგორიცას „ბუდუჩნოსტის“ ცენტრი, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ნიკოლა ბულატოვიჩი სამ წელიწადს ციხეში გაატარებს. 27 წლის და 210-სანტიმეტრიანმა კალათბურთელმა 15 წლის გოგო გააუპატიურა.

მოსამართლე სლობოდან რასიჩმა აღნიშნა, რომ სექსი 15 წლის გოგოსთან დასაშვებია, თუკი ეს უკანასკნელი თანახმაა. ბულატოვიჩის შემთხვევაში საქმე სხვაგავარად იყო. სამედიცინო ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ბულატოვიჩმა გოგოზე ძალა იხმარა, თან, თავდაცვის საშუალებაც მოუსპო. სასამართლომ კალათბურთელი დამნაშავედ ცნო, მაგრამ გაითვალისწინა შემამსუბუქებელი გარემოებები. კერძოდ, ბულატოვიჩის დამსახურება იუგოსლავიის წინაშე, მისი ტიტულები და ისიც, რომ კალათბურთელს სამართალდამცავ ორგანოებთან აქამდე არ ჰქონია საქმე. სწორედ ამის გამო, ბულატოვიჩს მხოლოდ სამი წელიწადი აკმარეს.

ჭადრაკი

# ბრავო, ხურციძე!

ეს პათეტიკური სათაურ-შეძახილი მკითხველს საფუძვლიანად მოეჩვენება, თუ ვაცნობებთ, რომ ნინო ხურციძე გასულ კვირას საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონატში ქართული საჭადრაკო ელიტის წარმომადგენლები არ მონაწილეობდნენ, ეს მაინც დიდი მიღწევაა.

ჭადრაკში აბსოლუტური ჩემპიონატი, მოგეხსენებათ, ორივე სქესის მოჭადრაკეთა მონაწილეობას გულისხმობს და თბილისის ჭადრაკის სასახლეშიც 50-ზე მეტი ვაჟკაცი და მანდილოსანი შეიკრიბა. ასაკობრივი შეზღუდვა არ ყოფილა და ჩემპიონატის დღეებში მრავლად იხილავდით კეთილი ღიმილის მომგვრელ სურათებს: დაფის ერთ მხარეს ჭაღარა, ალნაგი ვეტერანი, მეორე მხარეს კი მისი მეათედი გაბარიტების მქონე ბიჭუნა, დაფაზე ფიგურებს რომ ვერ მიწვდომია. მოთამაშეთა უმეტესობას მაინც ახალგაზრდა მოჭადრაკეები შეადგენდნენ და მათ შორის ბევრი ტიტულოვანიც იყო; გოგონათაგან აღვნიშნავთ ნინო ხურციძეს, მაია ლომინეიშვილს, სოფიკო ტყეშელაშვილს, ანა მათნაძეს, ჭაბუკთაგან კი გიორგი ბახტაძეს, დავით შენგელიას, ნიკა შავთვალაძეს და ზვიად იზორიას.

ტურნირი შვეიცარიული სისტემით, 11 ტურად ჩატარდა და, როგორც ამ სისტემას სჩვევია, თავიდანვე დიდი ბრძოლა გაჩაღდა. ფინიშის მოახლოებასთან ერთად ცხადი შეიქნა, რომ ძლიერი სქესის წარმომადგენლები მძლავრობდნენ და მშვენიერთაგან მათთან გამკლავება მხოლოდ ნინო ხურციძეს ძალუძდა. ამ უკანასკნელმა კი მართლაც დაამტკიცა, რომ ელისტის ოლიმპიადა მისთვის მხოლოდ დროებითი ჩავარდნა იყო. ბოლო ტურის წინ ხურციძე ქულით დაწინაურდა და რომან სიჭინავასთან შეხვედრაში ყაიმიც სავსებით აძლევდა ხელს. მიუხედავად ამისა, ნინომ ბოლო მეტოქეც დაამარცხა და ჩემპიონატი ქულანახევრიანი უპირატესობით მოიგო. დანარჩენი საპრიზო ადგილები მამაკაცებმა გაიყვეს: გიორგი ბახტაძე 8 ქულით მეორე იყო, ხოლო 7,5 ქულა ოთხ მოჭადრაკეს დაუგროვდა: ხვიჩა ბახტაძეს, ნიკა შავთვალაძეს, ლევან აროშიძეს და ზვიად იზორიას.

ერთი სიტყვით, საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი მანდილოსანი გახდა და ეს ამბავი ჩვენს სამშობლოში ალბათ არც უნდა გაგვიკვირდეს.

**დავით გულუა**

ჭიდაობა

# ქართველები ჩვენთვის და სხვებისთვის

წლის მიწურულია და ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ — ფილამ კონტინენტთა და მსოფლიოს ჩემპიონატების შედეგების გათვალისწინებით გამოაქვეყნა ახალი რეიტინგები წონითი კატეგორიების მიხედვით. რჩეულთა შორის ფილამ 35 ქართველი ფალავანი დაასახელა (ჭიდაობის ორივე სახეობაში). ამათგან 23 საქართველოს, დანარჩენი 12 კი სხვა ქვეყნების ღირსებას იცავს. ზოგიერთი მათაგნი თავის წონასაც კი ლიდერობს, თუმცა ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ და თავისუფალი ჭიდაობით დავიწყოთ.

54 კგ წონაში პერსპექტიული ფალავანი ამჯერად არ გვყავს და ეს რეიტინგშიც ჩანს — ჩვენგან საუკეთესო გოჩა კირკიტაძე 39-ეა, ხოლო გიორგი გაგიშვილი — 52-ე.

მომდევნო, 58 კგ წონაში ოთხი ქართველია დასახელებული, თუმცა ვიდრე მათზე გეტყოდეთ, პირველ სამეულს გაგაცნობთ: დოგან ჰარუნი (თურქეთი), მურად უმახანოვი (რუსეთი), ალირეზა დაბირი (ირანი). მეოთხეა კანადის სახელით მოასპარეზე გია სისაური. ჩვენიანთაგან საუკეთესო, ევროპის ორგზის ჩემპიონი დავით პოღოსიანი მეექვსეა. 50-ეა ქუთაისელი ვალერი კოლუაშვილი, 54-ე — ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს პირველობის ვერცხლისმედალოსანი ოთარ თუშიშვილი. ამ წონისგან განსხვავებით, 63-ში მთლიანად ახალგაზრდა დავით ლეჟავას 47-ე ადგილის იმედზე ვართ. დათომ წლეულს იუნიორთა მსოფლიოს პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავა.

ჩვენთვის საინტერესო სიტუაციაა 66 კგ წონაში. აქ სიას საქართველოში გაზრდილი, ახლა კი უკრაინის სახელით მოასპარეზე ზაზა ზოზიროვი ლიდერობს. მეორეა ველიხან ალახვერდიევი (რუსეთი), მესამე — ჩვენი ემზარ ბედინეიშვილი. შეგახსენებთ, რომ ბედინეიშვილს ევროპის ჩემპიონატზე სწორედ ალახვერდიევთან წააგებინეს (ამას ფილას დიდმოხელენიც არ მალავენ). არადა, მსაჯებს რომ სინდისზე ხელი არ აეღოთ, ალბათ რეიტინგში ერთმანეთს ადგილებსაც გაუცვლიდნენ.

ჩეჩენ ბუვაისა საიტიევის ძალა საყოველთაოდ ცნობილი ამბავია. იგი ერთგვარად უნივერსალურ სპორტსმენადაც კი მოგვევლინა, რადგან ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე სხვადასხვა წონებში იჭიდავა და შესაბამისად, სარეიტინგო სიებშიც ორ წონაში მოხვდა. 76-ში მას გვერდს ძმა ადამიც უმშვენებს. პირველი შვიდი ადგილი კი ამ სახელოვან ფალავნებს უპყრიათ შემდეგი თანმიმდევრობით: ალექსანდრ ლაიპოლდი (გერმანია), არპად რიხტერი (უნგრეთი), მონ იო ჯუ (კორეა), ბუვაისა საიტიევი (რუსეთი), რედიმან დოროშტკარი (ირანი), არაიკ გევორქიანი (სომხეთი), ადამ საიტიევი (რუსეთი). მე-10 ადგილზეა აფხაზეთიდან უკრაინაში გადასახლებული გურამ მჭედლიძე, მე-18 — „კანადელი“ კახა ვერხვიაშვილი. ჩვენებურთაგან მხოლოდ რევაზ მინდორაშვილია 39-ე ადგილზე.

85 კგ-ში ბუვაისა საიტიევს მე-12 ადგილი უკავია, „უკრაინელ“ დავით ბიჩინაშვილს — მე-14. საქართველოს სახელით მოასპარეზეთაგან რეიტინგში გოჩა ჩიხრაძე (21) და ნიკოლოზ ბეგაშვილი (41) მოხვდნენ.

97 კგ-ში ელდარ კურტანიძე მეორეა, ევროპის ჩემპიონატზე მასთან დამარცხებული, მსოფლიოზე კი მისი მომგები პოლონელი მარეკ გარმულევიჩი პირველია. ელდარის თეირანში მასთან რომ არ წაეგო, უეჭველად პირველი იქნებოდა. ამავე წონაში მესამეა სახელოვანი ირანელი აბას ჯადიდი, მეექვსე კი საბერძნეთში გადასახლებული და გვარშეცვლილი, საქართველოში მგელაძედ, ხოლო ელადაში ქსანტოპულოსად წოდებული ავთანდილი. მან უკან მოიტოვა ისეთი ნიჭიერი, ტექნიკური და პერსპექტიული მოჭიდავე, როგორიც ამერიკელი ზანგი მელვილ დუგლასია (8).

130 კგ-ს ირანელი მსოფლიოს ჩემპიონი რასულ ხადემი უდგას სათავეში, ალექსანდრე მოდებაძე კი ზუსტად მეათეა.

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 54 კგ-ში ვაჟა ომანიძე 37-ეა, 58-ში კობა გულიაშვილი — მე-19, ხოლო 63-ში რეიტინგმა ერთბაშად ორი ფალავანი გამოგვირჩია — აკაკი ჩაჩუა (9) და შმაგი გიქაძე (29).

69 კგ წონას გამოცდილი რუსი ალექსანდრ ტრეტიაკოვი ლიდერობს. გიორგი ჯინჭველაშვილი მე-6, ხოლო ტარიელ მელელაშვილი — მე-9 ადგილებზე არიან. არაა გამორიცხული, ამ უკანასკნელმა წონა შეიცვალოს.

76 კგ-ში პირველია თურქი ოლიმპიური ჩემპიონი, ხვიჩა ბიჩინაშვილის ერთ-ერთი უმთავრესი მეტოქე ნაზმი ავლუჯა. თავად ხვიჩა კი მესამეა.

85 კგ-იანთა სიას საქართველოდან ისრაელში ასული, ქართველთათვის ხელის არაერთხელ გამმართავი გოჩა ციციაშვილი თავკაცობს. ბაღდათელი ემზარ მახარაძე კი მე-12-ეა.

რუსეთის სახელით მოასპარეზე ქართველი, გიორგი კოლუაშვილი უდგას სათავეში 97-კილოგრამიან ფალავნებს. უკრაინას შეხიზნული დავით სალდაძე მე-8-ეა, ჩვენი ზაზა სილაგაძე კი — მე-10. კიდევ ერთი ჩვენი თანამემამულე, რუსეთის დროშით მოასპარეზე თეიმურაზ ედიშერაშვილი სიაში მე-11-ეა.

სილაგაძის ადგილს, ურიგო ნამდვილად არ ეთქმის, მაგრამ მისთვის სამწუხაროდ და ჩვენდა გასახარად მას პოზიციებს საქართველოდან ემუქრება საფრთხე ახალგაზრდა ბათუმელ გენადი ჩხაიძის სახით, რომელმაც სამსოფლიოჩემპიონატო ნაკრებიდან კიდეც ამოაგდო იგი. ამ ფაქტში ჩვენთვის სასიხარულო საკონკურენციო ატმოსფეროს გაჩენაა.

დაბოლოს 130 კგ წონითი კატეგორია, რომელსაც ფალავანთა ფალავანი, მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონი, რუსი ალექსანდრ კარელინი ლიდერობს და როგორც ჩანს, კარგა ხნითაც. მირიან გიორგაძე მე-3-ეა. ეს შედეგი ახალგაზრდა მოჭიდავისთვის, რომლის ყველაზე დიდი მიღწევა მსოფლიოს პირველობაზე დაკავებული მეოთხე ადგილია, დიდი წარმატებაა. მეორე ჩვენებური — ხვიჩა ქორიძე 31-ეა. მანამდე კი სიაში კიდევ ორი ქართული გვარ-სახელია — გიორგი სალდაძე (4; უკრაინა) და დავით ენდელაძე (19; რუსეთი).

**ირაკლი თაბაძე**

საჩოგბურთო (ავტო)პორტრეტი ინტერიერში

# ბორის ბეკერი — დიდების ფასი

*ბორის ბეკერის ცხოვრების გზა ახდენილ ოცნებას ჰგავს — ტყვიასავით მოწოდების პატრონი, 17 წლის ბავშვური იერის მქონე წითური გერმანელი ჩოგბურთელთა ელიტაში გრიგალივით შეიჭრა და უიმბლდონის უმრწემესი ჩემპიონი შეიქნა. ამას სპორტულ თუ პირად ფრონტებზე სხვა წარმატებებიც მოჰყვა: დიდი სლემის ექვსი ტურნირის ჩემპიონობა, კლასიფიკაციის პირველი ადგილი, მშვენიერი მეუღლე და ვაჟიშვილი, მსოფლიოს ყველა კუთხეში მილიონობით გულშემატკივარი. თუმცა დიდებას თავისი ფასიც აღმოაჩნდა, ფასი, რომელიც დროის სვლასა და ასაკის მატებასთან ერთად სულ უფრო და უფრო მძიმე გადასახდელი გახდა. თუმც ყველაფერი ამის შესახებ თავად ბორისი უკეთ მოგვითხრობს.*



## ფინიშის ხაზთან

შარშანდელი აშშ-ის ღია პირველობის წინ ნიუ იორკში კი გახლდით, მაგრამ არტურ ეშის სახელობის ახალი სტადიონის გახსნის დღემდე არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ზეიმსა და ყოფილი ჩემპიონების აღლუმს დავესწრებოდი. ყოყმანს პოლიტიკასთან აშშ-ის ჩოგბურთის ფედერაციასთან ან არტურ ეშისადმი ჩემს გრძნობებთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა. მე სულ სხვა პრობლემები მაწუხებდა.

ივლისში უიმბლდონზე პიტ სამპრასთან რომ დავმარცხდი, განვაცხადე, 1997 წლის შემდეგ დიდი სლემის ტურნირებზე აღარ ვიასპარეზებ-მეთქი. მთელი სეზონი ტრავმები მაწუხებდა, მაგრამ სასლემო კარიერის დასრულებას არტურ ეშის ახალ სტადიონზე ვაპირებდი. იმისი ცოდნა, რომ ეს ჩემი უკანასკნელი დიდი ჩემპიონატი იყო, წარმატებით თამაშში დამეხმარებოდა, თითოეული მატჩით, თითოეული წამით ვისიამოვნებდი.

ფიზიკურმა მოუმზადებლობამ მაგრძნობინა, რომ „ფლაშინგ მედოუზზე“ წარმატებით გამოსვლა შეუძლებელი იყო. ყოფილ ჩემპიონთა აღლუმში მონაწილეობა კი იმის აღიარება იქნებოდა, რომ ჩემი კარიერა მართლაც დასასრულს მიახლოებოდა.

ბარბარა ბევრს ეცადა, ჩემთვის გადაეთქმევინებინა. მას ძალიან უნდოდა, რომ ჩვენს ვაჟიშვილ ნოას, რომელიც ახლა 4 წლისაა, საზეიმო ცერემონიალზე მამაც ენახა. მეც დავთანხმდი.

როდესაც ჩვენი მანქანა ცხელი, დახუთული საღამოს ბინდბუნდში კორტს მიუახლოვდა, ახალი სტადიონის მაღალმა კედლებმა და პროჟექტორებმა თვალი მომჭრა. უეცრად ვინატრე, ნეტა, თან ჩოგნები წამომეღო-მეთქი, წარმოვიდგინე, თითქოს შემეძლო გასახდელში შერბენა, სამპრასის გამოყვანა და მხოლოდ სიამოვნების მისაღებად ცოტა ხნით მასთან თამაში. თუმცა მსგავსი სურვილები ალბათ, არც არასოდეს გამიქრება, მე ხომ მართლაც ღრმად და გულწრფელად მიყვარს თამაში, რომელსაც ჩოგბურთი ჰქვია.

## მხსნელი

რა თქმა უნდა, როდესაც უიმბლდონზე ჩემი წასვლის შესახებ განვაცხადე, ბევრი გაოცებული დარჩა. ზოგს ეგონა, ეს ნაჩქარევი გადაწყვეტილება იყო, რაკი ვიგრძენი, რომ ისეთ ჯეელებთან პაექრობა, როგორიც პიტია, აღარ შემეძლო. მაგრამ ეს არ არის მართალი. გულახდილად რომ გითხრათ, ჩოგბურთს თავი ჯერ კიდევ 1991-ში კინაღამ დავანებე, როდესაც სულ 23 წლის ვიყავი.

იმ დროისათვის საფრანგეთის ღია პირველობის გარდა ყველა დიდი სლემის ტურნირი ერთხელ მაინც მქონდა მოგებული, 26 ტიტულს ვფლობდი, გერმანიის ისტორიაში პირველი დევისის თასის მომგები გუნდის წევრი ვიყავი და მსოფლიოს პირველი ჩოგანიც.

ვიცოდი, რომ 23 წლისა ჩოგბურთში მართლაც ძლიერი ვიყავი, მაგრამ იგივეს საკუთარ თავზე, როგორც პიროვნებაზე, ვერაფრით ვიტყოდი. ბარბარას მეტად კრიტიკულ მომენტში შევხვდი და მასთან სერიოზული, ხანგრძლივი და ღრმა ურთიერთობის დამყარებამ მოულოდნელად საკუთარი კარიერა სხვა მხრიდან დამანახა.

მისი დახმარებით მივხვდი, 23 წლისა რომ წავსულიყავი, ჩემი ისტორია დაუსრულებელი, გაუწონასწორებელი დარჩებოდა. და ჩვენ ერთად გადავწყვიტეთ, ჩვენი პირადი ცხოვრებიდან გავიღებდით იმ დიდ მსხვერპლს რასაც უმაღლეს დონეზე ჩემი ასპარეზობა მოითხოვდა. ეს ღირდა ამად.

ჯერ ბარბარა და მერე ნოა რომ არა, სიცოცხლის აზრის ძიებას ჩოგბურთის გარეთ შევეცდებოდი. მათ მიმახვედრეს, რომ ამისი კეთება ჩოგბურთის თამაშითაც შეიძლებოდა.

და მაინც, უკვე ხუთი წელია, ყოველი სეზონის დასაწყისში საკუთარ თავს ვეუბნებოდი, ეს შენთვის შეიძლება ბოლო წელი იყოს-მეთქი, რადგან კარიერის სრულად გალევის სურვილთან ერთად ყოველთვის მქონდა შიში, ზედმეტი არ მეთამაშა, მხოლოდ საკუთარი პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ან რაიმე სხვა არასწორი მიზეზის გამო არ შევრჩენოდი სპორტულ სარბიელს.

ჩოგბურთში წარმატებებს თავისი ფასი აქვს, რომელსაც შენი სხეულით, შენი სულით, შენი ურთიერთობებით იხდი. 1997 წლის დასაწყისში მივხვდი, რომ საკუთარი თავის მოტყუება აღარ შემეძლო. სარკეშიც რომ ვიყურებოდი, მაშინაც კი იმაზე ვფიქრობდი, თუ რამდენი მსხვერპლის გაღება მოუხდებოდათ ჩემს მეუღლესა და ვაჟიშვილს, ასპარეზობა რომ გამეგრძელებინა.

## მკვლელი სლემები

ერთი რამ უნდა გითხრათ დიდი სლემის ტურნირების მოგების შესახებ. მათ დროს ეგოისტი უნდა იყო, ამ იდეით შეპყრობილი და სხვა არაფერზე იფიქრო — იყო რაღაც უგრძნობი ცხოველის მსგავსი. ასეთი ქცევის გამართლება იოლად შეგიძლია, ისეთი მარტივი სიტყვებით, როგორც „უიმბლდონი“ ან „ფლაშინგ მედოუზია“. 18 წლის ბიჭი მშობლებს, რომლებიც ძალიან მიყვარდა, ვეუბნებოდი, თუ გინდათ, შეგიძლიათ ტურნირზე ჩამოხვიდეთ, მაგრამ მის მანძილზე ჩემთვის მეორეხარისხოვანი იქნებით-მეთქი. ისინი ხელს ვერ შემიშლიდნენ, მე კი მათთვის დრო არ მექნებოდა. ცოტა მკაცრად არ ჟღერს?

იგივე შეეხებოდა მეგობრებს. ასეთი ურთიერთობა არც არსებობდა. საუკეთესო მეგობარი შეიძლება ჩემგან მხოლოდ ერთ-ორ საათს ითხოვდა, მაგრამ ასეთი მსხვერპლის გაღებაც კი ძალიან ბევრად მეჩვენებოდა. მე ადამიანურად არ ვიქცეოდი და რაც უფრო მემატებოდა ასაკი, ყველაფერი ეს სულ უფრო სასაცილო ხდებოდა.

იგივე ეხებოდა ჩემს კოლეგებსაც, სხვა ჩოგბურთელებს — იმ ადამიანებს, რომლებმაც კარგად იცოდნენ, რაც ხდებოდა ჩემს თავს. რა თქმა უნდა, სულიერად ჩვენ ახლოს ვიყავით, მაგრამ ისინი უპირველესად ჩემი მეტოქეები იყვნენ, ასე რომ, მათ მიმართ ყოველგვარი სიმპატია უნდა მიმეჩქმალა. თვით სტეფან ედბერგის მიმართაც კი, რომელსაც დიდ პატივს ვცემდი და ძალიანაც მომწონდა, იმის მესედსაც კი ვერ გამოვამჟღავნებდი, რასაც მართლა ვგრძნობდი. ბოლო წლებში სამპრასს დავუმეგობრდი, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ დასასრულის მოახლოებას ვგრძნობდი. ათი წლის წინ რაიმე მიზეზს გამოვნახავდი მასთან გადასამტერებლად, რათა ნამდვილი გრძნობების დამალვა და მისი დამარცხება გამადვილებოდა.

და, რაღა თქმა უნდა, ბარბარა. დიდი სლემის ტურნირების დროს მას საშინელებებს ვეუბნებოდი — „შენ შეგიძლია, ასე და ასე მოიქცე; შენ გევალება, ესა და ეს გამიკეთო; მაქსიმუმი, რისი უფლებაც შემიძლია, მოგცე, ესაა“... რა თქმა უნდა, როდესაც ჩემპიონატი დასრულდებოდა და სადმე დასასვენებლად წავიდოდით, ბოდიშსაც ვიხდიდი და დანაშაულის გამოსყიდვასაც ყოველნაირად ვცდილობდი.

მერე კი შემდეგი დიდი სლემის ტურნირი მოდიოდა და მეც იგივე ნაძირალად ვიქცეოდი. ჩემდა საბედნიეროდ, ბარბარამ ყველაფერ ამას მალე აუღო ალღო და გვირაბის ბოლოს სინათლეც ჩემზე გაცილებით ადრე დაინახა. ალბათ, ეს თუ აძლებინებდა მთელი ამ ხნის მანძილზე, ეს და მეიჯორებს შორის არსებული ნამდვილი კეთილგონიერებისა და სიცხადის მცირე პერიოდები, როდესაც ბოლოს და ბოლოს ერთმანეთისთვის ვიცლიდით.

სანამ ნოა პატარა იყო და ბევრ რამეს ვერ ხვდებოდა, კიდევ შემეძლო დიდი ტურნირების დროს მისი დავიწყება. მაგრამ ასაკის მატებასთან ერთად შიში გამიჩნდა, რომ ასეთი დამოკიდებულება მის განვითარებაზე ცუდ ზეგავლენას მოახდენდა. უფლება არ მაქვს, მშვიდად ვუყურო ბავშვს და მთელი ორი კვირის მანძილზე წელიწადში ოთხჯერ წუთიც არ დავუთმო. ეს არასწორი იქნება.

ამით არ ვამბობ, რომ ყველა ძლიერი ჩოგბურთელი ზუსტად ასე უნდა იქცეოდეს. შეიძლება მათი დაძაბულობისა თუ ინტენსიურობის დონე განსხვავებული იყოს, მაგრამ თუ წარმატების მიღწევა გინდა, რეჟიმი მსგავსია. ჩემი საქციელი კი იმით იყო გამოწვეული, რაც უმეტესობამ შეიძლება არც დაიჯეროს: არ მეგონა, რომ ისეთი ნიჭიერი ვიყავი, როგორც ბევრი სხვა ჩოგბურთელია.

## დიდება და შიში

ეს ცრუ თავმდაბლობა არ გეგონოთ, ამაში ახლაც დარწმუნებული ვარ. ექვსი დიდი სლემის ტურნირი მოვიგე და ბევრი მაინც ამბობს: „რა სამწუხაროა, რომ ბორისმა მეტი ვერ მოახერხა. ამაში დამნაშავე მისი რთული ხასიათია“.

შეიძლება ჩემი, როგორც პიროვნების განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემები და ჩოგბურთისადმი გულგრილობის პერიოდები ზოგიერთი მატჩის თუ ტურნირის წაგებად დამიჯდა, მაგრამ გულწრფელად მჯერა, იმაშიც გამიმართლა, რომ ექვსი მეიჯორი მოვიგე.

პიროვნება, რომელსაც ყველაზე დიდ პატივს ვცემ, როგორც უშიშარ მოთამაშესა და ნამდვილ მეომარს, ჯონ მაკინროია. მან კი მხოლოდ შვიდი დიდი სლემის ტურნირი მოიგო. ამის გათვალისწინებით, სულაც არ ვთვლი, რომ ჩემი შესაძლებლობები სრულად ვერ გამოვიყენე.

სიმართლე გითხრათ, ვფიქრობ, მიღწევათა უმეტესობას ჩემს ნებისყოფას უნდა ვუმადლოდე. გამარჯვებას იმიტომ ვაღწევდი, რომ როცა კორტზე გავდიოდი, მანიაკალურად მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, მატჩის ბოლო ქულა მე მიმეთვალა. ეს ჩემი ერთადერთი მიზანი იყო. იცით, რას ნიშნავს ჩემისთანა ჩოგბურთელისთვის კვირაში ოთხი ან ხუთი მატჩის მოგება? ან ექვსის, თუ საქმე დიდი სლემის ტურნირს ეხება? ამან მე ზომბად მაქცია. რაღა გასაკვირია, თუ აღარ მსურს, ასე გაგრძელდეს.

შეიძლება ყველაფერი ეს გადაჭარბებული მოგეჩვენოთ, რადგან მეიჯორებს შორის ცხოვრება ნორმალურად მიედინებოდა. მაგრამ თითქმის ყველა დიდი ჩოგბურთელი მსგავს სიტუაციაშია. დიდი იგი მარტო მოწოდების ან ფორჰენდის კი არა, იმის გამოა, რომ ასეთი მომენტების უსაშველო ზეწოლასა და გამოწვევას უძლებს. მე კი მდგომარეობა კიდევ უფრო იმან გამირთულა, უიმბლდონი ადრეულ ასაკში რომ მოვიგე.

ჩემს საყვარელ ტურნირზე 17 წლისამ გავიმარჯვე, მომდევნო წელს კი ტიტული წარმატებით შევინარჩუნე. ეს იმიტომ, რომ მეტი პირველობების მოგების, მსოფლიოს პირველ ჩოგნად გახდომის დიდი სურვილი მქონდა. მაგრამ უიმბლდონის მეორედ მოგების შემდეგ ჩემში სულ უფრო მძლავრობდა სხვა გრძნობა — შიში.

მეშინოდა, მეტი წარმატებებისთვის რომ მიმეღწია, პირადი ცხოვრება სრულად წამერთმეოდა, მუდმივად ყურადღების ცენტრში მოვხვდებოდი. თანდათან პარანოიდს დავემსგავსე — თითქოს მიკროსკოპით მაკვირდებოდნენ, ჩემი ყოველი საქციელი განსჯის თემა ხდებოდა და ეს იმ ასაკში, როდესაც სხვა თანატოლების მსგავსად, წარმოდგენაც არ მქონდა, რას წარმოვადგენდი. ვფიქრობდი, თუ თავად არ ვიცი, ვინ ვარ, ჩემმა კრიტიკოსებმა საიდან იციან-მეთქი?

ასე რომ, ახალგაზრდობაში თითქოს იძულებული ვიყავი, მომეგო, რათა ოპონენტები ჩამეჩუმებინა, ყველასთვის მეჩვენებინა, რა ძლიერი ვიყავი. ვთამაშობდი და ვიგებდი, რათა დამემარცხებინა ჩემი კომპლექსები, ჩემი პრობლემები, აღარ მეფიქრა ჩემი იმიჯის უსაფრთხოებაზე და ასე დაუსრულებლად. მოგება კი ნამდვილად იარაღია. გამარჯვების მომენტში მართლაც გჯერა, რომ „ყველას ჯობიხარ, მხოლოდ შენ გესმის ცხოვრების აზრი. ეს შეიძლება ძალიან საშიში აღმოჩნდეს.

## მოგება ნარკოტიკია

ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რამაც თავის დაკარგვა და კარიერის უამრავი პრობლემა ამაშორა, ის იყო, რომ შეჯიბრი მიყვარდა და ახლაც მიყვარს. ამას ალბათ, ჩემს ნებისყოფას უნდა ვუმადლოდე მართლაც გამიმართლა, რომ ეს [illegible] გამიჩნდა, რადგან შეჯიბრის სიყვარული თამაშს განსაკუთრებულს, [illegible] ხდიდა. ეს ჯანმრთელი გრძნობაა, რადგან მოგების გარდა იგი საკუთარი თავის შეცნობის, სხვადასხვა მძიმე სიტუაციაში საკუთარი შესაძლებლობების, თუ გნებავთ, სიძლიერის გარკვევაში გეხმარება.

დიდი ხნის მანძილზე მიმაჩნდა, რომ ჩოგბურთს აგრესიასთან უშუალო კავშირი ჰქონდა. შარისთავი და კონფლიქტის წამომწყები მაინცდამაინც არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ თუ ვინმე გამაღიზიანებდა, ამას ისევ ჩემს სასარგებლოდ ვიყენებდი, ბოღმიანი უკეთ ვთამაშობდი. ეს ჩემს მეტოქეებსაც მოეხსენებოდათ და სიტუაციის გამწვავებას ერიდებოდნენ. კარგა ხანი დამჭირდა იმის შესათვისებლად, რომ ჩოგბურთი სხვა ადამიანთან კონფრონტაცია კი არა, უბრალო თამაში იყო.

უცნაურია, მაგრამ ყველაზე დასამახსოვრებელ მატჩში, რომელიც თამაშის ჭეშმარიტი სიყვარულით ჩავატარე, დავმარცხდი — უიმბლდონის 1990 წლის ფინალში ედბერგთან. პირველი ორი სეტი წავაგე, მერე ანგარიში გავათანაბრე და მეხუთე ხელში 3:1 დავწინაურდი, თუმცსტეფანმა საბოლოოდ 6:4 მომიგო. მნიშვნელობა არც კი აქვს, რომ ის მატჩი წავაგე, რადგან მთელი სხეულით ვგრძნობდი თამაშის სილამაზესა და სიხარულს და ნამდვილი ჩემპიონივით ვირჯებოდი. ჩემთვის ესეც საკმარისი იყო.

ამბობენ, მოგება ნარკოტიკივითააო და ეს მართალია. მაგრამ ამ მიდრეკილებისგან თავის დაღწევა არც ისე ძნელი აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც გავიგე, რომ ჩოგბურთის ისტორიის გარდა იმას, უიმბლდონი სამჯერ მოვიგე, თუ ოთხჯერ, მნიშვნელობა არსად ჰქონდა.

## ახალი მიზნები

ყველაფერი ზემოთქმულის გამო ამ დღეებში დილაობით თავს თავისუფლად ვგრძნობ. სევდა შვებამ შემიცვალა. უიმბლდონის მთავარი ჯილდოს ხელში ჭერის სიამოვნებას ვეღარასოდეს მივიღებ, მაგრამ ამაზე აღარც კი ვოცნებობ. ეს ასაკი უკვე გავიარე. 20 წლის აღარ ვარ და არც იმაზე ვფიქრობ, რა კარგი იქნებოდა, ოცის რომ ვიყო-მეთქი.

ცხოვრების ყოველ ეტაპს თავისი უპირატესობა აქვს. ორი-სამი წელია, საკუთარ თავში ისეთი რბილი გრძნობები აღმოვაჩინე, რაც 10-15 წლის წინ არ მექნებოდა. ქორწინებამ და ბავშვის შეძენამ მიმახვედრა, თუ რა ბედნიერი, იღბლიანი ადამიანი ვარ — შესანიშნავი ოჯახი მაქვს, არ გავგიჟებულვარ, არც ალკოჰოლისა თუ ნარკოტიკების პრობლემა მაწუხებს. წინ შეიძლება დიდი ბრძოლებიც მელის, მაგრამ მათთან გასამკლავებლად კარგად ვარ მომზადებული.

ახლა სხვა მიზნები გამაჩნია — უპირველესად, ჩემი ვაჟიშვილის სწორად აღზრდა. გერმანიაში რომ დავრჩეთ, მას შეიძლება დიდი ტვირთი დააწვეს მხრებზე, სხვაგან რომ გადავიდეთ საცხოვრებლად, საკუთარი მე-ს, კულტურული მემკვიდრეობის ნაწილს დაკარგავს. ამიტომ ჩვენ რთული მისია გვაკისრია.

ამის გარდა, მინდა, ვალი დავუბრუნო ჩემს საზოგადოებას, ჩემს პროფესიას. ვაპირებ გერმანიის იუნიორთა ნაკრებთან მუშაობას, დევისის თასზე გარჯას. ვფიქრობ, სპორტთან დაკავშირებული ბიზნესის კარგად გამეგება. ასე თუ ისე, ვიცი, რომ ადრე თუ გვიან რომელიმე სპორტში ჩავებმები, იქნება ეს ჩოგბურთი, ფეხბურთი, ფორმულა 1 თუ სხვა რამ.

## ბოლო აკორდი

ყველაფერი ამის შესახებ იმ ცხელი აგვისტოს ღამითაც ვფიქრობდი, არტურ ეშის სტადიონს რომ ხსნიდნენ. როდესაც კორტზე სხვა დიდ ჩოგბურთელებთან ერთად ვიდექი, თავს შესანიშნავად ვგრძნობდი. როდ ლეივერმა მკითხა, რატომ მიდიხარ, მე 32 წლის ასაკამდე ვთამაშობდი უმაღლეს დონეზეო. ვუპასუხე, ჩემთვის ესეც საკმარისია, ყველაფერი კარგად იყო, ახლა კი დასრულდა-მეთქი.

როდესაც არტურ ეშის თამაშის კადრები უჩვენეს და სიტყვებით გამოსვლის დრო დადგა, ტანში ჟრუანტელმა დამიარა. მოხარული ვიყავი, რომ ივან ლენდლი ვნახე, თუმცა როცა ორივენი ვთამაშობდით, ხშირი კონფლიქტები გვქონდა. და რა თქმა უნდა, შესანიშნავი იყო სტეფანის მონახულება. ისიც ჩემსავით ნერვიულობდა და ცდილობდა, იქაურობისთვის თავი დაეღწია. „როგორც იქნა, წესიერი განათება დააყენეს, რომ ღამღამობით აქ თამაში ტანჯვა აღარ იყოს, მაგრამ მხოლოდ ჩვენი წასვლის შემდეგ“ — მომიბრუნდა იგი და ორივეს გაგვეღიმა.

უკვე აღარ მწყდებოდა გული, რომ მივდიოდი. მე შესანიშნავი გზა გავიარე, გრძელი, თუნდაც ოღროჩოღრო. რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, 10 ან 15 დიდი სლემის ტურნირი მომეგო, მაგრამ ისეც ბევრს მივაღწიე.

როდესაც მეომარი ვიყავი, ნამდვილად, ბოლომდე ვიბრძოდი. ახლა კი ასეთივე მინდა ვიყო, როგორც მეუღლე, მამა და მოქალაქე. თავს ახალგაზრდულად ვგრძნობ და მომავლისაც აღარ მეშინია.

თარგმნა ავთანდილ სვანიძემ





ბორისი ოჯახურ გარემოში — მეუღლე ბარბარასა და ვაჟიშვილ ნოასთან ერთად

# ოლიმპიური სკანდალი
## აფრიკელებს ბითუმად ყიდულობენ

იმას, რომ ოლიმპიადის მასპინძლად ამა თუ იმ ქალაქის არჩევა მთლად უანგაროდ არ ხდება, უკვე დიდი ხანია ეჭვობენ, მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს (სოკ) ამჯერად მართლაც დიდი სკანდალი ემუქრება.

ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი დიდმოხელის მარკ ჰოდლერის ამასწინდელმა განცხადებამ მთელი სპორტული სამყარო შეძრა. მისი თქმით, ყოველი საარჩევნო კამპანიის დროს ოთხი აგენტი საკმაოდ დიდი თანხის საფასურად ოლიმპიადის მასპინძლობის მსურველ ქალაქებზე სხვადასხვა, ძირითადად აფრიკული ქვეყნების ხმებს ჰყიდის.

„აგენტები კანდიდატ ქალაქებს თავად სთავაზობენ სამსახურს. ხმათა პაკეტი ნახევარ — ერთ მილიონ დოლარად ფასობს. თუ ქალაქი არჩევნებში იმარჯვებს, ისინი დამატებით 3-5 მილიონს ითხოვენ" — აღნიშნა 80 წლის ჰოდლერმა, რომელიც ამჟამად სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტია, ორგანიზაციაში კი 1963 წლიდან მუშაობს.

— დარწმუნებული ვარ, ამ აგენტებს შეუძლიათ დაამტკიცონ, რომ მათ დაუხმარებლად არც ერთ ქალაქს არ გაუმარჯვია — განაცხადა ჰოდლერმა და თითი პირველად ატლანტას დაადო, იგი აშკარად მოსყიდული ხმების წყალობით გავიდა ფონს. თუმცა 2000 წლის ოლიმპიადის მასპინძელ სიდნეის კბენის ნაცვლად მან მხოლოდ შეღრენა შებედა — ფაქტები არ მომეპოვება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, სიდნეი სხვებისგან არ განსხვავდება, თუმცა ავსტრალიელები საკუთარ უდანაშაულობას ამტკიცებენ".

ჰოდლერის სიტყვები სიდნეის საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ჯონ კოუტსმაც დაადასტურა: „კი, ერთი პიროვნება ნამდვილად გამოცხადდა სიდნეიში და გარკვეული თანხის საფასურად აფრიკის ქვეყნების მხარდაჭერა აღგვითქვა, მაგრამ მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ეს წინადადება თავიდანვე უარვყავით".

სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტის განცხადება ზამთრის 2002 წლის ოლიმპიადის მასპინძლის სოლტ ლეიკ სიტისთვის წაყენებულ ბრალდებებს მოჰყვა. ამერიკულ ქალაქს წინა კვირას კარგა ხნის წინანდელი ცოდვები გამოუჩხრიკეს — რამდენიმე წლის წინ ამათ 13 კაცისთვის, რომელთაგან ექვსი სოკ-ის წევრების ახლო ნათესავი იყო, სასწავლო-სავარჯიშო შეკრება მოუწყვიათ. შეკრებაზე 400 ათასი დოლარი დაიხარჯა, არადა, ოლიმპიადის მასპინძელს მსგავსი თანამდებობის პირებისთვის 150 დოლარზე ძვირი საჩუქრის მიძღვნა ეკრძალება.

**ავთანდილ სვანიძე**



მარკ ჰოდლერი უნამუსობას ამხელს



# მეკარეებს 0:0 უყვართ...

14 დეკემბერი

**რეინჯერსი — კალგარი 5:2**

2:0 1:2 2:0

1:0 სავარი 9'23 (3); 2:0 გრეივსი 13'38 (11); 2:1 სმიტი 31'51 (1); 3:1 ნაბლი 33'13 (5); 3:2 ფლერი 35'55 (16); 4:2 ნედვედი 49'55 (4); 5:2 შნაიდერი 58'40 (3)

მატჩის შემდეგ ორივე გუნდის მწვრთნელმა ერთხმად აღნიშნა, შეხვედრის ბედი ნიუორკელთა რიცხვმრავლობის ბრიგადებისა (5 ცდიდან 3 გამოიყენეს) და მეკარე მაიკ რიხტერის (35 მოგერიება) ჩინებულმა თამაშმა გადაწყვიტაო. რეინჯერსის თავკაცმა ჯონ მაკლერმა კი განსაკუთრებით რიხტერი გამოარჩია — ბოლო 6-7 მატჩში იგი ჩვენი საუკეთესო მოთამაშეაო. გრეცკიმ 3 პასი მიითვალა.

**მონრეალი — ფინიქსი 2:2**

0:0 1:0 1:2 0:0

1:0 კოივუ 30'06 (5); 1:1 ბრირი 54'53 (3); 2:1 ბრიუნე 57'13 (8); 2:2 ნუმინენი 58'07 (5)

ჩემპიონატის ლიდერი, რომელსაც მეორე პერიოდის შემდეგ დაშავებული კაპიტანი კეიტ ტკაჩუკი გამოაკლდა, მცველმა ტეპო ნუმინენმა იხსნა. მონრეალმა კი სეზონში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა.



REUTERS

სენტლუისელი მიხალ ჰანდზუსი კოლორადოელ პეტერ ფორსბერგის (21) გაჩერებას ყვანჯითაც ლამობს

**კოლორადო — სენტ ლუისი 0:0**

ეს მეოთხე უგოლო თამაშია ამ სეზონში. კოლორადოელთა მეკარე პატრიკ რუამ (32 მოგერიება) ჩემპიონატში ორივე შათაუტი სენტ ლუისთან მიითვალა და 43 „მშრალი" მატჩით კვლავ ერთპიროვნულად დაწინაურდა მოქმედ გოლკიპერთა შორის, სენტლუისელ გრანტ ფიურის კი კარიერაში 24 ასეთი მიღწევა დაუგროვდა. მან ტრავმის შემდეგ მხოლოდ მეორედ ითამაშა.

### სატურნირო ვითარება

**ჩრდილო-აღმოსავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბუფალო | 25 | 15 | 5 | 5 | 73:45 | 35 |
| ტორონტო | 29 | 16 | 2 | 11 | 86:83 | 34 |
| ბოსტონი | 26 | 12 | 6 | 8 | 67:51 | 30 |
| ოტავა | 26 | 13 | 3 | 10 | 77:64 | 29 |
| მონრეალი | 29 | 8 | 5 | 16 | 65:85 | 21 |

**სამხრეთ-აღმოსავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაროლინა | 29 | 13 | 5 | 11 | 77:67 | 31 |
| ფლორიდა | 26 | 9 | 6 | 11 | 64:74 | 24 |
| ვაშინგტონი | 27 | 8 | 3 | 16 | 57:74 | 19 |
| ტამპა | 28 | 8 | 2 | 18 | 61:102 | 18 |

**ატლანტა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 27 | 17 | 3 | 7 | 81:67 | 37 |
| ფილადელფია | 28 | 13 | 6 | 9 | 78:64 | 32 |
| პიტსბურგი | 25 | 11 | 7 | 7 | 75:67 | 29 |
| რეინჯერსი | 29 | 11 | 7 | 11 | 77:73 | 29 |
| აილენდერსი | 28 | 10 | 0 | 18 | 69:83 | 20 |

**ცენტრი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 27 | 16 | 1 | 10 | 87:66 | 33 |
| სენტ ლუისი | 25 | 9 | 7 | 9 | 63:58 | 25 |
| ნეშვილი | 27 | 10 | 3 | 14 | 62:80 | 23 |
| ჩიკაგო | 29 | 9 | 4 | 16 | 6897 | 22 |

**წყნარი ოკეანე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფინიქსი | 24 | 17 | 4 | 3 | 70:39 | 38 |
| დალასი | 26 | 16 | 5 | 5 | 74:54 | 37 |
| ანაჰაიმი | 28 | 11 | 6 | 11 | 65:66 | 28 |
| ლოს ანჯელესი | 29 | 8 | 3 | 18 | 60:80 | 19 |
| სან ხოსე | 27 | 6 | 7 | 14 | 57:68 | 19 |

**ჩრდილო-დასავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლორადო | 28 | 13 | 3 | 12 | 69:72 | 29 |
| ედმონტონი | 29 | 13 | 3 | 13 | 83:77 | 29 |
| კალგარი | 29 | 11 | 2 | 16 | 79:85 | 24 |
| ვანკუვერი | 28 | 10 | 4 | 14 | 78:83 | 24 |

*ბომბარდირები: ლინდროსი 39 (17+22); ლეკლერი (ორივე — ფილადელფია) 37 (20+17); იაგრი (პიტსბურგი) 37 (9+28); კარია (ანაჰაიმი) 35 (14+21); ფორსბერგი (კოლორადო) 33 (9+24); აიზერმანი (დეტროიტი)და საკიკი (კოლორადო) 32 (12+20); ამონტე (ჩიკაგო) 31 (21+10); ფლერი (კალგარი) 30 (16+14); გრეცკი (რეინჯერსი) 30 (5+25); სტრაკა (პიტსბურგი) 29 (14+15); ხრისტიჩი (ბოსტონი) 29 (12+17); მესიე (ვანკუვერი) 29 (10+19)*

*გოლები: ამონტე 21; ლეკლერი 20; ლინდროსი 17; ფლერი 16; გერინი (ედმონტონი) და ტკაჩუკი (ფინიქსი) 15*

*პასები: იაგრი 28; გრეცკი 25; ფორსბერგი 24; ლინდროსი 22; კარია 21; საკიკი, რენიკი (ფინიქსი) და აიზერმანი 20*

*ახალგაზრდები: მუკალტი (ვანკუვერი) 17 (9+8); პერიში (ფლორიდა) 15 (10+5); ჰეიდუკი (კოლორადო) 15 (4+11); მორისონი (ნიუ ჯერსი) 12 (3+9); დრური (კოლორადო) 11 (6+5); მანელიუკი (ჩიკაგო) 11 (4+7); უოტი (აილენდერსი) და კაბერლე (ტორონტო) 11 (3+8)*

*დარტყმები: კარია 157; ფრერი 124; ბონდრა (ვაშინგტონი) 117; იაშინი (ოტავა) 116; შენაჰანი (დეტროიტი) 115; რობიტაილი (ლოს ანჯელესი) 113*

*მეკარეები: (დარტყმების მოგერიება): ჰაშეკი 94,5%; უეიტი (ფინიქსი) 94,1; დაფო (ბოსტონი), ჰაბიბულინი (ფინიქსი) და ფის(ლოს ანჯელესი) 93,5; ირბე (კაროლინა) 93,3*




**დომინიკ ჰაშეკი (ბუფალო)**

წინა კვირის გმირი უეჭველად მეკარე უნდა ყოფილიყო — უქმეებზე ხომ მათ საოცრად ითამაშეს. თუმცა ოსტატობის ეს ფოიერვერკიც კი დაჩრდილა დომინიკ ჰაშეკმა. ზედიზედ ორი შათაუტით მან ანაჰაიმელი გი ებერი ეცილებოდა, მაგრამ რას გააწყობდა „დომინატორთან" დავაში, რომელიც კვირის სამივე მატჩში, განსაკუთრებით სენტ ლუისთან (41 მოგერიება), შეუდარებელი იყო. თუ ბოსტონმა მისი კარი ერთადერთხელ დალაშქრა, ეს შემთხვევით, რიკოშეტის წყალობით მოახერხა, ამიტომაც, პირველად 1993 წლის შემდეგ, სუპერჩეხს ზედიზედ მეორე კვირას ერგო საუკეთესოს ტიტული.

**საუკეთესო ექვსეული**

*დომინიკ ჰაშეკი* (ბუფალო, 2); *ტეპო ნუმინენი* (ფინიქსი, 2) — *დერილ საიდორი* (დალასი, 2); *რენდი მაკეი* (ნიუ ჯერსი, 1) — *ერიკ ლინდროსი* (ფილადელფია, 3) — *ბობი ჰოლიკი* (ნიუ ჯერსი, 1)

# რეკი მართლა რკინისა ხომ არ არის

დღევანდელ ნჰლ-ში სამი კაცი ფლობს „რკინის" საპატიო მეტსახელს. აქედან ორი მარკია, ერთი კი მაიკი და მათ ეს წოდება სხვადასხვა მიზეზთა გამო დაიმსახურეს: ვანკუვერის გამოჩენილი მწვრთნელი მაიკ კინენი საქმიანობის ავტორიტარული, მავანთა აზრით კი დიქტატორული მეთოდითაა ცნობილი; ამჟამად ვანკუვერშივე მოთამაშე მარკ მესიე, რომელიც, სხვათა შორის, მხარს უჭერს თავისი ხელმძღვანელის მუშაობის სტილს, შეუპოვრობითა და ლიდერის თვისებებით გამოირჩევა; რაც შეეხება მონრეალელ მარკ რეკის, მისთვის „რკინის კაცი" იმიტომ უწოდებიათ, რომ ზედიზედ ჩატარებული მატჩების სასწაულებრივ სერიას ითვლის. სეზონის წინ ჰოკეისტის აქტივში 543 თანმიმდევრული თამაში იყო, ჩემპიონატის პირველ 27 შეხვედრაშიც მისი მონაწილეობა სათუო არ გამხდარა, მაგრამ მაიკი მართლა რკინის ხომ არ არის და მასაც უმტყუნა ჯანმრთელობამ. ნეშვილთან ორთაბრძოლის წინ, რომელიც მონრეალისთვის მესამე იყო ბოლო ოთხ დღეში, უდიდესმა დატვირთვამ (რეკი ხომ ყველა თამაშში პარტნიორებზე მეტ დროს ატარებს ყინულზე) თავისი გაიტანა და პნევმონიის გამო თავდამსხმელმა ვერ შეძლო მოედანზე გასვლა. „ახლა რომ არ დამესვენა, გუნდს მომდევნო მატჩებში ვერ დავეხმარებოდი" — თქვა გულდაწყვეტილმა მაიკმა.



მარკ რეკი

ამგვარად, რეკის უჩვეულო სერია 570 მატჩით შეწყდა, თუმცა არ გეგონოთ, რომ ეს ლიგის რეკორდია. მარკს სეზონის ბოლომდე ყველა შეხვედრა რომც ჩაეტარებინა, მეექვსე ადგილს მაინც ვერ გასცდებოდა და 625 თამაშით ანდი ჰებერტონსაც (630) ვერ დაეწეოდა. აბსოლუტური რეკორდსმენი კი ლეგენდარული დუგ ჯარვისია, რომლის ანგარიშზეც 964 (!) ასეთი მატჩია.

დავძენთ, რომ ბოლო ათ სეზონში რეკიმ მხოლოდ ორი შეხვედრა გამოტოვა და რაც სერია შეუწყდა, ლიგის ამჟამინდელ რეკორდსმენად 429 თამაშით ფილადელფიელი როდ ბრინდამორი იქცა.

**სამველ ლარიბიანი**



# ცაბაძე ნაღდი ნარბონელია



ლევან ცაბაძე

გასულ უქმეებზე ევროპულმა კლუბებმა კონფედერაციათა თასის მეოთხედფინალური ეტაპის შეხვედრები გამართეს. ლევან ცაბაძის „ნარბონმა" საკმაოდ იოლად, 30:13 მოუგო თანამემამულეთა „პოს". სხვა ფრანგულ წყვილთა შეხვედრებში „მონფერანმა" „დაქსს" გადაუარა — 66:13, ხოლო „ბურგუენმა" „აჟენს" შედარებით მოკრძალებული ანგარიშით 29:19 მოუგო. საფრანგეთის ჩემპიონატის ლიდერთაგანმა — „ბრივმა" მეოთხედფინალში გასული ერთადერთი არაფრანგული გუნდი, ულსტერის „ქერფილი" „დაიფრინა" — 43:12.

ნახევარფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ: „მონფერანი" — „ნარბონი"; „ბურგუენი" — „ბრივი". ამათში გამარჯვებულნი 9 იანვარს პირველად დასახელებული გუნდების მოედნებზე ერთმატჩიან დუელში გაირკვევა.

როგორც ლევან ცაბაძემ გვითხრა, „პოსთან" მან მთელი მატჩი შეუცვლელად ითამაშა. მეტოქე ძალიან ძლიერად ასპარეზობს საფრანგეთის ჩემპიონატში და ასეთ იოლ მოგებას არ ველოდითო, ესეც დაამატა. მისივე თქმით, ნახევარფინალში მასპინძლის ვინაობა კენჭისყრამ გაარკვია. მის გუნდს არ გაუმართლა, რადგან სტუმრად თამაში ერგო წილად. მისი მეტოქე „მონფერანი" ჩემპიონატის ქვეჯგუფს ლიდერობს, საერთო შედეგით კი მხოლოდ „სტად ფრანსეს" ჩამორჩება და ისიც ერთი ქულით. ამიტომ „მონფერანთან" სტუმრად ბრძოლა იოლი არ იქნება.

ლეონსიოს კლუბშიც ალმა წასვლია საქმეები. ფრანგულ გუნდებს ქვეყნის ჩემპიონატის მატჩში ერთზე მეტი ლეგიონერის გამოყვანის უფლება არა აქვთ. „ნარბონში" ავსტრალიელი მორაგბეც ჰყავთ. ის ცაბაძის ამპლუისა არ არის, მაგრამ ზემოთ ნახსენები ლიმიტის გამო მწვრთნელი მათ მორიგეობით ათამაშებდა. ჩვენი ნაკრების ირლანდიაში რუმინეთთან თამაშის მერე „ნარბონის" ხელმძღვანელობამ ირწმუნა ქართული რაგბის, პირადად „ლეონსიოს" ძალა და უთუოდ ამის შედეგია, რომ მას შემდეგ იმ ავსტრალიელს ჩვენებურს ამჯობინებენ. ლიდერებთან — „სტად-ფრანსესა" და „კასტრთან" გამართულ პრინციპულ მატჩებში ცაბაძემ შეუცვლელად ითამაშა. შეიძლება ითქვას, რომ მან ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრა ადგილი. საფრანგეთის ჩემპიონატში ახლა შესვენებაა, ნააზალწლევს კი ლეონსიო და მისი გუნდი კლერმონფერანში ფინალში გასასვლელად მედგარ ბრძოლას აპირებენ. „ნარბონს" ევროთასებზე არასოდეს მიუღწევია წარმატებისთვის და წლევანდელი სეზონი ამითაც საუკეთესოა გუნდის ისტორიაში.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გერმანია

გამოტოვებული მატჩი

**ჰერტა 1:0 ფრაიბურგი**
1:0 პრეეტცი (27)

მეორე ბუნდესლიგა

გამოტოვებული მატჩები

**ურდინგენი 2:2 ობერჰაუზენი**
0:1 ვებერი (10), 1:1 ვან დერ ჰაარი (38), 2:1 ვოსენი (54), 2:2 ვებერი (56)

**კარლსრუე 1:0 ჰანოვერი**
1:0 კრიეგი (90პ)

**არმინია 2:0 უნტერჰახინგი**
1:0, 2:0 ლაბადია (47, 71)

## ინგლისი

I დივიზიონი.
გამოტოვებული მატჩი

**სანდერლენდი 2:0 კრ. პალასი**
1:0 სკოტი (38პ), 2:0 დიკიო (88)

თასის გათამაშება

*სიტი* 1:0 (დ.დ.) დარლინგტონი
ბრენტფორდი 2:2 *ოლდემი*
პენალტებით 2:4
ვიგანი 0:0 *ნოთს ქაუნთი*
პენალტებით 2:4
*ბრისტოლ როვერსი* 5:0 ექსეტერი
*ლეიტონი* 2:1 კინგსტონიანი
*პლიმუთი* 3:2 ვიკომბი
*როტერჰემი* 4:0 როჩდეილი
*რაშდენ დაიმონდსი* 4:2 დონკასტერი

## საფრანგეთი

XIX ტური

**ოსერი 3:1 ბორდო**
**მეცი 4:0 ბასტია**

## ჰოლანდია

თასის გათამაშება

**ექსელსიორი 0:5 ეინდჰოვენი**

# ნაგვიანევი სასჯელი

„ტურ დე ფრანსზე“ დოპინგზე გამოჭერილი ზოგიერთი მრბოლის დასჯას საშველი ამ დღეებშიღა დაადგა — საფრანგეთის ველოსპორტის ფედერაციამ ორშაბათს სამი მრბოლი 30 აპრილამდე მოკვეთა.

ნამებული ტრიო გუნდ „ფესტინაში“ მოასპარეზე ფრანგები — მსოფლიოს ექსჩემპიონი ლორან ბროშარი, კრისტოფ მორო და დიდიე რუ არიან. „ეს გადაწყვეტილება ერთ-ერთი ბოლო სხდომის შემდეგ გამოვიტანეთ, რომელზეც ზოგიერთ აქამდე უცნობ დეტალს მოეფინა ნათელი“ — მოკლედ, ლაკონურად განაცხადა ფედერაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა.

„ფესტინა“ „ტურ დე ფრანსიდან“ ივლისის დასაწყისში, ერთი კვირის რბოლის შემდეგ გააგდეს. მიზეზი ყველასთვის ცნობილი იყო — ბელგიის საზღვარზე გუნდის მასაჟისტი, ვილი ვოიტი დააკავეს, რომელსაც მანქანაში ურიცხვი რაოდენობის აკრძალული პრეპარატი აღმოაჩნდა. ვოიტმა ყველაფერი გუნდის სპორტულ დირექტორს, ბრუნო რუსელს გადააბრალა, მან კი მრბოლებს დაადო ხელი, მერე ყველას პოლიცია დაერია და სკანდალმაც ფრთები გაშალა.

„ფესტინელთა“ უმეტესობა კარგა ხანია, დასაჯეს — სექტემბერში შვეიცარიის ველოსპორტის ფედერაციამ ალექს ცულე, ლორან დიუფო და არმინ მეიერი მოკვეთა. ვოიტს და რუსელს შესაბამისად სამი და ხუთი წლით აეკრძალათ სპორტთან კავშირი, თუმცა ახლა ორივენი სასჯელის შემსუბუქებისთვის იბრძვიან.

მხოლოდ გუნდის ორი წევრი, რიშარ ვირანკი და პასკალ ერვი ამტკიცებს, დოპინგი არასოდეს მიგვიღიაო, თუმცა 26 წლის ვირანკისთვის სასჯელს მნიშვნელობა აღარც აქვს — რამდენიმე დღის წინ მან სპორტიდან რამდენიმე თვით კი არა, საერთოდ წასვლა გადაწყვიტა.

# ნორვეგიელებმა გაილაღეს

*სამთომოთხილამურე კაცებმა საფრანგეთიდან იტალიის მთებში, სესტრიერში გადაინაცვლეს და ერთმანეთს სლალომში გაეჯიბრნენ. წინა ეტაპის მსგავსად, აქაც ნორვეგიელმა, ამჯერად ქინ კრისტიან იაგემ (ფოტოზე) იმარჯვა. მისი შედეგი 1.52.92 (53.67/58.25) წუთია. მეორეზე ავსტრიელი ტომას შტანგასინგერი გავიდა, იგი 216 ქულით სლალომის საერთო ჩათვლას ლიდერობს. მსოფლიოს თასის გათამაშების საუკეთესო ხუთეული კი ასე გამოიყურება:*

1. სტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) — 368; 2. კრისტიან მაიერი (ავსტრია) — 342; 3. ლასე კიუსი (ნორვეგია) — 313; 4. ჰერმან მაიერი (ავსტრია) — 280; 5. ანდრე აამოდტი (ნორვეგია) — 279.







„ოსერი“ — „ბორდო“ 3:1. მასპინძელი სტივ მარლე ალი ბენარბიას გაექცა

კრივის მსოფლიო საბჭოს ქვემძიმე წონის ჩემპიონმა როი ჯონსმა (ფოტოზე მარჯვნივ) 9 იანვარს ფლორიდის შტატის ქალაქ პენსაკოლაში უნდა დაიცვას ტიტული. საბჭოს ვერსიით პირველი პრეტენდენტი ნიუ იორკელი პოლიციელი (ფოტოზე მარცხნივ) რიჩარდ ფრეზერი გამოდგა.

პენსაკოლა ჯონსის მშობლიური ქალაქია, წინასამატჩო კონფერენციაზე გამოსულ მოკრივეთა ქუდებზე აღბეჭდილი NYPD კი ნიუ იორკის პოლიციის დეპარტამენტს ნიშნავს. ძნელი წარმოსადგენია, ჯონსმა წააგოს, თუნდ მთელი „დიდი ვაშლის“ (ნიუ იორკს ეძახიან) პოლიცია დაეხვიოს.




# მერიონი რეკორდებს უმიზნებს

თოთხმეტი წლის წინათ ლოს ანჯელესის ოლიმპიადაზე კარლ ლუისმა ოთხი ოქროს მედალი მოიგო და მძლეოსნობის ისტორიაში ლეგენდარულის სტატუსიც მოიპოვა. აი, ლუისის თანამემამულეს, თანამედროვეობის ყველაზე პოპულარულ მძლეოსან მერიონ ჯონსს კი კიდევ უფრო მეტის მიღწევა აქვს გულში ამოჭრილი — 2002 წელს სიდნეიში იგი ერთბაშად ხუთ უმაღლეს ჯილდოს უმიზნებს.

„100, 200 მეტრზე სირბილში და სიგრძეზე ხტომაში აუცილებლად ვიასპარეზებ, 4X100 ესტაფეტაშიც არ უნდა გამიჭირდეს, საქმე ის არის, 4X400-ში თუ გამომივა რაიმე“ — განაცხადა ამ დღეებში ჯონსმა, რომელიც ნოემბერში ბირთვისმკვრელ სი ჯეი ჰანტერს გაჰყვა ცოლად.

თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ მერიონი ჯერ მხოლოდ 23 წლისაა და კარიერის საუკეთესო წლები წინა აქვს, მის მომავალ მეტოქეებს ბევრით ვერაფრით ანუგეშებ. მით უმეტეს, რომ ყოფილმა კალათბურთელმა ამ სეზონშიც სადაც კი იასპარეზა, თითქმის ყველგან იმარჯვა. ერთადერთი მარცხი კი იოჰანესბურგში, სიგრძეზე ხტომაში იწვნია, სადაც ნაწვიმარ მოედანზე გარბენების დროს საკმარისი სისწრაფე ვერ განავითარა და პირველი ადგილი ჰაიკე დრექსლერს გადაულოცა.

ჯონსს არ ავიწყდება აწ გარდაცვლილი ფლორენს გრიფიტ ჯოინერის ერთ დროს ხელშეუხებლად მიჩნეული მსოფლიოს რეკორდებიც 100 და 200 მეტრ დისტანციებზე წლეულს მან ორივეგან ყველა დროის მეორე შედეგები უჩვენა, თუმცა უკეთესის იმედიც აქვს: „ვფიქრობ, მათი გაუმჯობესება შემიძლია, თუმცა ეს როდის მოხდება, ძნელი სათქმელია.“

ამ სეზონისგან განსხვავებით, როცა მერიონს თითქმის არც ერთი დიდი ტურნირი არ გამოუტოვებია და პლანეტის ლამის ყოველ კუთხე-კუნჭულსაც ეწვია, საგაისოდ მეტ დასვენებას და ძირითადად ოლიმპიადისთვის მზადებას აპირებს, ხოლო როცა გადამწყვეტი დრო დადგება, ჯონსი უკან არაფრის წინაშე არ დაიხევს: „ერთი სული მაქვს, როდის მოვა ოლიმპიადა. ამ სიტყვის გაგონებაზე კი გული მიჩქროლდება.“


## სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილე:**
ილია ბაბუნაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:**
ვახტანგ ბზიკაძე
**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე:**
მერაბ რატიშვილი
**ინფორმაციის განყოფილების გამგე:**
სოსო კოტორეიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება:**
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:**
ლაშა გოდუაძე, დავით კოზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
**კალათბურთის განყოფილება:**
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე
**ინფორმაციის განყოფილება:**
ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე
**კორესპონდენტი ქუთაისში**
იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:**
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:**
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:**
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29